


619
1984/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა


ISSN 0180-1624



საქართველო

სტამბული

№ 11 1984 წ.



თბილისი, 1984 წლის 17 ნოემბერი. საქართველოს სსრ-ის რესპუბლიკის
კისნათვის საფორმლოს საკაბითო ჯილდოს - ლენინის ორდენის გა
დაცემისადმი მიძღვნილი საზეიმო სდღობა საქართველოს სახელ
მწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში
საქართველოს სსრ-ის რესპუბლიკისათვის ლენინის ორდენის გადა-
ცემის დროს.

ქართული ქართული

ეს თარიღები სამარადეამოდ ჩაიწერა საბჭოთა საქართველოს ბიოგრაფიაში. სამშობლოს უმაღლესი ჯილდოთი აღნიშნული ყოველი ამ თარიღთაგანი ავტორგვინებს მისი ცხოვრების ისტორიულ ეტაპებს და ხდება რესპუბლიკის შემდგომი წინსვლა-განვითარების ნიშანსვეტი. სამი ლენინის ორდენი კომუნისტური აღმშენებლობის ეპოქის სამი მწვერვალია.

...1935 წელი. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება: „სოფლის მეურნეობის დარგში, ისევე როგორც მრეწველობის დარგში მთელი რიგი წლების მანძილზე მოპოვებული უთვალსაზიროსი წარმატებებისათვის დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ რესპუბლიკა ლენინის ორდენით“.

წინაისტორია — ელექტრიფიკაციის ლენინური გეგმის პირველი ნაბიჯი, პირველი კოლმეურნეობანი, ჩაისა და ციტრუსის სამრეწველო წარმოების დაწყება, პირველი საბჭოთა ჭიათურული მანგანუმი... ყველაფერი ახალი იყო, ყველაფერი პირველად მკვიდრდებოდა იმ წლების მანძილზე რესპუბლიკაში, წარმოშობდა დამკვირვებელი შრომის უმაღალითო ერთეულებს.

...1965 წელი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება: „რესპუბლიკის მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ რესპუბლიკა ლენინის ორდენით“.

წინაისტორია — სამი ათწლეული, რომელთა წილად მოდიოდა ომის მიძივ განსაცდელი, და ომის შემდგომი მშენებლობა. იმ წელს, როდესაც მტერი უკვე განდევნილი იყო ჩვენი ქვეყნის ფარგლებიდან, თბილისის მახლობლად საფუძველი ჩაეყარა ამიერკავკასიაში პირველ მეტალურგიულ ქარხანას და ახალ ქალაქს — რუსთავს. მშენებლობაში მონაწილეობდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები. ხოლო ათი წლის შემდეგ საქართველოს ქალიშვილები და ჯაბუკები მთელი ქვეყნის წარგზავნილებთან ერთად ყამირს ტყენდნენ. მშვიდობის მხსნელი საბჭოთა ხალხების ერთიანობა შრომითს გამარჯვებათა გარანტიაც გახდა.

...1983 წელი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება: „აღინიშნოს საქართველოს მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული დიდი წარმატებები და რუსეთსა და საქართველოს შორის გეორგიევსკის მეგობრობის ხელშეკრულების 200 წლისთავთან დაკავშირებით და-

ჯილდოვდეს საქართველოს სსრ რესპუბლიკა ლენინის ორდენით“.

საუკუნეთა ქარცეცხლში გამოტარებულმა, კლასობრივ ბრძოლებში, სოციალისტურ მშენებლობაში გამოწრთობილმა ხალხთა ძიობამ უზრუნველყო რესპუბლიკის აყვავება, მისი ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების აღმავლობა. ბაში და ენგურპეის, არაშეგმიწანიდაგაიანი მხარის ათვისებაში მონაწილეობა და რესპუბლიკის მთის რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მეურნეობრიობის ახალი ფორმებისა და მეთოდების დაუცხრომელი ძიება, ეკონომიკის განუხრელი ზრდა — ყოველივე ამით ვლინდება მაძიებელი აზრის შემართება, მოძმე ხალხების ერთიანობა, საბჭოთა ადამიანების დაუოკებელი სწრაფვა აღმშენებლობისა და მშვიდობისადმი, მათი შეკავშირება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარემოში.

ახორციელებენ რა პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებს, საქართველოს მშრომელები საქმით უპასუხებენ სამშობლოს საპატიო ჯილდოს. იმათ შორის, ვისაც დღეს მხარს უსწორებენ ჩვენი მშრომელები, ცხრა ათასზე მეტი ლენინის ორდენოსანია, რომლებიც ამრავლებენ რესპუბლიკის მუშურ დიდებას სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

მესამე ლენინის ორდენი რესპუბლიკას გადმოეცემა იმ დღეებში, როდესაც მისი შრომითი საქმიანობის დაძაბულ რიტმს განსაზღვრავს დიადი გამარჯვების 40 წლისთავის საშაღისი, როდესაც კომუნისტების, ყველა მშრომელის ძალისხმევა ხმარდება სკკპ XXVII ყრილობის ღირსეულ შეხვედრას. ეს სიამაყით ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე, რომელიც 17 ნოემბერს გაიმართა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში. აქ იყვნენ პარტიისა და შრომის ვეტერანები, პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენლები.

სხდომის მონაწილენი ფეხზე ამდგარნი, ხანგრძლივი ტაშით შეეგებნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **ნ. ა. ტიხონოვს**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდი-

ვანს **ე. ა. შევარდნაძეს**. პრეზიდიუმში იყვნენ **გ. ა. ანდრონიკაშვილი**, **ვ. მ. არხიპოვი**, **გ. დ. გაბუნია**, **პ. გ. გილაშვილი**, **გ. ნ. ენუქიძე**, **ა. ნ. ინაური**, **ბ. ვ. ნიკოლსკი**, **ჯ. ი. პატიაშვილი**, **ტ. ვ. როსტიაშვილი**, **დ. ლ. ქართველიშვილი**, **ო. ე. ჩერქეზია**, **ზ. ა. ჩხეიძე**, **ნ. ა. ჭითანავა**, **ს. ე. ხაბეიშვილი**, **ბ. ვ. ადლიევა**, **თ. ი. მოსაშვილი**, **ვ. რ. პაპუნიძე**, **ფ. ს. სანაკოვეი**, **ჟ. კ. შარტავა**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე **ვ. ა. კონდრატიევი**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **ვ. მ. სირაძე**, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **გ. ა. ანჩაბაძე**, **ვ. ი. ვადაჭკორია**, **ო. გ. ვარძელაშვილი**, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. გ. ლორთქიფანიძე**, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო, კომკავშირული მუშაკები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ამხანაგმა **ე. ა. შევარდნაძემ**. უღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო პიძნები.

სხდომის მონაწილეებმა ერთსულოვნად, უდიდესი აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ **კ. უ. ჩერენკოს** მეთაურობით.

შეკრებლთ სიტყვით მიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ნ. ა. ტიხონოვმა**, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

საზეიმო სხდომის მონაწილეთა ტაშის გრიალში **ნ. ა. ტიხონოვმა** სამშობლოს საპატიო ჯილდო — ლენინის ორდენი მიაბნია საქართველოს სსრ რესპუბლიკის დროშას.

რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით საზეიმო სხდომაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ე. ა. შევარდნაძე**.

საზეიმო სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი **ე. კ. ხარაძე**, „ტყვარჩელის“ მაღაროთსამმართველოს № 2 შახტის მაღაროელი, სსრ კავშირის

17.7.11

უმალღესი საბჭოს დეპუტატი რ. ა. არშა, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეობის მეჩაიე, აჭარის ასსრ უმალღესი საბჭოს დეპუტატი ნ. რ. აბაშიძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ვ. მ. არხიპოვი, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. შ. კაბულოვა, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიისა და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი შ. გ. ნიშნიანიძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე, ლენინური პრემიის ლაურეატი პ. ა. წერეთელი.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. დ. ვაზუნია. თავის თანამოქალაქეთა განაწესისამებრ მან ამხანაგ ნ. ა. ტიხონოვს გადასცა თბილისის საპატიო მოქალაქის სამახსოვრო ნიშნები, უსურვა მას ჯანმრთელობა, ახალი წარმატებანი საბჭოთა მთავრობის მეთაურის პოსტზე მრავალმხრივ მოღვაწეობაში, ჩვენი დიადი სამშობლოს კეთილდღეობისა და აყვავებისათვის.

შეკრებლებმა დიდი აღფრთოვანებით გაუგზავნეს წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმალღესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმალღესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ კ. უ. ჩერენკოს.

საზეიმო სხდომის მონაწილეებს მიესალმნენ რესპუბლიკის ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის უმალღესი საბჭოს საზეიმო სხდომა დახურულად ცხადდება. ყველანი ფეხზე დგებიან და მღერაინ პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

დარბაზში გაისმის შეძახილები ჩვენი დიადი სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ხალხთა ლენინური მეგობრობის, კომუნისტური პარტიის — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის სადიდებლად.

10 ნოემბრიდან მზიური აფხაზეთის მშრომელები გულღიად მასპინძლობდნენ საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილეებს — ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო პოეტებს, პროზაიკოსებს, დრამატურგებს, კრიტიკოსებს, მთარგმნელებს. ერთი კვირის მანძილზე ისინი ხვდებოდნენ თავიანთ მკითხველებს, განიხილავდნენ აქტუალურ საკითხებს, სსრ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმალღესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. უ. ჩერენკომ რომ წამოაყენა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის საიუბილეო პლენუმზე.

სოციალისტური აფხაზეთი, რომელმაც ამ დღეებში ზეიმით აღნიშნა ეროვნული აფხაზეთი ლიტერატურის ფუძემდებლის დიმიტრი გულიას 110 წლისთავი, ქვეყნის მხატვრული სიტყვის ოსტატთა წინაშე წარდგა თავისი მაღლიანი ბუნების მთელი ბარაქითა და სილამაზით, მთელი თავისი მიღწევებით ეკონომიკასა და კულტურაში.

აფხაზეთმა შეხვედრებმა ერთხელ კიდევ წარმოაჩინა, რომ განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული კანონზომიერებანი: ყველანი სწავლობენ ერთმანეთისაგან, ყველანი დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან, ყველანი ქმნიან იმ საერთო სიმდიდრეს, რომელიც შეადგენს ჩვენს ერთიან მრავალეროვნულ ლიტერატურას, თავისი შინაარსით, განვითარების მთავარი მიმართულებით სოციალისტურს, ეროვნული ფორმებით მრავალფეროვანს, სულისკვეთებითა და ხასიათით ინტერნაციონალისტურს.

როგორც სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, საბჭოთა მწერლების დელეგაციის მეთაურმა იური ვორონოვმა აღნიშნა, საბჭოთა ლიტერატურის დღეები აფხაზეთში — ეს იყო ჩვენი საერთო საქმის, ჩვენი საერთო ძალისხმევის დღეები, ძალისხმევისა, რომლის მიზანია კიდევ უფრო ძლიერი და ნაყოფიერი იყოს ჩვენი ძმური ურთიერთობა, მოძმე ეროვნულ ლიტერატურათა კავშირი.

აფხაზეთში საბჭოთა ლიტერატურის დღეების საზეიმო გახსნა ჩვენი მრავალეროვნული ლიტერატურის ჭეშმარიტ დღესასწაულად გადაიქცა. ყველა მოძმე რესპუბლიკის ლიტერატურათა წარმოგზავნილებს გულთბილად მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბორის ადლეიბა.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური

კომიტეტის, საქართველოს სსრ უმალღესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმებას დღესასწაულის მონაწილეებისადმი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გურამ ენუქიძემ.

საბჭოთა ხალხების ძმობის, მოძმე ლიტერატურათა ურღვევ კავშირზე შთაგონებული სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიისა და რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა შოთა ნიშნიანიძემ, აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა მუშნი ლასურიამ, სოციალისტური შრომის გმირმა, პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ.

თითო საუკეთესო, გამორჩეული ლექსი წაიკითხეს ახდრეი ვოზნესენსკიმ და ევგენი ვეტუვინკომ, ხუტა ვაგუამ და ჯანსუღ ჩარკვიანმა, ალექსანდრე მეჩიროვმა და პლატონ ბებიაძემ...

საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილენი დაესწრნენ აფხაზეთის ძველთაძველ სოფელ ლიხნში გამართულ ხალხურ დღესასწაულს „ლიხნაშთას“.

დღეების მკაფიო მოვლენა გახდა ხალხთა მეგობრობის მემორიალის საძირკვლის ჩაყრა. აფხაზეთის დედაქალაქის სანაპიროზე ერთიანი სკულპტურული ანსამბლით იქნება გამარადისებული რევოლუციის ქარიშხალა მაქსიმ გორკი, ქართული საბჭოთა პოეზიის სიამაყე გოლოვნიკოვი ტაბიძე და აფხაზეთის ლიტერატურის პატრიარქი დიმიტრი გულია, რომლებმაც უდიდესი ძალით გამოხატეს თავიანთ ქმნილებებში თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ, მშვიდობისა და თანასწორობისაკენ ხალხების დაუცხრომელი სწრაფვა. ეს ძეგლი მრავალენოვანი საბჭოთა ლიტერატურის სიმბოლო გახდება.

სოხუმში, ერთ-ერთ თვალწარმტაც სკვერში, გაიხსნა ხალხთა თავისუფლებისა და მეგობრობის შთაგონებული მოძღვრის ალექსანდრე პუშკინის ძეგლი.

12 ნოემბერს გაიმართა ინტერნაციონალური პოეზიის საღამო, რომელიც დადასტურება იყო საბჭოთა ლიტერატურების ძმური ერთიანობისა.

სრულიად საკავშირო ლიტერატურის დღესასწაულის მონაწილენი ესტუმრნენ სოფელ ჭლოუსს, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ბევრი ხალხური ლეგენდა და თქმულება. ერთი მათგანის თანახმად აქ დაიბადა აფხაზი პრომეთე — აბრსკილი. ჭლოუს ამჟამად თავისი მკვიდრით — აფხაზეთის სახალხო პოეტით ბაგრატი შინკუბათი.

„სული შენი მუდამ ცოცხლობს ადამია-

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა
№ 11 (575) ნოემბერი. 1984

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან
ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურისამხატვრო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ნუბა გერულავა

საქართველოს კავშირის გამომცემლობა

© „დროშა“, 1984 წ.

ს ა რ ე დ ა ქ ტ ი რ კ ო ლ ე გ ი ა :

ბულნარა ბახტაძე (პ/მგ. მდივანი), ვასილ ვაჟაძე, ნათელა გიორგოზიანი, თენგივ გოგოლაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), ოთარ ღვინთაშვილი, სარგო ლუკინიძე, ვახტანგ ენვაფია, ოთარ თურქია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღაშვილი, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.



ნების დიადი თანამეგობრობის აყვავებაში და გმირობას შენსას ხოტბას შეასხამენ შენი საყვარელი აფხაზეთის შვილები“, — სოციალისტური შრომის გმირის პოეტ მიხეილ დუდინის ეს სიტყვები დიმიტრი გულიას დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოს კამერტონი გახდა, რომელმაც განსაზღვრა მისი მაღალი მოქალაქეობრივი ტონალობა. ეს საღამო საბჭოთა ლიტერატურის დღეების ერთ-ერთი შთამბეჭდავი და ღირსსახსოვარი მოვლენაა.


15 ნოემბერს საზეიმოდ დაიხურა საბჭოთა ლიტერატურის დღეები აფხაზეთში, რომელმაც თვალნათლივ დაადასტურა საბჭოთა მწერლების მზადყოფნა, კიდევ უფრო ღრმა და მასშტაბური შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელებისათვის, პროფესიული ოსტატობის დახვეწისათვის, ჩვენი თანამედროვის ცოცხალი და სისხლსავსე სახეების შექმნისათვის.


დღეების მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და მინისტრთა საბჭოს.

საბჭოთა ლიტერატურის დღესასწაულში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნოდარ ჯანბერიძე, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკები.

სურათებზე: აფხაზეთში საბჭოთა ლიტერატურის დღეების მონაწილენი.

საჭკობი აქმერსყუხის ქრუეზი სვხაზუნი





- სერგო კლდიაშვილი და გრიგოლ აბაშიძე.
- გრიგოლ აბაშიძე უცხოელ სტუმრებთან.
- შვილებთან ერთად.
- მიხეილ შოლოხოვი სტუმრად გრიგოლ აბაშიძესთან.
- ბაბუა და შვილიშვილები.

გრიგოლ აბაშიძე

70

● 1984 წლის 1 აგვისტო ქართველ მწერალთა ოჯახისათვის დიდად სასიხარულო დღე იყო — დაბადების 70 წელი შეუსრულდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, სოციალისტური შრომის გმირს, მწერალ-აკადემიკოს გრიგოლ აბაშიძეს.

გრეცელია გრიგოლ აბაშიძის ნამსახურობის ნუსხა: ყურნალების „ნიანგის“, „დროშის“, „მნათობის“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, რუსთაველის პრემიის კომიტეტის თავმჯდომარე.

დიდია და მნიშვნელოვანი სახელოვანი იუბილარის საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელი: საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი...

გრიგოლ აბაშიძის, როგორც მწერლისა და მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის, სახელი ფართოდ არის ცნობილი საბჭოეთშიც და უცხოეთშიც.

სამშობლოს მრავალი მაღალი ჯილდო აქვს მიღებული პოეტს ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში და უეჭველია, მომავალშიც მრავალგზის ვიამაყებთ დღევანდელი იუბილარის შემოქმედებითი გამარჯვებითა და ნაყოფიერი მოღვაწეობით.

მთელი ეს მოღვაწეობა ბედნიერად არის შერწყმული გრიგოლ აბაშიძის უპირველეს მოწოდებასთან — მწერლობასთან. მისი ლექსები, პოემები, მოთხრობები, რომანები, საბავშვო ნაწარმოებები, თარგმანები, ლიტერატურული წერილები ქართველი ხალხის სულის განუყრელ ნაწილად არის ქცეული. ამიტომაც შეუძლებელია, არ გიყვარდეს ძვირფასი პოეტის შემოქმედება!

გრიგოლ აბაშიძეს ხალხის წიაღში უდგას ფესვები. მუდამ იქ არის, იმ ადამიანებთან, ვისთვისაც ასე ძალუმ, შთამბეჭდავად ჟღერს მისი პოეტური ქნარი. ასეთი, ცოტა არ იყოს ძველებური, გამოთქმა იმიტომ ვიხმარეთ, რომ იგი უაღრესად ეროვნული პოეტია, დიდი წინაპრების უკვდავი ტრადიციების ერთ-ერთი უპირველესი გამგრძელებელი.

გრიგოლ აბაშიძის საიუბილეო თარიღი საზეიმო დღეა რუსებისა და უკრაინელებისათვის, სომხებისა და აზერბაიჯანელებისათვის, საბჭოთა კავშირის ყველა მოქმე ხალხისათვის. მას ყველგან იცნობენ და პატივსაცემენ, როგორც მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ბრწყინვალე წარმომადგენელს.

მესამე საიუბილეო უღელტეხილი წარმატებით აიღო ჩვენი ხალხის უსაყვარლესმა მწერალმა. ჯანიერი და ჭაბუკური ენერგიით აღსავსე შეხვდა იგი თავის იუბილეს.

კვლავ მრავალი საიუბილეო უღელტეხილი მშვიდობით და ბედნიერად დაგელაშქროთ, ძვირფასო უფროსო ძმავო და მეგობარო!

„დროშის“ სარედაქციო კოლეგია პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავს დაბადების 70 წლისთავს გრიგოლ აბაშიძეს — შურნალის აღრიდელ მთავარ რედაქტორსა და დიდ მოაზრავს, უსურვეს მას ხანგრძლივ სიცოცხლეს, ბედნიერებას, ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას.

ჭეშმარიტება

ამოუყრია ჭეჭილი მარცვალს,
მწვანე ჩაუცვამს ბაღსა და ვენახს,
მე კი ყოველი დღე უღვთოდ მძარცვავს
და ვერ ვაჩერებ ჩემს ფოთოლცვენას.

მივუვები ქვეყნის წესრიგს ურთულესს,
სიცოცხლის ძარღვის იღუმალ ფეთქვას...
როგორ მინდოდა ფრთოსნის უღურტული
სიმღერად მეთქვა, ან ლექსად მეთქვა.

აღბათ ცხოვრების არის კანონი,
სულ ასე ვწუხვართ, ბევრის მომსწრენი,
რომ ვერ ვიმღერეთ წვიმის წკარუნი,
სიოს ჩურჩული ვერ ამოვხსენით.

რომ ჩვენც არ შეგვქმნა ღმერთმა ჩიტებად,
ხმა ვერ შევუწყეთ მათ ხმას წკრიალას,
როცა ამქვეყნად, სხვა რამ კი არა,
სიმღერა იყო ჭეშმარიტება!

მოძრაობს, იბრძვის ღამით და დღისით,
რაც ცოცხალია, რაც ახალია,
არის სიცოცხლის ნაწილი ისიც,
რომ ყველაფერი წარმავალია.

მტვერი რომ ბრუნავს,
მტვერი ტრამალზე,
წყალიც, ჩუმად რომ არ ჩაუვლია,
ყველაფერს თურმე აქვს სილამაზე
და სილამაზე სასწაულია!

სასწაულია!
გახედე მთა-ბარს,
მომავალს უთმობს გზას გარდასული...
და გულუბრყვილო სიცოცხლის ზღაპარს
არა აქვს ბოლო და დასასრული.



ქართული თეატრი

საბჭოთა კავშირის
საზოგადოებრივი
მედიის



პახტაზ გორგაძელი, „დროვის“ სპეციალური კორესპონდენტი

ეს იყო 1940 წელს, როცა იოსებ ბეგიაშვილმა სიონის რაიონის ქვემო მაჩხაანის ზოოვეტერინალური ტექნიკუმი დაამთავრა. მამამ ცალკე გაიხმო და ჰკითხა:

— ახლა რას ფიქრობ, სოსო?

— ჯერ ჯარში უნდა წავიდე, მამი, იქიდან რომ დავბრუნდები, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ვაპირებ შესვლას.

კონსტანტინემ შვილს აღმაცერად გადახედა. ცოტა ხანს გაჩერდა, უცებ წამოენთო:

— მერე სოფელს რომ ზურგი აქციო, არა?!

— რატომ ჩქარობ, დამაცადე, მამი!

— გაცლი, შვილო, მაგრამ ბევრმა უმაღლესის დამთავრება ცუდად გაიგო, ვაითუ, შენც ამ ჭკუაზე დგახარ...

საუბარში ბიჭის დედა ჩაერია:

— ქალაქში წასვლა რომ სდომებოდა, ტექნიკუმსაც იქ დაამთავრებდა.

— შენ გაჩერდი! ტექნიკუმზე არაფერს ვამბობ. აი, იმ უმაღლესზე ვლაპარაკობ. ის არის მაცდური. რომ დამთავრებენ, მერე თოხსა და ბარს აღარ კადრულობენ.

— ნუ გეშინია, მამი, განა არ ვიცი, ვისი შვილიცა ვარ?

მამას ესიამოვნა შვილის სიტყვები, უღვაწზე გადაისვა ხელი და ბალისაკენ მიმავალ ბილიკს გაუყვა.

ჯარში წასული იოსები უკრაინაში მოხვდა, ქალაქ დროგობიჩში. ომამაც ამ ქალაქში მოუსწრო. დაიწყო მრისხანე დღეები. იოსებს ტანკის მეთაურობა დაეკისრა, წუთი-წუთზე ელოდა ბრძოლაში ჩაბმას. ამ მოლოდინში იყო, როცა შინიდან წერილი მოუვიდა. მამა უთვლიდა: არ დავაგვიწყდეს, ქიზიყელი კაცი არც არავის მონა ყოფილა, არც არავის ბატონიო.

იოსებმა მებრძოლებს უთარგმნა მამის წერილი, მოეწონათ, მოსწრებული სიტყვა სცოდნიაო მამაშენს. ამის თქმა

იყო და წამოდგა ერთი მებრძოლი, რომელიც აქ ამხანაგის სანახავად მოსულიყო, იოსებთან ახლოს მივიდა და მოკრძალებით უთხრა:

— ჩემი გვარი მეშალკინია, ვლადიმერი მქვიან, მძლოლი გახლავართ. არ დავმალავ, მომეწონე... თქვენს ოცეულში გადავწყვიტე გადმოსვლა, თქვენთან ერთად მიინდა ვებრძოლო ფაშისტებს.

ვლადიმერ მეშალკინს გადმოსვლის უფლება მისცეს. ტანკის მართვა მიანდო ახალმოსულს იოსებ ბეგიაშვილმა.

— მართალია, ბრძოლის ველზე ყოველი წამი ბეწვის ხიდზე გავლას ჰგავს, მაგრამ ვალოდია სადაც ტანკს ვაატარებდა, იქ ეშმაკსაც გაუჭირდებოდა სიარული. უმართლებდა კიდევ! — იგონებს იოსები.

ვალმობილი ვაჟკაცს თვალწინ უდგას ბრძოლის ეპიზოდები, რომელთა სათავე გაუტეხელი ლენინგრადისა და ცეცხლმოდებული უკრაინის თვალუწვდენელი მიწვრებიდან იწყება და ვარშაის მისადგომებამდე მიდის. რა ჯოჯოხეთი არ უნახავს, მისი სატანკო ოცეული სად არ შეჭრილა, სად არ გაურღვევია მტრის ალყა. ბევრი მოსაგონარი აქვს იოსებს, მაგრამ ერთს მაინც განსაკუთრებული მღელვარებით იხსენებს — ხოლმე. ეს მოხდა

ვოლხოვის მიმართულებით, შელაშებისას, იოსებ ბეგიაშვილს ბატალიონის მეთაურმა ჩიგლინცევმა გამოუძახა.

— ლეიტენანტო ბეგიაშვილო, ხვალ დიდი ბრძოლები მოგველის. შენი სატანკო ოცეული ხომ მზად არის?

— თქვენ ბრძანებას ველით! მეთაურმა ბეგიაშვილს მაგიდასთან მისვლა სთხოვა. მაგიდაზე რუკა იყო გაშლილი.

ვიდრე კონკრეტულ დავალებას მისცემდა, იოსებს ოჯახზე ჩამოუგდო საუბარი:

— მშობლები ხომ გყავს?

— დიას.

— ძმები?

— ორი ძმა მყავს, ნასყიდა და გოგია, ორივე ფრონტზეა.

— ცოლი?

— ცოლი არა მყავს.

— შეყვარებული? — აღარ ეშვებოდა ბატალიონის მეთაური.

— ვერ დავიმალოვთ, მყავს. მაიორ ჩიგლინცევს წარბები შეუქანდა. დუმის მიეცა, ეტყობოდა, რაღაც აწუხებდა, მაგრამ სიტყვა არ დაუძრავს, სათქმელი კი ბევრი ჰქონდა — მისი ოჯახი ხომ მტრის ზურგში იყო მოქცეული. იოსებს მხარზე ხელი მოუთათუნა და უთხრა:

— კარგი ვაჟკაცი ხარ, ბეგიაშვილო! ოცეულიც ჩინებული გყავს, ოლონდ, იმ შენს

მეშალკინს ცოტა მოქაჩვა უნდა... თუმცა, არც შენ გაწყენს მოქაჩვა. თავს გაუფრთხილდი, ბიჭებო, ბერლინამდე კიდევ დიდი გზაა! შეტევებზე შენი ოცეული სტანცია-სინიავის მიმართულებით იმოქმედებს, ქვეითთა ბატალიონს გაუკაფავს გზას.

— წინაღუეს, ათი ტანკი აგვიფეთქეს ფაშისტებმა, ოთხილა დაგვრჩა ოცეულში, — იგონებს იოსებ ბეგიაშვილი, — ახლა ამ ოთხს, თოთხმეტი ტანკის ძალით უნდა შეეცა მტრისათვის.

აღრიანად დავიძარიო. ვძლიეთ ერთ წინააღმდეგობას, მეორეს, მესამეს... ბოლოს მტერმა ისე გადაგვილობა გზა, რომ საგონებელში ჩავვარდით. ტანკში ოთხნი ვართ: ზამარავევი, მახოვი, ვალოდია და მე.

ვალოდიას ვეუბნები: ახლა ერთ ადგილზე გაჩერება სიკვდილს ნიშნავს, ტანკი პირდაპირ მტრის საცეცხლე ბუნავისაკენ მიუშვი. ვალოდიამ არ დააყოვნა, მაგრამ ბედმა გვიმტყუნა. ჩვენი ტანკი ნალმს წააწყუნა, აფეთქდა, მუხლუხები დაივლიჯა. სასწაულად გადავრჩით, მაგრამ რა გინდა, რომ ქნა, ტანკიდან ვერ გადახვალ. ჩვენმა მემიზნემ მტრის საცეცხლე ბუნავი ნიშანში ამოიღო და მოსპო. მოწინააღმდეგეს ეგონა, ცოცხლები აღარ ვიყავით,

ახლა რომ ავმოქმედდით და ზარალიც მივაყენეთ, გადაირი-
ენენ. დავვიშინეს და დავვიშინ-
ეს ცეცხლი. მწყობრიდან გა-
მოვიდა ჩვენი ზარბაზანი,
ტყვიამფრქვევიც დაზიანდა.
ზედა ლუკის გახსნას ვცდი-
ლობთ, არაფერი გამოდის. არა-
და ტანკში როდემდის უნდა
ვუცადოთ სიკვდილს? ბოლოს,
როგორც იყო, გავხსენით სა-
თადარიგო ქვედა ლუკი და
გავედით. თან ავტომატები და
ხელყუმბარები გავიყოლიეთ.
სალამოს ბინდმა გვიხსნა, გერ-
მანელებმა ვერც კი შეგვაძინ-
ეს, ისე ვუშველეთ თავს.
ამ დროს ჩვენი დამხმარე ძა-
ლებიც შემოიჭრნენ, შევეუერ-
თდით მათ და ბრძოლით გავა-
რღვიეთ მტრის გარემოცვა.

შემდეგ ძმობილები ყველგან
ერთად იყვნენ, თანაბრად იზი-
არებდნენ სიხარულსაც და
თავზე დამტყდარ უბედურე-
ბასაც, მაგრამ ერთ დღეს, ვარ-
შავის მისადგომებთან, მოუ-
ლოდნელად დაშორდნენ ისინი
ერთმანეთს. იოსებ ბეგიაშვი-
ლი გააგზავნეს ლენინგრადის
ჯავშან-სატანკო სასწავლებელ-
ში, რომელიც 1945 წლის თე-
ბერვალში დაამთავრა. მალე
მას სატანკო ასეული ჩააბარეს
და ფრონტისაკენ დაიძრა
ძველანაგვლი ვაჟკაცი. ვიდრე
ქალაქ ბრესლაუმდე მივიდო-
და, ომიც დაამთავრდა. დამთავ-
რდა, მაგრამ იოსებს არ ასე-
ვებდა ფიქრი ომის ქარტეხილ-
ში შექმნილ რუს მეგობარზე.
სად არ მისწერა, ვინ არ შეა-
წუნა, მაგრამ ვერა და ვერ იქ-
ნა ვლადიმერ მეშალკინის გზა-
კვალის პოვნა...

1947 წლის დასაწყისში იო-
სებ ბეგიაშვილი ორდენებითა
და მედლებით მკერდლამშვენი-
ბული დაბრუნდა მშობლიურ
სოფელში. შინ საშინელი ამ-
ბავი დახვდა: მისი ორი ძმა —
ნასყიდა და გოგია ფრონტზე
დაღუპულიყვნენ.

იოსებ ბეგიაშვილმა ზოოტე-
ქნიკოსად დაიწყო მუშაობა.
ოჯახს მოეკიდა, ცოლად შან-
შაშვილების ქალიშვილი ქეთე-
ვანი შეირთო. ის ქეთევანი,
სკოლაში რომ უყვარდა.

1952 წელს ძველანაგვლებმა
კოლმეურნეობის თავმჯდომარე-
დ დაასახელეს და აირჩიეს
კოლეც.

1956 წლის ერთ დღეს, იო-
სებ ბეგიაშვილის სახელზე წე-
რილი მოვიდა ურალიდან. არ
იტყვით ვისგან? ვლადიმერ
მეშალკინმა მოიწერა. აღსდგა
ძმებს შორის წლების მანძილ-
ზე დარღვეული კავშირი. კახე-
თში, ყველაზე ჩინებულ დროს,
როცა უხვი შემოდგომა კარ-
დაკარ ღებინა და დოვლათ-
ბარაქას ჩამოატარებს ხოლმე,
იოსებს ეწვია ვლადიმერ. მე-
შალკინი ცოლ-შვილით.

რითაც დამშვენებულია და

ამაყობს კახეთი, ერთიანად
მოატარა და აჩვენა იოსებმა
ფრონტელ მეგობარს.

ალაზნთან რომ ჩაიმუხ-
ლეს და ბადე გაშალეს, იმ ბა-
დესავით ვლადიმერ მეშალკი-
ნმაც, რაც კი გულში ჰქონდა,
ერთიანად გადმოებრტყა:

— ჩემო იოსებ, კაცური კა-
ცი რომ იყავი — ვიცოდი,
ბაჯალლო გული რომ გქონდა—
მრავალჯერ მიგრძენია, ქართ-
ველი ხალხი რომ სტუმართ-
მოყვარე იყო, სად არ გამიგო-
ნია, მაგრამ სხვათა სიხარული-
სა და ტკივილის გათავისება
თუ ასე შეეძლო, ეს არ ვი-
ცოდი. გამოგიტყდები, ძმაო
იოსებ, არ მეგონა, თუ ამდენი
შინმოუსვლელი ჰყავდა საქარ-
თველოს.

ალაზნთან სახელდახელოდ
გაშლილ სუფრას თანდათან
ემატებოდნენ ღვინისა და
ძმობის პურ-მარილზე მოწვე-
ულები.

* * *

იოსებმა საკოლმეურნეო
დოვლათ-ბარაქა რომ ჩააბინა-
ვა, ეწვია ვლადიმერ მეშალ-
კინს. გაიხარა მასპინძელმა
ქართველი კაცის სტუმრობით.
მეორე დღეს, მეშალკინმა ოჯა-
ხში თავისიანებს თავი რომ
მოუყარა, პირამდის ვაავსო
იოსების ნაჩუქარი ყანწი და
ამაყად განაცხადა:

— აჰ, ჩემთან, იმყოფება
ქართველი ვაჟკაცი, რომელიც
ჩემი ძმა და მეგობარია. ჩვენ
ერთად მივდიეთ ვარშავამდე
მტრს. ამ გრძელ გზაზე ბევრ-
ჯერ სიკვდილს შევეჩხე და ამ
დალოცვილმა მისხსნა. მე თუ
ახლა ცოცხალი ვარ და თქვენს
შორის ვიმყოფები, ამ კაცის
წყალობითაა.

ვლადიმერ მეშალკინი კრას-
ნოკამსკის საქალაქო საბჭოს
ალმასკომის თავმჯდომარე და
მუშაობდა, იოსებ ბეგიაშვილი
ისევ ძველი ანაგის კოლმეურნე-
ობას ედგა სათავეში. ერთიც
და მეორეც დიდ საზოგადო-
ებრივ საქმეს იყო შეჭიდულ-
ი და ჩინებულადაც უძღვე-
ბოდნენ. ამაზე ნათლად მეტყ-
ველებდნენ საბრძოლო ორდე-
ნებთან ერთად შრომაში მიღე-
ბული ჯილდოებიც.

ამ ურთიერთ ძმობასა და
სიყვარულში ჭალარა მოეძა-
ლათ ფრონტელ მეგობრებს.
ვლადიმერი პენსიაზე გავიდა,
მაგრამ წუთითაც არ ჩამოს-
ცილებია მშობლიურ ქალაქზე
ზრუნვას; ასევე იოსებიც, პენ-
სიაზეა, მაგრამ კვლავ ემსახუ-
რება საკოლმეურნეო საქმეს.
ძმობისა და მეგობრობის
ფერხულში მარტო ეს ორი
ფრონტელი ძმადნაფიცი რო-
დია ჩამბული, მათი შვილებიც
და შვილიშვილებიც იღებენ
მონაწილეობას. მეგობრობაც
და სიყვარულიც ამას ჰქვია!
სიღნაღის რაიონი,
სოფელი ძველი ანაბა.

სახალხო მწერალი

ქართველმა ხალხმა დიდი
სიყვარულითა და მადლიერე-
ბით აღნიშნა უკვდავი სახალ-
ხო მწერლის ეგნატე ნინო-
შვილის დაბადების 125 წლის-
თავი. ლანჩხუთმა უმასპინძლა
თავისი სასიქადულო შვილის
პატივსაცემად შეკრებილ მწე-
რლებსა და მეცნიერებს, ხე-
ლოვნებისა და კულტურის
მოღვაწეებს, მეზობელი რაი-
ონებიდან ჩამოსულ საზოგა-
დოებს.

ზეიმის მონაწილეები ეწვი-
ვნენ ვ. ი. ლენინის ძეგლს და
გვირგვინით შეამკეს იგი.

უამრავმა ხალხმა მოიყარა
თავი სოფელ ჩანჩეთში, მწერ-
ლის საფლავთან გამართულ
მიტინგზე.

მიტინგი გახსნა სახალხო
დეპუტატთა ლანჩხუთის რაი-
ალმასკომის თავმჯდომარემ
თიმურაზ გუგუნავამ. სიტყ-
ვები წარმოთქვეს გიორგი მე-
რკვილაძემ, სოლომონ ხუცი-
შვილმა, თამაზ კვაჭანტირაძემ.

ორატორებმა დაწვრილებით
ილაპარაკეს იმ დიდ ღვაწლსა
და დამსახურებაზე, რაც ეგნა-
ტე ნინოშვილს მიუძღვის XIX-
XX საუკუნის მიჯნის ქართუ-
ლი ლიტერატურის განვითარე-
ბაში. აღინიშნა სახალხო
მწერლის სანიმუშო წინეობრი-
ვი სიფაქიზე და უანგარობა,
რითაც ასე გამოირჩევა მისი
შემოქმედება. მშობელმა ერმა
სიცოცხლეშივე შეიყვარა ხა-
ლხის ბედნიერებისათვის შეუ-
პოვრად მებრძოლი შემოქმე-
დი.

ზეიმის მონაწილეები ეწვი-
ვნენ სოფელ არჩეულს (ჩიქ-
ვეთს), სადაც მწერლის სახლ-
მუზეუმი მოთავსებული (დი-
რექტორი მიხეილ ვადაჭკო-
რია). მუზეუმში დაცულია ექ-
ვის ათასზე მეტი ექსპონატი.
მათ შორის, აკაკი წერეთლის,
იაკობ გოგებაშვილის, ფილიპე
მახარაძის, იაკობ ნიკოლაძისა
და სხვათა ავტოგრაფული მო-
გონებები. აქვე ინახება ეგნა-
ტე ნინოშვილის თხზულებათა
სხვადასხვა დროინდელი გა-
მოცემანი, ნივთები, რომლე-
ბიც მწერლის სახელთანაა და-
კავშირებული.

წარუშლელი შთაბეჭდილე-



ეგნატე
ნინოშვილი

ბა მოახდინა დამსწრე საზოგა-
დოებაზე ღია ცის ქვეშ მოწყო-
ბილ თეატრონში ადგილობ-
რივი სცენისმოყვარეების მი-
ერ დადგმულმა წარმოდგენამ.
ჩვენს თვალწინ გაიარა ეგნატე
ნინოშვილის გამართა მთელმა
პლეადამ — გოგია უიშვილმა
და კაცია მუნჯაძემ, სიმონამ
და ქრისტინემ, მოსე მწერალ-
მა, დავით დროიძემ...

საიუბილეო საღამო, რო-
მელიც ლანჩხუთის კინოთეა-
ტრში ჩატარდა, შესავალი სი-
ტყვით გახსნა პარტიის ლან-
ჩხუთის რაიკომის პირველმა
მდივანმა თამაზ კუნჭულიამ.

საღამოზე ეგნატე ნინოშვი-
ლის ცხოვრებისა და შემოქმე-
დების შესახებ ვრცელი სი-
ტყვით გამოვიდა საქართვე-
ლოს კომპარტიის ცენტრალუ-
რი კომიტეტის მდივანი გურამ
ენუქიძე.

სიტყვები წარმოთქვეს მწე-
რებმა გიორგი ციციშვილმა,
რევაზ ჯაფარიძემ, ვახტანგ
ჭელიძემ, ფრიდონ ხალვაშმა,
ჯანსუღ ღვინჯილიამ, მწერლის
სახლ-მუზეუმის დირექტორმა
მიხეილ ვადაჭკორიამ. ეგნატე
ნინოშვილისადმი მიძღვნილი
ლექსი წაიკითხა შუშანა მგე-
ლაძემ.

რაიონის ცენტრში უჩვენეს
მუსიკალურ-მხატვრული კომ-
პოზიცია „დიდება შრომას“. მაყურებლის წინაშე წარდგნენ
რაიონის საუკეთესო ანსამბ-
ლები, მომღერლები, მოცეკვა-
ვეები, სახალხო მთქმელები,
დეკლამატორები.

ზეიმმა ერთხელ კიდევ ცხად-
ჰყო ხალხის ბედნიერებისათ-
ვის თავშეწირული მწერლის
უკვდავება.

გოგონა

ეროვნული
საბავშვო ჟურნალი

რვაზ ინანიშვილი

Прелестная и печальная,
как грузинская царевна...

ო. ბუნინი

მზიამ თვალები გაახილა, რამდენჯერმე დაახამხამა, მერე კიდევ უფრო ფართოდ გაახილა. გარეთ, ფანჯარასთან, მერცხალი იჯდა და ყიჟყიჟებდა. მზია უსმენდა და ელიმებოდა. „ბერი ცხონდა, ბერი ცხონდა, კატუნები ყლიტ!“ — იმეორებდა მერცხალი. მზია წამოდგა, შიშველი ბოცოცა ფეხების იატაკზე ფრთხილი შეხებით მიიპარა ფანჯარასთან, ფანჯრის რაფას თითებით დააწვა და მერცხალს გახედა. მერცხალი კედლიდან გაშვერილ ლატანზე იჯდა, დაინახა მზია, ასაფრენად აზიდა მხრები, მაგრამ არ აფრენილა. ცნობისწადილით იყურებოდა მალლიდან. მზიამ გაუღიმა. მერცხალი კიდევ უფრო მეტი ცნობისწადილით ჩამოაჩერდა. მზიამ წყნარად უთხრა, — იყიკიკე! იყიკიკე! მერცხალმა თავი დაყურადებით გადასწია გვერდზე, თითქოს ამას ამბობდა, — გაიმეორე, რა სთქვიო! მზიამ გაუმეორა: — იყიკიკე, იყიკიკე! მერცხალმა ერთი ამოიყიკიკა, აფრინდა, მზიას გამოუფარფატა წინ, კამარა შეჰკრა, — აი, კიდევ რა ვიცი მეო, — და წავიდა, გაფრინდა, თვალს მოეფარა.

მზია ცოტა ხანსაც იდგა ფანჯარასთან გალიმებული, მერე გადაიწია, ძირს გადაიხედა. ღამით ცოტა მოეწვიმა, ძირს მიწა სველი იყო. მზია გამობრუნდა, ტრელაჟთან მივიდა, პერანგის სამარეები გაისწორა, თედოებთან ჩაიჭიმა. რომ ჩაიჭიმა, მკერდი ორ ადგილას წამოემწვეტა და ჩაუშუქდა. სახეზე სიწითლემ აუარა. სწრაფად წასწვდა კაბას, გადაიცვა, კაბა ისე იყო შეკერილი, აღარავითარი შემალღებები აღარ ეტყობოდა. დამშვიდებულმა წაყო ჩუსტებში ფეხები, აივანზე გავიდა, ხელები თეძოებზე დაიწყო, — თეძოებმა ხელისგულები ამოუფესეს, — წელში გადაიხარა-გადმოიხარა.

მიწა აქეთაც სველი იყო. მზეს შემოემალღებინა. იმ ჩახჩახა სინათლეში ბებია ჩაკუნტულიყო და ჭუკებს მატიტელას უჭრიდა. მზიას თვალები ეჭუტებოდა. — ფეხზეცა ვძინავს, გოგო? — დაუძახა ბებიამ. მზიამ თვალები დიდად გაახილა, ქვეყანაც თითქოს უფრო გაბრწყინდა. ბალის ბოლოში, კაკალზე, მოლაღურები იძახდნენ. მესერზე ამოსულ აყვავებულ გოგრას ფუტკრები დაზუზუნებდნენ, ვარდის კოკრებიც გაშლილიყო. მზია ჩავიდა, ვარდის ტოტი ფოთლით ფრთხილად გადმოსწია და პირვარსილ კოკორს დაეყნოსა. — თმა დაივარცხნე, გოგო, რას გივაგვს! — ისევ დაუძახა ბებიამ. მზია აივანზე აბრუნდა, კუთხეში მიმდგარ პირსაბანთან მივიდა, პასტა და ჯაგრისი აილო, დაიწყო კბილების ხეხვა. იხეხა, იხეხა, იხეხა. ივლო წყალიც. დაკრიჭა კბილები, ჩაიხედა სარკეში. სულ თეთრი შუქით უბრწყინავდა კბილები ტუჩების სველ სიწითლეში. დაიბანა პირიც, დაივარცხნა თმაც. თმის ბოლოები ერთად მომუჭა, წამლის შუშიდან მოხსნილ რეზინის რგოლში გაუყარა, ის რგოლი კეფამდე აიწია, თმის ბოლოები გაფანტა, თანაბრად გაინაწილა სისრულეში შემავალ კისერზე. ფეხის წვერებზე დადგა და ახლა ისე იხედებოდა სარკეში. სარკიდან თითქოს ახლად-წვიმაგადავლილი ზაფხულის დასაწყისი იყურებოდა — ოქროსფრად გასხივოსნებული მრგვალი, მკვრივი სახით, განზე გასული დიდი თეთრი ყურებით. ხვერდოვან ფოფინა თვალებში თან ღიმილი ედგა, თანაც — რაღაც სევდა. თითქოს უფრო

დასევდიანებული მოსცილდა პირსაბანს. მოწყენილ ნაბიჯებს მიადგამდა აივანზე. პატარა ოთახში შევიდა. მაგიდაზე მომინანქრული ქვაბი იდგა. სახურავი ახადა. ჯერ ისევ თბილი რძე იყო. კარადიდან პური, ჯამი და კოვზი გამოილო. პური პატარ-პატარა ნატეხებად ჩატეხა ჯამში, ქვაბიდან რძე დაასხა. ისევ საძილე ოთახში გავიდა, წიგნი გამოიტანა, კარგად გაშალა, ქვაბზე მიაყუდა ასე გაშლილი; თან ჭამდა, თან კითხულობდა. წიგნში გოგოსა და ბიჭს ერთმანეთი უყვარდათ, გოგო ბიჭს აწვალებდა, ამცირებდა. საჭირო იყო თუ არა, სულ კისკისებდა. მზია ბრაზობდა, თვალები უფრო და უფრო უსევდიანდებოდა. ფეხის ხმა შემოესმა, აიხედა. კარის მინაში დიდპირა მათა იჭყანებოდა. შემოალო კარი, — მარწყვზე მივდივართ, არ წამოხვალო? სკამს საზურგულში ჩაეჭიდა, გამართული მკლავებით ასწია. მათა ძალიან ღონიერი იყო. მზიაც ღონიერი იყო, მაგრამ მათს მაინც ვერ შეედრებოდა. მათა ბიჭებსაც კი ეჭიდავებოდა. — ვინა და ვინ მიდინხართ? — მე, ჩვენი თამაზა, გულო, ქეთინო და მერიკო. მზიას წიგნი არ ეთმობოდა, მაგრამ მარწყვზე წასვლაც უნდოდა. — წამოვალ. ჯამი სწრაფად მოასუფთავა. — ტოლჩები მიგაქვთ? — ჰო, ტოლჩები. მზიამ ტოლჩა მოძებნა. — ქუდიც დაიხურე, ნანინანატრი ხარ, მზე არ ჩაგივარდეს თავში. მზიას გაელიმა. მაგრამ მაინც მოძებნა ჩალის ქუდიც. დაიხურა, გავიდა აივანზე, სარკესთან გაისწორა. — რა პრანჭია ხარ, რა! — ცხვირს იჭმუნინდა მათა. მზია კმაყოფილი იყო. ჩალის ქუდის სითეთრეში თავი უფრო ლამაზი ეჩვენებოდა.

ბებიას ჭუკები დაეპურებინა და ახლა ხახვის კვალს მარგლავდა. გოგოები რომ დაინახა, მობრუნდა და იკითხა:

— საით დამწყრივდით, ქალბატონებო?
— მარწყვზე მივდივართ, სონა ბებო.

— ვინა ღმ ვინა?

— მე, ჩვენი თამაზა, გულო, ქეთინო და მერიკო.

— დიდი არავინ მოგდევთ?

მაიამ მზიას შეხედა ამრეზილი ღიმილით, ჩვენ რაღა დიდები გვინდაო. სონა ბებოს კი ეს უთხრა:

— აქვე მივდივართ, აი, ნაკალოვრების იქით.

— მერე, ნაკალოვრების იქით ვერ დაგიჭერენ, რო რამე იყოს? — სონა ბებო წამოდგა, — არა, თქვენი ჭირიმი, მე ეგრე თქვენ არ გაგიშვებთ, მე წამოგყვებით და ეგრე კი არ გაგიშვებთ.

მზია გაჩერდა, ბრაზი ჩაუდგა თვალებში.
— ვინ უნდა დაგვიჭიროს, ქალო?!

— ძალომა და მამაძალომა, რა ვიცი.

სონა ბაბო უკვე კაბის კალთებს იბერტყავდა. მზია მიბრუნდა და გაბუტული

წავიდა სახლისკენ. მათა დაედევნა და ჩუჩულთ ჰკითხა:

— აღარ წამოხვალ?
— აღარა.

მათა წამით შედგა. მოისმა სონა ბებოს ხმა:

— თუ გამებუტეთ, პურს აღარ შევჭამ დარდით.

— წამოვიდეს, რა გინდა, გოგო.
— არა.

მათა აივანზე აჰყვა მზიას. უცებ მზიას სახე შეეცვალა.

— შენ წადი, მე მოვალ.

ოთახში შევიდა, უკანა ფანჯარასთან ერთი მოიხედა, ბებია ხომ არა მხედავსო, მარჯვედ გადავიდა ფანჯრიდან და ძირს ჩახტა. იქ დალუნულ-დალუნული წავიდა! მათამ კიბე ჩამოირბინა. სონა ბებოს რომ გაუპირდაპირდა, ისევ მოესმა.

— აიცხვირება ხელათ!.. თუ აიცხვირე, პურს აღარ შევჭამ დარდითა.


მათამ თავჩალუნულმა განაგრძო გზა, თანდათან აუჩქარა ფეხს. დიდ გზაზე გავიდა და მზიაც დაინახა, ზემოდან მოდიოდა გალიმებული. — რა გასაქრობი ხარ, გოგო! მზიამ არაფერი თქვა. — თან რა ლამაზი! სუ კინოში გამოსულსა ჰგავხარ! მზიამ წყნარი მუქარით შეხედა.

თამაზა, გულო, ქეთინო და მერიკო გზის პირას იცდიდნენ. მზია და მათა რომ დაინახეს, წამოდგნენ. — მოვიდა სონა ბებოს ნატვრის თვალი! — წამოიძახა თამაზამ. — აჰა, შენა! — მუშტი უჩვენა თამაზას მზიამ. თამაზა მიბრუნდა. თავი მხრებში ჩარგო. წავიდნენ ყველანი. ყაყანი მიდიოდნენ. მარტო მზია იყო ჩუმად. ის ხან ერთს შეანათებდა თვალებს, ხან მეორეს. აეკვირებოდა ბუტუსურა სპირიდონაც, ცოტა ყუყუჩი, მაღალი ბიჭი. რა უნდა ექნათ? წაიყვანეს. გოგოები თორმეტ-ცამეტი წლისები იყვნენ. ბიჭებიც. მხრებში გამოსული ლაღი თამაზა მიუძლოდათ წინ.

სისველესრჩენილი გზა ბალ-ვენახებში მიდიოდა. ბალ-ვენახები მზეში ბრწყინავდა. ხან ჩიტბატონების ვალომა ისმოდა. ხან მოლაღურების გადაახილი, ხანაც მერცხლების ყიჟყიკი მალლიდან. თუთები მწიფდა. წასწვდებოდნენ ღობიდან გადმოწვდილ ტოტებს. აიწვეოდა მზიაც, აჰყვებოდა კაბის კალთა, უცებ ჩამოუშვებდა ხელებს. გაუბედავად გააპარებდა მზერას თამაზასკენ. თამაზა ვითომც სულაც ვერა ხედავდა მზიას. ბუტუსურა სპირიდონას მისკენ მიჩერებული მზერა კი დაიჭირა ორჯერ.

გავიდნენ ვენახებიდან, გადახედეს და თავთავებულ, ოდნავ სიყვირთლგადაკრულ ყანებს. აქა-იქ ამომწვანებული ძეძვის წვერებზე მწყურჩიტები ისხდნენ და გაგრძელებით ჭყრილებდნენ. ფერღობი ჰქონდათ ჩასავლელი, იმ ბალახთან ფერღობზე გაიქცნენ. გოგოები გაიქცნენ.

ბიჭები უკან დარჩნენ და გოგოების სი-
ბილს სიცილით უყურებდნენ. მერე ისი-
ნიც დაეშენენ, ყანებს შორის დარჩენილ
წერებს გაეფინნენ, იქიდან ტყისპირა წა-
რაფებში გავიდნენ. იყო ჯაგრცხილებისა
და ჩოქელა მუხების კორამებიც. ბა-
ლახების ძირებს სისველეს შერჩენო-
დათ. ისმოდა მწყერების „ქვითკირო“
და ტოროლების გალობა ცაში, იპო-
ვნიდნენ მარწყვს და უხაროდათ, — აი,
როგორი მწიფე, აი, როგორი მწიფე!
მერიკომ ძალიან მსხვილი მარწყვი იპო-
ვა, მაღლა ჰქონდა აწეული და იძახდა: —
შეხედეთ, შეხედეთ, როგორიაო. თამაზა
მივიდა, გაიკვირვა: — ბიჭო, რამისსოაო!
მიუახლოვა სახე იმ მარწყვს, უცებ სტაცა
ხელი და პირში იკრა. მერიკომ მუშტები
დაუშინა. თამაზა გაეჭკა და მზიასთან ჩა-
იმუხლა, — მერიკო მოსაკვლელად მომ-
დევსო. მზიას ჩალის ქული უკან გადაეგ-
ლო და ისე ქექავდა ბალახებს. თამაზას
მოწყალე თვლით გადახედა. თამაზა გა-
ხალისდა. ზედიზედ იპოვა მსხვილი მარ-
წყვები, ხელისგულზე დაიწყო და მზიას
გაუწოდა. მზიამ იუარა, — არ მინდაო.
მაშინ თამაზამ ყველა ერთად გადაუშვა დი-
დად დაღებულ პირში. მზიას გაეცინა. —
ვიპოვე! ვიპოვე! — ხან საიდან ისმოდა,
ხან საიდან. მზია მაინც სულ ჩუმად იყო.
თან გახარებული იყო — ახარებდა მინ-
დორი და ტყე, ყანა და ლამაზი, სურნე-
ლოვანი მარწყვები — თან რაღაც შეუ-
ცნობელ სევდას გრძნობდა. წავიდოდა,
განაპირდებოდა, გადიდებული თვლებით
ათვალიერებდა ბალახებს. მოკრეფდა მარ-
წყვებს, გაატოკებდა ხელის გულზე და
ჩაყრიდა ტოლჩაში. გადაუფრენდა მერცხ-
ალი ჟიკიკით და იმასაც ახედავდა ღიმი-
ლით. ცა იყო მოწმენდილი, მოწმენდილი.
ბალახები — ყვავილებჩარეული. წადგა
ბუჩქებიან ჩადაბლებულს. ჩავიდა იმ ჩა-
დაბლებულში. იქ წყალი მიიჭურებოდა.
ჩაყო ხელი პატარა წმინდა დატბორებულ-
ში, ალაღალედა თითებს. ჩქამი რამ
მისწვდა. აიხედა. თვალებს არ დაუჯერა,
დაახამხამა და დაახამხამა. ხუთი ნაბიჯიც
არ იქნებოდა — ხარირემი იდგა, დიდი, დიდ-
რქებიანი, ბეჭებგლუვი და ბეწვდაპეწი-
ლი. გაოცებულნი უყურებდნენ ერთმა-
ნეთს, მზია თვალბს მაინც ახამხამებდა,
ირემი — არა. ირემს ნათურებივით ანთე-
ბული თვლები ჰქონდა. მზია წამოდგა,
ირმისკენ ხელი გაიწოდა, ნაბიჯიც წადგა,
ცოტაც და ხელს შეახებდა. ირემმა ოდნავ
დაწია თავი. წინწამოწვილი ალუნული
რქები ახლა ფიწალივით იყო მოშვერილი
მზიასკენ. მზიამ თითები შეატოკა, — მო-
დი! მოდი! ირემი შეკუნტრულდა, ორი ნა-
ხტომით დაიხია უკან. ისევ ანთებული
თვლებით უყურებდა მზიას. — მოდი!
მოდი! — ვაიმე, გოგო, ირემო! — დაი-
ძახა ამ დროს მაიამ. გამოჩნდა დაფეთე-
ბული თამაზაც. ირემმა თავი ასწია, დაბე-
რილი ნესტოები შეატოკა. აიწია, უკანა
ფეხებზე დადგა, თითქოსდა თავი დაუკრა
მზიას, — მზიამ ერთხელაც დაინახა მისი
გიზგიზა. გასაოცარი თვლები, — ჰერ-
მევე შებრუნდა, რქები წინ გადაიქნია და
გრძელი, რბილი ნახტომებით ტყეწვირის
შეერია. მზია მისკენ გაიქცა. თვალი ველ-
არ მოჰკრა. გაჩერდა. ისევ გაიქცა. ისევ
გაჩერდა. მაიამ რომ მოიბრინა, მზია ბა-
ლახებში იჯდა გამტერებული. სხვებმაც
მოიბრინეს. მხოლოდ თამაზა და სპირი-
დონა დარბოდნენ ტყეში გაუგებარი ძა-
ხილით: — ააა!.. მაიამ ჩაიჩოქა. — რა
დაგემართა, ხო არ გერჩოლა, გოგო! მზია



ხმას არ იღებდა. მაიამ მხარზე ხელი დაა-
დო და შეაჭანჭყარა, — ხმა ამოიღე, გოგო!
მზიამ ამოხედა, სასიამოვნოდ იღიმებოდა,
თვლები კი თითქოს ცრემლით ჰქონდა
სავსე. — ფასონისტკა ხარ, რა!.. გულო და
ქეთონოც ამრეზით უყურებდნენ. მერი-
კოც. მოიბრინეს თამაზამ და სპირიდონა-
მაც. მზია დაშავებულივით დგებოდა. —
რას ელაპარაკებოდით, გოგო, ირემს? მზიამ
ერთი მათაც შეხედა. არაფერი კი არ უთქ-
ვამს. წავიდა, ტოლჩა მოძებნა და ჩადაბ-
ლებულიდან დაიწყო ასვლა. — სუ პრან-
ჭიაობს, სუ პრანჭიაობს! — გაადევნა მე-
რიკომ. — რა იყო, როგორ იყო, გოგო?
მისდევდა თამაზაც. — დამანებე თავი! —
მზიამ იდაყვი გამოუქნია, თამაზა გაჩერ-
და, საფეთქელთან გაშლილი ხელი მიიტა-
ნა და შეატოკ-შემოატოკა. მზია კუნულის
ბუჩქთან მივიდა, ჩაიხარა და ფრთხილად
გადასწია ბალახები. გულმოდგინედ განა-
გრიობდა მარწყვების ძებნას თუ ბალახე-
ბისა და ყვავილების მოფერებას. მერე
თითქოს მუხლები დაეღალა, ადგა, გასწო-
რდა, იდგა, იხედებოდა აქეთ-იქით ღიმი-
ლით. აიხედა მაღლა. დახუჭა თვლები,
ისე მისჩერებოდა მზეს. ხელები ბარძა-
ყებზე ჰქონდა დაწყობილი. აიზმორა,
აიჭიმა, — ნემსებივით ეყრებოდა მზის
სხივები სახეზე, — აჭიმა ხელებიც ცის-
კენ. სხვა სამყაროდან მოსულ ხმებად ეს-
მოდა მისი მისატყუებელი ძახილი: —
„ირემი!“ ირემი!“, მწყერის „ქვით-კირო“,
„ქვით-კირო!“, მწყერჩიტების ჭყრიალი,
ციდან ჩამომავალი ტოროლას გალობა.
მოდიოდა სულ სხვანაირი სისათუთის
სიოც.

— რა ხდება, რა ამბები ტრიალებს ჩემს
თავს?! — დაიძახა მზიამ. თავისმავე ხმამ
შეაკრთო, ბუჩქს მოეფარა და იქ დაასრუ-
ლა სათქმელი — ისევ თავაწეულმა, ბარძა-
ყებზე ხელებდაწყობილმა, — ვინ გამოგ-
ზავნა ირემი მაინც ჩემთან?!

მზე იცინოდა. ათას გრძელ სხივად იშ-
ლებოდა მისი სიცილი...

* * *


ახლა ზამთრის პირია, ცივი, მოღუშუ-
ლი დღეები. მზიას მაღალყელიანი თეთრი
ფაფუკი სვიტერი აცვია, ოდნავ შემალ-
ლებული მკერდთან. ყელმომიშვლებული
ხომ ლამაზი იყო, ყელდაფარულიც ლამა-
ზია. თეთრი, ქათქათა სვიტერი, შავდ-
მოხატული ხვედროვანი თვლები და წი-
თელი, წითელი ტუჩები! თმა სწორად აქვს
ჩამოვარცხნილი მირეი მატეისავით, მაგ-
რამ დიდი, მრგვალი ყურები მაინც მოუ-
ჩანს, ეჩვენება, რომ მის მრგვალ, მკერივ,
სახეს ყურები ასე უხდება.

დაჯერებული ნაბიჯით გაივლის სარკი-
დან ფანჯრამდე, იქ პატარა მაგიდასთან
დაჯდება, წიგნს აიღებს და კითხულობს,
კითხულობს. ხანდახან დახუჭავს თვა-
ლებს, ჩაყურადდება. მაშინ მკერდიდან კა-
ტის კრუტუნით ტკბილად, გაბმულად
შემომისმის: — ბედნიერი იქნები, მზია! ბე-
დნიერი იქნები, მზია! დაინახავს კიდევ ამ
ხმის გამომცემს, ნათურებივით ანთებულ
ირმის თვალბს. გაეღიმება თითქოს მძი-
ნარის ღიმილით, და ამ ღიმილში დაინა-
ხავს სხვა რამესაც — დარღს. შემკრთალი
დააჭყეტს თვალბს...

ეს დარღი მსხვილი მუქიწვეთივით თუ
საყურესავით ჰყლია გულის წვერზე და
ქანაობს, ქანაობს, წუთით არ შეიძლება
მისი გაჩერება.

ქარბუქი

საშობაო არდადეგები იდგა. პატარძე-
ულში თოვლი იდო. დილით ძალიან წი-
თელი მზე ამოვიდა. მზეს ცივ-გომბორზე
და იალნოზე დაწეწილი თეთრი ღრუბლე-
ბი დახვდა. ის ღრუბლები ვარდისფრად
შეიღებდა. ცოტა ხანში ქარმა დაუბერა.
შუადღისთვის ქარი ისე გაძლიერდა, ეშ-



შაქის კალო დაატრიალა. მინდვრებიდან წამოხვეტილ თოვლს სოფელს აყრიდა წივილით. ჩამობნელებულ ორლობებში ნაბუჭი და ბულბულებიდან აგლეჯილი ბალახები ერთმანეთში ირეოდა. გზები მიინამქრა. დიდ გზაზეც კი აღარავინ ილანდებოდა.

ნაშუადღევს სოფლის მასწავლებელი ნიკო ბილანიშვილი თავისი სახლის ფანჯარასთან იდგა და გარეთ იყურებოდა.

— ხო ვითხარით, დიდი ქარი ამოვარდება-მეთქი! — ლიმილით ამბობდა ნიკო, — ამოვარდა თუ არა?! ჩვენთან კიდევ რა უჭირს, ვალმა გაიხედეთ, ვალმა რა ამბავია! წაილო ქვეყანა.

ნიკოს თხუთმეტი წლის ქალიშვილი ძიძია ლუმელთან იჯდა და წიგნს კითხულობდა. მამის სიტყვებზე წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, თითებით ჩანიშნული წიგნი უკან დაიჭირა, წაბლისფერი რბილი ნაწნავის ბოლო წიგნის ქვეშ მოექცა.

მართლაც-და, ვალმა, სართიჭალის თავზე, შავი კორიანტელი იდგა. ის კორიანტელი მამის ჩნდებოდა, როცა გამოდმა ცოტა ნათდებოდა. ქარის ზუზუნის და გაბმული გმინვა თითქოს იჭიდებდაც კი გამოდიოდა.

ნიკოს მეუღლე, ქეთო, კერძისთვის ხახვს ჭრდა. იმან იქ, მაგიდასთან, ხახვის სიმწარეს სახემორიდებულმა თქვა:

— ვაი იმათ, ვისაც ამ ქარმა სამგორში მოუსწრო.

— აბა, აბა! — დაუდასტურა ნიკომ. კმაყოფილების გამომეტყველებით წამოვიდა ლუმელისკენ. სახლი მკვიდრი ედგა, ქარი ფანჯრის მინებსაც კი ძლივს აზნაზნებდა. შეშაც ბლომად ჰქონდა, დაჭრილიც, დაუჭრელიც. ლუმელთან დაიხარა, შეშის ნაჭერი აიღო.

— მამა! — დაიძახა ძიძიამ, — ვილაცხები იძახიან.

— ვინ ვილაცხები? — შეშის ნაჭერი ლუმელს შეუკეთა და ისე წამოვიდა ფანჯრისკენ ნიკო.

უკვე ძალიან იფათრებოდა.

ნიკომ ფანჯარასთან თვალები მოჭუტა. ეზოს ბოლოში, ძეძვის ღობეში ჩადგმული წვრილი ფიცრების ალაყაფთან, ფიჭების კორიანტელში გახვეული ორი კაცი იდგა. ძალი უფრო და უფრო გაცხარებით იყეფებოდა. ნიკომ პალტო მოიგდო, ქუდი დაიხურა და გარეთ გავარდა. ძიძია ხედავდა, როგორ მიდიოდა მამა აკორიანტლებულ ნაბუჭში, როგორ მივიდა ალაყაფთან, ხელები მალა ასწია, ალაყაფი ვალო, ერთ კაცს გადაეხვია, მეორეს ხელი ჩამოართვა და მერე სამივენი, დახრილნი, ქარს გამაღიანებულნი, ჩქარი ნაბიჯით წამოვიდნენ სახლისკენ. მოსულებს ყაბალახები ჰქონდათ მოხვეული, მხარ-ილივ თოფები ეკიდათ, პატარა მეძებარი ძაღლები ფეხებში ებლანდებოდნენ.

ნიკოს მეუღლემ ფანჯარასთან მოსულ იყო.

— ვინ არიან? — ეკითხებოდა დედას ძიძია.

დედა მხრებს იჩიჩავდა.

ამოვიდნენ კაცები მალა. სტუმრები იატაკზე ფეხებს აბრახუნებდნენ, ნიკო ეწეოდა, წამოდით, კაცო, წამოდითო. გაალო კარი, ჯერ სტუმრები შემოვიდნენ, მერე ნიკო. სტუმრებს თოფები მოეხსნათ, ყაბალახები გადაეწიათ. დათბილულ ქურთუკებზე სავაზნეები ჰქონდათ შემოკრული. პირველად შემოსულმა, ბეწვის ქუდიც მოიხადა და თეთრი კბილების გა-

მოჩენით თქვა:

— აქა მშვიდობა!

— ნიკოს მეუღლემ ახლა კი იცნო.

— ვაიმე, ბატონო ვანო!

ხელში შერჩენილი დანა და ხახვი ფანჯრის რაფაზე მიყარა, ხელებზე დაიხედა, აღარ იცოდა, რა ექნა, რა მოემოქმედა. ხელები წინსაფრის ქვეშ დამალა.

— ხელები ხახვიანი მაქვს... როგორ გავგახარეთ, როგორ გავგახარეთ, ბატონო ვანო.

სტუმარმა მინც გამოართვა ხელი და მაჯაზე აკოცა. ვაწითლებულმა ქეთომ საფეთქელთან შეახო ტურჩები. — ღმერთო! ღმერთო! — იძახდა თან.

სტუმარი მეორე მონადირისკენ მიბრუნდა. ის რუსი იყო. იმასაც ქუდი მოეხადა, კეთილად იღიმებოდა.

— ჩემი მეგობარი ბელიკოვი. ფუტლიარიდან არი. ძველი რკინიგზელი, ქართული მშვენივრად ესმის.

— სასიამოვნოა, სასიამოვნოა.

ბელიკოვსაც მაჯასთან ჩამოართმევინა ხელი ქეთომ.

— ეს თქვენი გოგონაა, ხომ? — მიდიოდა ძიძიასკენ ვანო.

— ჩვენია, ჩვენია.

— გამარჯობა, შვილო! — ვანომ ხელი ჩამოართვა და შუბლზედაც აკოცა.

— ვერ იცანი, გოგო?! — დაიძახა ნიკომ.

— ბატონი ვანო სარაჯიშვილი!

ძიძიამ უკან დაიწია, მხრები აიწურა, გაწითლდა, გავარვარდა. იმან ისიც კი აღარ იცოდა, საით გაეხედა. გაიქცა, წიგნი ბამბუკის ეტაჟერზე დადო და თვითონაც იქვე გაჩერდა, ნაბიჯის გადმოდგმა ვეღარ გაბედა.

ნიკომ სტუმრებს სავაზნეები, ყაბალახები და ქურთუკები ჩამოართვა. ბელიკოვი ლუმელს მიუჯდა და ხელები მიუშვია. მეძებარი ძაღლები უკვე ლუმელის ქვეშ იყვნენ გაწოლილნი, იმათ შეესმინათ:

Успокоились, аристократы?

ძაღლებმა შეწუნებული თვალებით ამოხედეს.

ვანო არ დამჯდარა. ნიკოსთვის ხელი კისერზე ჰქონდა მოდებული და აჭანჭყარებდა.

— როგორა ხარ? ხომა ხარ ძველებურად, კიდევ აკეთებ ბომბებს თვითმპყრობელობის დასაბნობად?

ნიკო დამორცხველად იცინოდა.

ძიძიამ იცოდა, რომ მამა და ვანო სარაჯიშვილი, ქართველთა სათაყვანებელი მომღერალი, ერთხანს ერთად სწავლობდნენ ვინაზიაში. მამას ბევრჯერ უთქვამს, — სულ ვემუჭრებოდით ერთმანეთს, მე პატარძელულად, ვანო კიდევ ქიზიყელი, არა მე წაგაქევე, არა მეო, ვერ კი მოვხერხებ დამწიფებო. ეხლა ვანო ნიკოზე ახოვნად გამოიყურებოდა, კარგი, მაგარი ჩექმები და ძალიან თბილი ნართული ეცვა. ნამდვილი ქალაქური საპარიკმაწეროს სუნი დაჰყვებოდა.

— იორზე ჩამოვედით კურდღლებზე, — რბილი, სასიამოვნო ხმით ამბობდა ვანო, — აგვიტყდა ეს ოხერი ქარი, წამოვეილო, წამოვეილო და აი, მოგვიტანა თქვენთან.

— შენ გენაცვალე, ვანო. ქარსაც ვენაცვალე. დაბრძანდი, რა! — სკამს ეწეოდა ნიკო. — დაბრძანდი, ბატონო!

— ჰა, ჰა! ხომ ვიცი, როგორც გიყვარს ბატონები! რათ გინდა ეგ „ბატონო“ ჩემთან?

— მაშინ დაჯექი, კაცო.

— დაჯდები ერთის პირობით, — ჯერ

დაჯდა, მერე ისევ ადგა ვანო, — ჩემო რძალო, ქეთო, ნუ დაიწყებ ახლა მანდ პანიკური ფუსფუსი.

— რა ფუსფუსი, ბატონო ვანო! რა მშვენივრად გვიძლია ჩვენს!

— არაფერი, კაცო, — წამოვიდა ცოლს ნიკოც. — ღორი ახალი დაკლული მყავს, პურიც — ახალი გამომცხვარი. მწნილი, პატარძელური კარტოფილი და ივრისპირის ღვინო...

— არ ვიცი მე, თუ გინდათ, არ გამაქციოთ, დაწყნარდით, დამომშინდით. რა ვარანცოვ-დამოკოვითა მხედებით, რა არი?! — წავიდეს იმის!..

— ჰა, ნიკო! — ვანომ მინც ბელიკოვს გადახედა. ბელიკოვიც იცინოდა.

ქეთომ ძიძია მეორე ოთახიდან გარეთ გააბარა. თავზე შალმომხვეულმა ძიძიამ ეზო გაირბინა, ორლობეში გავიდა და მალე მეზობლის დერეფანში გამოჩნდა. მხრით შეალო მეზობლის კარი. იჭიდანვე დაიძახა:

— ჩქარა, მაგდანა ძალო! ჩვენთან ვანო სარაჯიშვილია მოსული, ჩქარა, მოგვეხმარეთ, ვიგაც წამოვიდეს, ქათმები და ინლაური დაკლას.

მაგდანა და იმისი ბიჭი გიგა სიმინდსა ფხვნიდნენ ლუმელთან. მაგდანა მაშინვე წამოდგა, კალთა ჩაიბერტყა, გიგა ისევ იჯდა და ვალრეჟილი უყურებდა ძიძიას.

— დექი, ბიჭო! — დაუტია მაგდანამ.

— ნეტა კი ქარს წაეღე, ძიძი! — ზღაპრებით წამოდგა გიგა. წამოიხსეს წამოსახურავეები, გამოვიდნენ გარეთ, კარი გადაარახეს, თავდაღუნულები წავიდნენ ქარში.

— გავექრა საქროლავი! — იძახდა მაგდანა.

ვანო და ნიკო ისევ წამოდგარიყვნენ. ნიკო მარანში აპირებდა ჩასვლას, ქვევრს უხდა მოვხალო. ვანოც მიჰყვებოდა. მამის ჩაიცვი და ყაბალახიც მოიხვიე, ნათბილარავს არ შეგცივდესო.

— ჩავიცმევ, კარგო.

ვანომ ქურთუკი ჩაიცვა, ყაბალახი მოიხვია. ბელიკოვსაც სთხოვდნენ, მაგრამ იმან ლუმელთან დარჩენა ამჯობინა. იჯდა, უშვერდა ხელებს ლუმელს და სულ იღიმებოდა. ძაღლებიც უძრავად იყვნენ იქვე.

დაბლა, დერეფანში რომ ჩავიდნენ ნიკო და ვანო, იქ გიგას, მეზობლის ბიჭს, უკვე თავები დაეყრვენიებინა ქათმებისა და ინლაურისათვის, ძიძია ინლაურს ხის თაბახში დებდა და აფათქუნებულ ფრთებზე აწვევებოდა. ვანო ნაწყენი გაჩერდა, თითქოს მართლა გაქცევა დააპირა.

— რა არი ესა! ხო ვითხარით მე!

— კარგი რა, ვანო, — შეემუდარა ნიკო, — ამაზე ბედნიერი დღე რომელი უნდა იყოს ჩემი ოჯახისთვის! ერთი ქათამი დავკლა, არა მაქვს უფლება?

ვანომ ხელი ჩაიქნია. ნიკომ მარნის კარი გააღო, ჭრაქი მონახა, მოუკიდა, კარი შევიდან მოხურა და თოხი აიღო. ვანო ექსკურსანტივით გაღიმებული იდგა. მარნის კოჭებზე ლურსმნები იყო გამწკრივებული და ზედ ყურძნის, კომშისა და გოგრა მსხლის ჯანვები ეკიდა. თახჩები ხელაღებითა და ჩაფუნებით იყო საყვ. უკანა კედელთან დაპირქვავებული გოდრები აეკოკოლებინათ. ნიკომ ერთი ქვევრისთავის ფხვიერ მიწას წამოუსვა თოხი.

— აეს ორი ქოცოა. ერთი წითელი, მეორე თეთრი. ერთიც გავსინჯო, მეორეც, რომელიც მოგვეწონოს, ის დავლიოთ.

— კარგი, კაცო, კარგი!

— მოიცა, ძმაო, ეგრე არ არის საქმე.

ნიკომ ციმციმ მოხდა სარქველები ქოცობს. ერთიც დააჭაშნიკეს, მეორეც ორივე მირონივით ღვინო იყო. მაინც ნიკომ თქვა: — წითელი უხდება ამისთანა ამინდს, ჰა?

ვანოს გაეცინა.

— შენ იცი შენი საქმისა.

— ჰო, ჰო. — ნიკომ ორი ორხელადიანი გაავსო. წითელი ღვინის ქვევრს სარქველი აღარ დაფარა, სპილენძის სინი დაადო.

გარეთ რომ გამოვიდნენ, ქარი მთლად გაგიჟებულყო. თივის მთელი ბლუჯები მოჭქონდა ტრიალ-ტრიალით.

ნიკო სახეგაბადრული გაჩერდა და დაიძახა:

— დაუბერე! დაუბერე, შენი ჭირიმე! შენი მადლის დღეა დღესა.

ვანო ყაბალახის საჩიხს ხელით იჭერდა და ისიც ღიმილით გაჰყურებდა აბორიალებულ ქვეყანას.

ნიკომ ორხელადიანები ღუმელთან მიდგა. — ძაღლები ხომ არ წააქეცივენო? — არაო, — დააიძვდა ბელიკოვმა.

მერე კაცები სუფრასთან ისხდნენ, ქალები ისევ ღუმელთან ფაციფუცობდნენ. კაცები იყვნენ: ბატონი ვანო, ბელიკოვი, ნიკო და კიდევ სამი სხვა, სოფლისთვის თავმოსაწონებელი სამი კაცი. პირველი იყო არწივი — მხრებგანიერი, მკლავმაგარი, გულალალი გლუხკაცი, ნიკოს კარის მეზობელი, მაგდანას მეუღლე, გიგას მამა, ცხრაას ხუთში ოსებ იმედაშვილს ჩაყოლილი თბილისში — მთავარმართებელთან რომ მივიდნენ და განუცხადეს: — გურიიდან ალიხანოვი გამოვიდეს, თორემ გურულებზე უარესს ჩვენ ვიზამთ, კახელებიო. ამ არწივს სულ ჩუმი ლაპარაკი სჩვეოდა, მაგრამ თუ ცოტა გაბრაზდებოდა, ისეთი ხმა ჰქონდა, გვეგონებოდა გაჭიმულ ფარდას გააჭრევინებს იმ ხმასაო. არწივის გადასწვრივ იჯდა ციციკორე. ეს ის ციციკორეა, სულმადლიანმა გიორგი ლეონიძემ რომ მოგვითხრო მისი ამბები. შეხნიერებულ ციციკორეს ყმაწვილივით ლამაზად ჰქონდა გვერდზე გადავარცხნილი თხელი, მთლად ჭაღარა თმა. გამხდარ, სუფთადგაპარსულ სპილენძისფერ სახეზე იმვითად თუ გადაუვლიდა ღიმილი. ახალუხის მადალი საყვლო ბოლომდე ჰქონდა შეკრული, მუდამ წელში გამართული იჯდა, სახესთან და ხმელ მხრებთან შედარებით დიდი, ძლიერი ხელები ბეჯით მოსწავლესავით წინ ეწყო, მაგიდაზე, თითქმის არაფერს ჰამდა, ღვინოსაც რიდიტ ექცეოდა. და კიდევ — მიხეილი, ისიც მასწავლებელი, ოდესის უნივერსიტეტელი. ახლა ცოტა შეჭირვებული, მაგრამ მიტუქუნებული თვალებით მაინც რალაც სასიკეთო სეირს დალოდინებული.

ხედ სუფრის თავზე დიდი, მძიმე ლამპა ეკიდა, ოქროსფერჯაჭვებიანი, რძისფერ-ჭაღიანი. ის ლამპა რალაც იღუმალ თეთრ სინათლეს აფენდა სუფრას და სუფრის წევრებს. გარეთ უკვე ღამე იყო, კუდიანებისა და ალ-ქაჯთა ღამე. ქარი ქვეყნიერებას დაქცევას უპირებდა. თითქოს ეშმაკი მოძვრებოდა საკვამლე მილში, იჭედებოდა, ბუზღუნებდა. გამოვარდებოდა ღუმელიდან ბოლქვებად კვამლი. შეიწუნებდა გულს დისახლისი, — აი, რო ვერ იქნა და ვერ გავაკეთებინე მილისთავის სახურავიო! — ამუნათებდა ნიკოს. ვანო სიკეთით აქათქათებდა კბილებს, — ჰაი, შე უხეირო ნიკოო. ნიკო თამალობდა, ძალიან მონდომებით და ალტაცებით თამალობდა. — ჩვენს ქალებს გაუმარჯოს, თვალმშრალი დედები, ცოლები და დები იყვნენ, მა-

გათი მხრების ძალა ნურასოდეს მოშლოდეს ჩვენს ოჯახებსო. ეგენი რომ არა გვეყვანდნენ, ხო ქორები წავვიღებდნენ წიწილებსავითო. ქეთო და მაგდანა სიყვარულიანი დამცინავი ღიმილით იხდიდნენ მადლობას, თან ცოლს ზელავდნენ და აბრტყელებდნენ, ხინკალიც უნდა მოვახვიოთ ხელდახელო. ძიძიაც მათ ეხმარებოდა, წამოუვარდებოდა წინ მშვენიერი ნაწნავი და ვადაივდებდა უკან, ისევ წამოუვარდებოდა და ისევ ვადაივდებდა უკან. აშკარად გახედვას ვერ ბედავდა, მაგრამ თვალი მაინც სულ ვანოსკენ გაუბრუნდა. ვანოც ისე იჯდა — მიხედავდა და მის განათებულ სახეს შეეფეთებოდა. ძიძიას ახსოვდა ვანოს სურათები, როლებში რომ იყო, მაგრამ სუფრასთან მჯდარი ვანო უფრო მოსწონდა. სუფრასთან მჯდარ ვანოზე ლამაზი — წმინდანსავით შარავანდედულ შუქში გახვეული — არავინ ენახა ქვეყანაზე. ჯერ მარტო რა თმა ჰქონდა, რა სიჯიუტით მთრთოლო! რა ყურადღებით უსმენდა ყველას! როგორ უბრალოდ ამბობდა სადღეგრძელოებს! დედას უთხრა: — დიდხანს ვაჰყვეს შენი კეთილი ღიმილი, ჩემო რძალო, შენს შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებსო. ძიძია შეკრთა, შუწუნდა, როგორღაც კახური სილალით რომ ჰკითხა მიხეილმა ვანოს, — მაინც რა გუნებაზეა ის თქვენი იტალიაო. — ჩემი რატომო? — ღიმილით გაიკვირვა ვანომ.

— თქვენ ბრძანდებით წლობით იქა!

— ეე, გაიიოლა ვანომ. არ იცით კახელი კაცის ხასიათი? ღორის თავი ხალიჩაზე დადეს, ის ტალახისკენ მიგორავდაო, ჩავედი თუ არა, მაშინვე შინ მომინდა. თბილისი მომინდა, ალაზნის ველი მომინდა. მეჩვენებოდა, რომ ჰაერი არ მყოფნი-

და. ჭინჭარი აღმოვაჩინე ერთ ადგილას, ბალის კუთხეში, მივიდოდი, ჩავუცქედი ბოდი, ვყნოსავდი, ხელს ვუტაცუნებდი, ხალხი კიდევ, გუნებით, სულ დაბრუნებულად გამოიყურება ჩვენთან შედარებით.

— დალონებულები იქნებიან, დალონებულები, — ჩაურთო მშვიდად ციციკორემ. ვანომ წარბი აჭიმა კითხვის ნიშნად. ციციკორემ შეამჩნია ეს და განმარტა თავისი ნათქვამი: — დიდი ვაჟაკი მოუქვდათ, გარიბალდი.

— დიდი ვაჟაკი, დიდი ვაჟაკი, — დაუდასტურა ვანომ.

ნიკომ კიდევ ერთი ახალი სადღეგრძელო წამოიწყო. — ჩვენს პატარა ქვეყანას გაუმარჯოს — მის ცასა, მის ღრუბელსა, მის ვაზსა, მის მწვანე ბალახსა! ეს სადღეგრძელო, ყველას გასახარად, თამადის შემდეგ პირველმა ბელიკოვმა თქვა. თანაც ქართულად. — საკართველოს გაუმარჯოს! — და ბოლომდე დაცალა ჭიქა. ვანო რომ აღგა, სწორედ მაშინ დაიგმინა ქარმა, ღუმელიდან ვეება ბოლქვებად გამოიჭრა კვამლი. ქეთო და მაგდანა გამწარებულნი ანიავებდნენ წინსაფრებით, მაგრამ ისევ და ისევ გამოდიოდა კვამლი. ვანო იცინოდა და ამბობდა: — ნუ წუნდებით რძალო და დაო, რუსები იტყვიან, მშობლიური ბოლიც კი ტკბილიაო. იყოს ეგ ბოლიც ჩვენთან, რცხილის ბოლის სუნს რა სჯობია... ძიძიას მაინც მიწაში ჩაძვრომა უნდოდა. ქეთოსაც სირცხვილის აღმური ასდიოდა. ხან გააღებდა ღუმელის კარს, ხან დაკეტავდა. კაცები მართლა არ აქცევდნენ ყურადღებას კვამლს, მაგრამ ქარის მძლავრი შემოტევა და რალაც ბათქანი კი ააწვევინებდათ ხოლმე თავს.

ქალებმა ლამაზად მოხვეული ხინკლები



ჩაყარეს ოხშივარმოდებულ ქვაბში. ნიკომ ფშავურად წაუღიღინა, — ვაჰმე ხინკალო, ხინკალო, მერე მარწყვასთან წოლაო... ბატონო ვანო! — ხელით ანიშნა, ამყევით. და ყველანი გააშეშა გარედან შემოსულმა კივილმა, — გვიშველეთ! გვიშველეთ! პირველი ვანო წამოვარდა, სხვებიც აპყენენ. აივანზე დაიძახეს, — ვაიმე, უნაფქოიანი იწვიანო. ატყდა ჯაჯგური. ნიკო ვანოს არ უშვებდა. მაგრამ ვანომ არ დაიშალა, ქურთუკი ჩაიცვა, ყაბალახი მოიხვია და ისიც სხვებთან ერთად ხანძრისკენ გაიქცა. გაიქცნენ ქეთო და მაგდანაც. მარტო ძიძია დატოვეს სახლში. ძიძიამ ტილო აიღო და გაბრაზებულმა შეატრიალ-შემოატრიალა ხინკლის ქვაბი ღუმელზე...

* * *

სამოცს ბევრი აღარ მიკლიაო, მე რომ პირველად ძიძია ვნახე. ავლაბარში, ბაზრის ზემოთ ცხოვრობდა, აივნიან სახლში — ტანსწორი, მაღალი, მაგრამ ძუძუმკერდ შერჩენილი მომღიმარი ქალი. თმაც ისევ კარგი ჰქონდა, ხშირი და გრძელი, ოლონდ ვერცხლისფრად შეთრთვილული. სიცილით იგონებდა იმ ქარბუქიან ღამეს.

— გაიგება თხუთმეტი წლის გოგოსი რამე? თავიდანვე ავიხივე, — ღმერთო, ვანომ არ იმღეროს, ღმერთო, არ იმღეროს-მეთქი. რატომ? აბა, რა ვიცი, რატომ. ალბათ ეგრე უფრო მომწონდა — სუფრასთან შინაურულად მჯდარი, ჩვენი ქალის თეთრშუქდაფენილი, უბრალო სიხარულით სახეგაბრწყინებული. თხუთმეტი

წლის გოგოს ხომ სუ ნიავე უქრის თავში! თხუთმეტი წლისა კი არა, მეჩვიდმეტეში ვიყავი, საცოდავი ჩემი ქმარი რომ შვეიცარე, თან ქვეყანამ გაიგო, — მაგ ღარიბს, დატლავუნას როგორ უნდა გაპყვე, გოგო! მე კიდევ ერთსა ვფიქრობდი მარტო, — პირის მოსაპარს ფულს ხომ იშოვის, პირი მოპარსული ჰქონდეს, კოცნაობისას არ იჩხვლიტებოდეს და რა თავში ვიხლი-მეთქი მაგის სხვა ჰქონებას.

ამოვყარე ხინკლები ხონჩაზე და მეც უნაფქოანთკენ გავიქეცი. ცეცხლი სახურავზე ბურბურებდა. ქვეყნის ხალხი იყო მისეული, ხელი ხელსა ჰქონდათ გაბმული, ხვიდან იღებდნენ წყალს და ასხამდნენ, ზოგიც თოვლს აყრიდა. ვანოც მთლად ცეცხლთან იდგა, ვედროებსაც აწვდიდა და თან მაღლა მდგარ ჯეილ ბიჭებს თადარიგსაც აძლევდა. იქ ამიტანა შიშმა, ვაიმე, წარბები და თმა არ შეეტრუსოს-მეთქი. რომ დავბრუნდით და ვნახე, შეტრუსული არ ჰქონდა, ძალიან გავიხარე. მურები ესვა სახეზე, დედამ ჩამოსწმინდა თმა და წარბები კი შეტრუსული არ ჰქონდა...

დასხდნენ, განახლდა ქეიფი, ბევრსა ხალისობდა მამაჩემი, მაგრამ არაფერი გამოდიოდა, გუნება ყველას მოწამლული ჰქონდა. ჩაიწო, ჩაიხრა და ჩაიბუგა უნაფქოანთ სახლის სახურავი. სახურავთან ერთად, თუ რამე ჰქონდათ სარჩო-საბადებელი სხვენში — სიმინდი, კაკალი, ხი-

ლი... ღნაოდნენ, ცას შეღნაოდნენ უნაფქოანთ ქვრივი და იმისი პატარები. იმათი ცოდვის მნახველი საქმეძღვრულ ქვეყნად აიღებდა თავს.

ვიწეკი იმ ღამეს და ახლა ჩუმად იმას ვტიროდი, — რათა ვარ ეგეთი, რათა მეზადება სუ უკუღმართი სურვილებს და ღმერთიც რატომ მისრულებს ამ უკუღმართ სურვილებს-მეთქი. თანაც რა ფასად! ხუთი წლისა ვიქნებოდი, ბებიაჩემმა ჰინჭრით ამისუსხა კანჭები, — მოგტყდეს ეგ ხელი!.. დავიძახე, და მოსტყდა. სამეზობას მივდიოდით, გადავარდა ურმიდან და მოსტყდა სწორედ ის მარჯვენა ხელი.

სანამ პატარა ვიყავი და უჭკუო, ყოველგვარი ნატვრა მისრულდებოდა, ეხლა — ალარა, ეხლა, პირიქით, რა უნდა მოვიხდომო, რომ პირიქით არ ამიხდეს. — იცინოდა ძიძია.

დილით? დილით ქარი ჩამდგარი იყო, მზიანი ღლე გათენდა. მაზრის უფროსი მოგვადგა სართიჭალიდან, სარაჯიშვილი თქვენთან ყოფილაო და წაიყვანა ვანოც, ბელიკოვიც, მამაჩემიც. მე კიდევ ვიდექი და მთელ ღლეს გაყვურებდი იმათ გზას. ახლაც სულ თვალწინ მიდგას — ბრწყინავდნენ ზამთრის ბრწყინალა მზეში ქარისაგან გეზად შეხვეტილი თოვლის თეთრი გორაკები.

მამაჩემმა შეღამებისას ძლივს მოაღწია ჩვენამდის, ძალზე მთვრალმა, მაზრის უფროსის გინებით...

მწერალი ქალი ბაბილინა ხოსიტაშვილი რევოლუციის დიდი მოძღვრლის იროდიონ ევლოშვილის უმცროსი და იყო. იროდიონი თავიდანვე განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა პატარა ბაბილინასადმი, მას ხშირად სიყვარულით ბაბლოს ეძახდა.

1902 წელს, ქალთა პანსიონის დამთავრების შემდეგ, იროდიონმა ბაბილინა თბილისში ჩამოიყვანა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკაში მოაწყო. იქ გაეცნო ბაბილინა ქართველ მწერლებს და საზოგადო მოღვაწეებს.

იგი სიამოვნებით იხსენებდა იოსებ გრიშაშვილთან, გიორგი ქუჩიშვილთან, გალაკტიონთან და სხვებთან შეხვედრებს. ბიბლიოთეკაში დროდადრო იკრიფებოდნენ რევოლუციონერი მოღვაწეები და ბჭობდნენ ქვეყნის მომავალზე. ბაბილინა მათი მარტო მსმენელი როდი იყო, ხშირად თავდაცვ გატაცებით საუბრობდა მშრომელთა კეთილდღეობაზე.

შემდეგ ბაბილინა ხოსიტაშვილი იროდიონის თანხმობით სამუშაოდ გადადის არაღვალურ სტამბაში ასოთამწყობად, აგრეთვე იწყებს მუშაობას მასწავლებლად საკვირაო სკოლაში.

1906 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა იროდიონ ევლო-

„დროის“ ქუჩისათვის

პოეტის და...

შვილის ლექსების კრებული. პოეტმა ერთი ეგზემპლარი ესაძის სტამბაში მიიტანა და დას უსახსოვრა. ბაბილინამ მაშინვე გულზე მიიკრა საყვარელი ძმის ლექსების წიგნი. წითელ ყდაში ჩაასმევინა და ზემოდან ოქროსვარაყიანი ასოებით ამოატვიფრინა სიტყვები: „იროდიონ ევლოშვილის ლექსები და პოემები“.

ბაბილინა ხოსიტაშვილი ბავშვობიდანვე წერდა ლექსებს, მაგრამ მათ გამოქვეყნებას არ ჩქარობდა. ახალბედა პოეტის პირველი რეცენზენტი იროდიონი იყო, რომელიც ყურადღებით არჩევდა თითოეულ წინადადებას და შემდეგ საქმიან რჩევა-დარიგებას აძლევდა დას.

1906 წელს გაზეთ „მუშაში“ დაიბეჭდა ლექსი „ხმა ჯურღმულიდან“. ავტორი ახალგაზრდა პოეტი ბაბილინა ხოსიტაშვილი გახლდათ. ამის შემდეგ მან მარჯველ მოჰკიდა კალამს ხელი და ქართული ურუნალ-გაზეთები დაამშვენა

თავისი პოეტური ქმნილებებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რევოლუციის ბოლოქარი ღლეებისადმი მიძღვნილი მისი ლექსები.

იროდიონ ევლოშვილი ლექსს რომ დაწერდა, მაშინვე ბაბილინას წააკითხებდა. იგი ერთ გამოუთქმელ სიამოვნებას გრძნობდა მაშინ, როცა მისი და ხმამაღლა, გამოთქმით კითხულობდა მის ლექსს. ზოგჯერ ხელმეორედაც აკითხებდა და ბოლოს ეტყოდა ხოლმე: ასე, ბაბლო, გენაცვალე, ეს ლექსი მართლაც კარგი გამოვიდაო.

1908 წელს იროდიონმა ბაბილინა საბავშვო ურუნალის „ნაკადულის“ რედაქციაში მიიყვანა, გააცნო რედაქტორი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა. „ნაკადულის“ რედაქტორს იროდიონი ყოველთვის აფასებდა და იმედს გამოთქვამდა, რომ მასთან დაახლოებით ბაბილინა გზას გაიკაფავდა ქართულ მწერლობაში.

იროდიონმა დიდად გაიხარა, როცა მისმა დამ ბელი დაუკავშირა თავის სანაქებო მეგობარს, ცნობილ მოღვაწეს ნიკო კურდღელაშვილს.


ბაბილინას განსაკუთრებით აწუხებდა იროდიონ ევლოშვილის ძიძიმე ხვედრი. ერთ ღლეს ბაბილინას მეტეხის ციხეში ძმისთვის იის პატარა კონა გაუგზავნია, პოეტს გულზე მიუქრავს ვაზაფხულის ლამაზი ყვავილები და იქვე დაუწერია ლექსი „ია“.

ბაბილინამ მწარედ განიცადა ტანჯული ძმის სიკვდილი. ყვავილებით ხელში ხშირად მიდიოდა დიდუბის პანთონში, ძმის საფლავზე. იგი ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებდა ობლად დარჩენილ ძმისშვილებს.

1946 წელს, იროდიონ ევლოშვილის გარდაცვალების 30 წლისთავზე, ბაბილინამ საყვარელი ძმის ხსოვნას მიუძღვნა ლექსი:

დიდუბეში დაგეძებდით და კახეთიც მოვიარეთ, გვსურდა, მკვდრეთით აღგვედგინე, ღლეს არა ვართ მგლოვიარედ... თუ წარსულმა ქარიშხალმა შეგაღწეა მძლავრი ფრთები, აი, ახლა ვიღოსტაქრეთ და ჩვენს შორის იმყოფები.

შალვა მარკოზაშვილი



სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ზადრაკი ქალთა ზორის,
საერთაშორისო დიღოსტაბი მანია ჩიბურდანიძე.

ფოტო თარხან არჩვაძისა.

უურნალ „დროშის“ სარედა-
ქციო კოლეგია, თავის მკითხ-
ველებთან ერთად, გულითადად
გილოცავს, ჩვენო საამაყო
მაია! შენ ხომ ძნელსა და შეუ-
პოვარ საქადრაკო ბრძოლებში
მესამეჯერ მოიპოვე დამსახუ-
რებული გამარჯვება, მესამე-
ჯერ ასახელე შენი ხალხი, შე-
ნი დიდი სამშობლო, მესამეჯერ
დაიდგი თავზე ჭადრაკის დე-
ლოფლის გვირგვინი.

დაე, მუდამ ასე ღირსეულად
გეტარებინოს მსოფლიოს რჩე-
ული მოჭადრაკე ქალის სა-
ხელი!



დავითილინი
დაქს
ქართული
გეოლოგიური

ფოტოთოსნობა

საგო
ედიზაგაზილინი

1984







ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის I კურსის სტუდენტი, ბაზის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი აელისო ბოლქვაძე.

გელათის ტრანსფორმატორის ქარხნის კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელი ლეილა ჩხაბერიძე.

მესტიის რაიონული საავადმყოფოს ექიმი თენგიზ ჩართოლანი.

ფოტოგრაფი სარგო ელიშაბავილიძე.





— კარგ ღროს მესტუმრე, ჩემო ნინელი. ეს კი იყო, ცივი-ცივი მარწყვი მოკრიფე. მთელ სოფელში ჩემზე აღრულია მარწყვი არავის უდგია. ყველას უკვე დავაძლევინე, შენ გარდა. აღარ გამოჩნდი. მარჯვნიდან მამაჩემი, გოგო, მარცხენა ყურიდან აღარ მესმის. შეაჩვენოს ეშმაკმა, თუ სად უჭურვებ დავწვები, ქვეყანა რომ ბრახუნით დაინგრეს, ვერაფერს გავიგებ... ასეა, ლამაზო.

— ლამაზი რო ვიყო, გაუთხოვარი დავრჩეოდი? — ნინელი ამოიხარა, — მარჯვენა მხრიდან გითხარი, გაიგონე, დიდდო?

მართა ნატროშვილს სოფელში დიდდოს ეძახდნენ. უყისმათო ქალი იყო: აღრე ფრთამოტეხილს, ქვრივობით გამოზრდილი სამი ვაჟკაცი შვილი სამამულო ომში დაეღუპა და შვილიშვილებში ბებობა არ აღირსა მამაუფალმა.

ოთხმოც წელს იყო მიტანებული მართა დიდდო. დაბალი, კაფანდარა ქალი სკვინჩასავით გაკანკულიყო. შრომას მაინც არ ებუებოდა. დიდიდან შებინდებამდე ფუსფუსებდა და ეწოც მოვლილი ჰქონდა, ხეხილიც ნაპატევები, ბაღჩა-ბოსტანიც საამოდ უღალანებდა.

შინმოუსვლელთა დედას სოფელიც შემწეობდა. ჭერ იყო და, მარტოხელა ქალის ეწოში ახალგაზრდებმა გადაბერებული ხეხილი ამოძირკვეს. მერე მისდგნენ, დარჩეული ნერგები ჩაყარეს და გაახარეს. მართა დიდდოს მადლარს ვაზის კოხტა თალარიც გაუმართეს. ზამთრის პირზე, კოლმეურნეობის მანქანით შეშას უწილებოდნენ, საღუმელოდ უხერხავდნენ, რომ არ დანეტანებულყო, საჩხეში შექმნდოდა და ერთმანეთზე ალაგებდნენ...

კეთილი ქალი იყო მართა დიდდო. წერა-კითხვა არ იცოდა, სიტყვა კი უჭირდა. ყველასთვის სიკეთე სურდა და პირიდან ერთთავად თაფლი ამოსდიოდა. ის კი არა, წინსაფრის ჭიბეში მეზობლების ანცი გოგო-ბიჭებისათვის გამოუღეველად ჰქონდა სასუსნაო — ხლი და კაკალი, ჩურჩხელა და ჩირი...

წელი წელს მისდევდა. ძაძებით მოხილი, თავმკვლარი დედა ისტობარს მაინც არ იტებდა. თავისდა უნებურად, ჰიშკარისკენ გაურბოდა თვალის. რა, ცოცხა მომხდარა ქვეყანაზე სასწაული?! იქნებ მასაც შეეწიოს ღმერთი, იქნებ ახდეს ოცნება და ბიჭებმა შემოუღონ ჰიშკარი. ერთმა ან ორმა კი არა, სამთავემ! სამთავემ ერთად!

— შეუხედავებია რა მოგახსენო, ლამაზი კი ქვეყნად ბევრი დარჩენილა გაუთხოვარი, — მართა დიდდომ გვერდულად განედა შეუხედავ სტუმარს და მარწყვი მიუმარჯვა, — ჰამე, კიდეც დავკრიფავ. ისე კი, იცოდე, საბედო გამოგიჩნდება... თუ არა და...

— მაშინ რა?

— მაშინ ჩემი ბიჭები ჩამოვლენ და...

— და?

— ქორწილი გვაჩადოთ, ნუ გეშინია, გოგო... სოსო, გელა და ვასიკო ჩემსავით კრუხის პალოს კი არა გვანან... დარჩეული ბიჭები არიან, ენაცვალოთ დედა!..

— სოსო, გელა და ვასიკო ჩემზე დიდები რო არიან?

— ი! ეგ კი აღარ ვიფიქრე. იცი, რატომ? გამოვჩერჩეტდი და იმითმ.

მართა დიდდომ შუბლში იტკიცა გაშლილი ხელი.

— რა ვქნა, ბიჭები ისევ იგეთები მესიზმრებიან, როგორც გავაცილდი. გელა ქალადით გამოიძახეს, სოსო და ვასიკო თავიანთი ნებით წავიდნენ. ვეღარ დავაყენე და წავიდნენ. აგრე იყო, მაშა!

— ბიჭებს ერთმანეთი უყვარდათ, არა?

— უყვარდათ! ერთმანეთზე ამოსდიოდით მზე და მთვარე. რო არ ყვარებოდით, გიტლერთან ჩხუბში ერთად წავიდოდნენ? ზაფხულში წავიდნენ და, გული მიგრძნობს, შინ ზაფხულშივე დაბრუნდებიან, არა რო?... ჰამე-მეთქი, შე მექათმევე, შენა!

— მექათმეს ნუ მეძახი, მართა დიდდო!

— მექათმე ხარ და მეღორე დაგიძახო?

— მეფრინველე დამიძახე, როგორც სხვები მეძახიან!

— ეგრე იყოს! კეთილი და პატიოსანი!.. ალხანას ჩალხანა არ დაეღევაო, გაგვიგია, გოგო?

— არ გამოვიგია.

— მაშ ახლა გაიგე. მამისმინე. ჩემზე შეუხედავი ჩვენ სოფელში არავინ იყო, შენ რა, ანგელოზს გავხარ... მაიცა-მეთქი... ერთმა, ჩვენ ოჯახში ჩემ გასასინჯად მოსულმა, როცა ღვინო გადახუხა, ადგა და მითხრა: არ მამწონხარ, ეშმაკის მამხალას გავხარო. რათა-მეთქი? იმითმა რომა სახე აყვავებულ ატმის ხეს მიგიგავს, თავისსფერი თვალები ხაფანგში გაბმული თავივით ვიხტის და ქალის მეტ ყველაფერს გავხარ, აი მაგიტომაო.

ნინელი გულიანად იციწოდა.

— საქმრო მაინც გამოიჩინდა. გულს ნუ გაიტებს, შენც გამოიჩინდება! ნუ ხტუნაობ. მამისმინე! ჩემი ქმარი, ბესა, დაღლარა კაცი იყო. ვიდრე მიიხოვდა, თავის მონაგარს თურმე მარტო ღვინოში აქრობდა... არა... ღვინოში და არაყში.

— მერე?

— მერე ისა, მოვიდა და მამაჩემს უთხრა, ქალს მაშინ წავიყვან თუ ქორწილს არ გადამხადევენებო.

— რათაო?

— ხელმოკლე კაცი ვარ. ქორწილის გადახდის თავი არა მაქ და იმთაო.

— მამამ რა უთხრა, მართა დიდდო.

— რას ეტყოდა? თავში ქვა გიხლია, ოღონდაც ეს საფრთხობელა მამაშორე და ქორწილს მე გადავიხდიო.

ნინელის მარწყვი გადასცდა ყელში, კინაღამ დაიხრჩო. როცა სული მოითქვა და ცრემლები შეიმშრალა, მართა დიდდომ განაგრძო:

— ჩემოდენაც ვარ და შენოდენაც ვიყავი. მოლა, როცა შენოდენა ვიყავი, დღე და ღამე ვნატრობდი, დედა გავმხდარიყავი. შენც უნდა ინატრო.

— ვიცო.

— ისიც უნდა იცოდე, თუ კაცთან არ დაწვები, დედა ვერ გახდები. მაიცა, ნუ ხტუნაობ!

— კაცს გააჩნია.

— ბესასაც გააჩნდა, მაგრამ დავწეი. არა, ჭერ მიიხოვა და მერე დავწეი.

— მერე?

— აა! ვეღარ ითმენ?! ყველაფერი გინდა გიგო? გათხოვი და გაიგე!.. გენაცვალოს მართა დიდდო, გათხოვი და შოთებს დაგიცხოზ...

— რომელი ფქვილითა?

გამტკიცულითა. მაქ, კოლმეურნეობის თავმჯდო-

მარემ გამამიგავნა. გავაგრძელო? მაიცა, აზრი მოგაქურო. მო, იმას ვამბობდო... მარწყვი თუკიდე გინდა, ადგი და მოკრიფე... ისე კი, იცოდე, ამ მარწყვს ყველას ვაქმევე, დედაშენის გარდა...

— უი-მე! რათა?

— უი-შენს მტერს! დედაშენმა მარწყვინა.

— რათა?

— მარწყვი მივართვი და მადლობა მითხრა.

— მა რა უნდა ეთქვა?

— რასაც სხვები მეუბნებიან, ისა!

— სხვები რას გეუბნებიან?

— მამაუფალმა შენი ბიჭების დაბრუნებას შაგასწროსო!..

მოსუცმა თვალზე მომდგარი ცრემლი შეიმშრაალა.

მოულოდნელად ქეჭა-ქუხილმა გააყრუა გარემო. თვალის დახმამამებაში მოსკდა ქარბორბალა. შავი ღრუბელი მოიგრაგნა სოფლის თავზე. ცის თალი თითქმის დაბლა დაეშვა, ჩამოიბერა და წვიმამ დასცხო.

— სეტყვის ღრუბელია!

სეტყვისა იყო. კიდეც რამდენიმე წუთი და ხომ-კაკალა სეტყვამ ლაწალუწი აუყენა გარემოს.

სეტყვამ უმატა.

— ესლა მინდოდა ქვრივსა და უძიროს, — მართა დიდდომ პირჯვარი გადაიწერა და გული ამოატანა სიტყვას, — ბიჭები მაინც იყვენენ აქა!..

ბიჭები გაჩნდნენ. მოვარდნილი წყალივით იხუჯლეს და შინმოუსვლელთა ეწოში ფეთიანებივით შევარდნენ. ბიჭებს ქალები მოყვნენ. ზოგი ბრე-უნტს მოარბენინებდა, ზოგი ფარდაგსა და ჭე-ჭიმს. ვიდაცა მარწყვის ბურჩქებზე გადახაფარებდა ნაზად დეიერია.

— თქვენსას მიხედეთ; შვილებო, თქვენსასა!..

— ჩვენი დიდა... — ვინც შინ დარჩა, ჩვენსას ისინი მიხედავენ.

— ამ ციციქნა ბაღჩა-ბაღის გადარჩენა შეიძლება! ერთმანეთს ასწრებდნენ მეზობლები და ციბრუ-ტივით ტრიალებდნენ.

სეტყვის ღმერთმა ილიამ სოფელი დაინდო.

სეტყვამ მარტო აქეთ, შემოუბანში წამოაშინა. თვალუწველენელი ზვრები და დაცემული ნათესები უვნებლად გადარჩა. ბოლბეც გადარჩა, არბოშიციც, მირზაანიცა და ტიბაანიც.

მეზობლებს მართა დიდდოს საჩხეში შეეფარებინათ თავი.

— თალარს ჭჭიმი რომელმა წააფარა? — ყრუ ხმით იკითხა მართა დიდდომ.


— ვასიკომ.

— ეგ რომელმა? ამან?

— არა, აგე იმან, შენ ვასიკოს რომ ამხგავსებ, იმან.

— გელაც წაეშველა... ისიც შენი ბიჭის მოსახე-ლეთ... აი ესა!

მართა დიდდომ ცრემლი შეიმშრაალა. გაძენილი ღრუბლიდან მზემ გამოიჭვრიტინა და სოფელს დახედა.



უკანსწინა კამათი

უცნაური და უჩვეულო სურათია — გამამდიანებელი ქართველის შვილი, ირანში დაბადებული და გაზრდილი, ბავშვობიდანვე მამამდიანურ რჯულსა და ყიზილბაშთა ადათ-წესებს შეჩვეული „ტიბიური რენეგატი“ და „ყენის ფეხთა მტკერი“, სიბერეში ქართლის მმართველად დანიშნული როსტომი მცხეთას ჩასულა, ქრისტიანულ ტაძარში მიბრძანებულა და უფალს შევედრებია შემწეობა-მფარველობას მომავალ ომში, თითქოსდა ყიზილბაშთა ლაშქარი ეცოტავებოდა გამარჯვების მოსაპოვებლად.

„შემოგარეთ სვეტო ცხოველო ღვთივ აღმართებულო, მოვედით კარსა თქვენსა და დალადებით შენგან შეწევნა ვითხოვთ“ — ეს სიტყვები დამოწმებულია როსტომ მეფის ერთი გუჯრიდან, რომელიც თარიღდება 1648 წლით და მოგვითხრობს სწორედ იმ წელს მომხდარ ამბებს, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ქართლის ცხოვრების შემდგომ მსვლელობაში.

იდეა 1648 წელი. სეფიანთა ირანის ტახტზე იჯდა შაჰ-აბას II, ქართლში მეფობდა მამამდიანი როსტომი (ყოფილი ხოსრო-მირზა), კახეთში — ქრისტიანი თეიმურაზ პატრიარქი.

უკვე თხოუმეტი წელი იქნებოდა, რაც თეიმურაზი თითქმის განუწყვეტლივ ექიშებოდა და ებრძოდა ქართლის მეფეს, რომელსაც ყიზილბაშთა სამხედრო ძალა უმაგრებდა წურგს. მაგრამ თეიმურაზი არა ცხრებოდა, მომხრეებს პოულობდა ქართლის თავადა ზორის, შეთქმულებას შეთქმულებას უწყობდა და მოხვედრებს არ აძლევდა მშვიდობისა და განცხრომის მოყვარულ როსტომს. ქართლის მეფე ამოდ უთვლიდა მოუსვენარ კახეთის მეფეს: დაწყნარდი, ჩვენც მოვისვენოთო და ჩვენი ქვეყნებიც მოვასვენოთო.

მცირე საბაბა კიდევ ერთი ომი გამოიწვია მრავალჯერ ახორებული საქართველოში. სეფიანთა სამეფო კარი ისედაც აგულიანებდა როსტომს თეიმურაზის წინააღმდეგ საბრძოლველად და აბა, დაღა უამა საოლოო ანგარიშსწორებისა.

როსტომ მეფეს კახეთში გალაშქრებამდე ულოცია მცხეთის სვეტიცხოველში. აღბათ ჭერ თბილისის მეჩეთში შეიარა, ალაპისაგან ითხოვა გამარჯვება და მერე ქრისტიანულ ტაძარსაც მიაღა.

შეუმცდარია ათას განსაცდელსა და ინტრიგებში გამობრძმდელი მამამდიანი მეფის ჭკუა-გონება. ბეჯითად დაუჭეპირებია შაჰ-აბას დიდის გაკვეთილები. სეფიანთა სამეფო კარზე გაწვრთნის კარგად მოეხსენებოდა დაწინაურებული კაცის ბედობის ცვალებადობაც და საწუთროს უქულმართობასთან შეგუების ხელოვნებაც. თვალთმაქცობისა და ორპირობის უმაღლესი სკოლაც ჰქონდა გავლილი, მშვენივრად იცოდა ფასი ღიმილისა თუ რისხვისა, ძლიერნი ამა ქვეყნისანი რომ აფრქვევენ ხან მიზეზითა და ხანაც უმიზეზოდ. მეგობრის თვალში ჩამარხული შურის ამოკითხვაშიც დაოსტატებული, არც ღალატი გაუკვირდება მოკავში-

თაბაზ ნატროვილი

რისა და არც ძალღური ერთგულება დამორჩილებული მტრისა. ოცი წლის წინათ მამამდიანურ სამოხენში წაბრძანებული თავისი აღმწარდელი მბრძანებლისა არ იყოს, მოწყალებეც არის და დაუნდობელიც. ერთ ხელში ხაჭაპური უჭირავს, მეორეში — მათრახი. ყოველთვის ზუსტად აქვს ნაანგარიშივე, როდის წარმოთქვას ტკბილი სიტყვა და როდის — სასტიკი ვანაჩენი.

ქართველი მემკვიდრე არ იშურებენ თავისებურ ქებას მისი მისამართით: „ესე როსტომ მეფე იყო კაცი ხერხიანი და ილათიანი და მცდელი საქმისა“, ანდა: „საქმით ხვანჯიანი, სოფლის ფრად ჭკვიანი, მორჭმულ-მდიდარი“.

ძველადაც თქმულა: „ვერვის ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად“, მაგრამ, როგორც ჩანს როსტომისთან ხვანჯიანი-ილათიანი წარმატებით ახერხებენ ამ ქრისტიანული შეგონების გაქარწყლებას და საქმით ამტკიცებენ, რომ გონიერსა და გაქნილ კაცს ამქვეყნად ყველაფერი ხელიწიფება.

როსტომ მეფეს დროს საქართველოში მეჩეთებიც შენდებოდა და დანგრეული ეკლესიების აღდგენაც მიმდინარებდა. მამამდიანი მეფე ქართველი სამღვდლოება დაიერთგულა, ჯამაგირი განუწყესა, თავმაღლად და ტბილად ექცეოდაო. აქვე უნდა ითქვას, რომ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ქრისტიანული ეკლესიისა და ქართული კულტურის მიმართ როსტომის მეუღლე მარიამ ღედოფალი.

როსტომ მეფის პოლიტიკა მშვიდობას ბპირდებოდა მრავალ ომსა და აჯანყებებში სისხლდაცდილ საქართველოს, წულულებს უშუშებდა და ფეხზე აყენებდა. მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხის აღტაცებას არ იწვევდა ეს კაცი, რომელიც ისაანიდან გამოგზავნეს ქართლში საბატონოდ, მონა-მორჩილი იყო ირანის შაჰისა, მის დაუკითხავად ერთ ნაბიჯსაც არ დგამდა და გულმოდგიენედ ნერგავდა ყიზილბაშურ წინეჩვეულებებს საქართველოში.

ქართლის ბაგრატიონთა ნაშეიფის, სახელოვანი ლუარსაბ მეფის შვი-

ლიშვილს, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი უფლებანი ჰქონდა ქართლის ტახტზე, ვიდრე თეიმურაზს, მაგრამ მარტო უფლებანი ვერ უხვევდა ხალხის სიმპათიებს, აკი ფარსადან გორგიჯანიძეც შენიშნავს: „ზოგს კაცს ქრისტიანობის რჯულისათვის ბატონი თეიმურაზი ერჩივნათო“.

დაიბნ, როსტომმა მშვიდობა მოუტანა თეიმურაზის „მოუსვენრობით“ ახორებული ქვეყანას. თეიმურაზის პოლიტიკას ომი ერქვა და როსტომისას — მშვიდობა, მაგრამ მშვიდობის ნილაბს ამოფარებული პოლიტიკა ისაანისა ამჯერად ხმლით ი არა, ტკბილი სიტყვითა და ოქროთი ლამობდა საქართველოს „გათათრებას“.

„ახალი ქართლის ცხოვრება“ ასე გადმოგვცემს როსტომის დროინდელ ვითარებას ქართლში: „და განმრავლდა სახლსა შინა მისსა სიძვა და არაწმინდება, ცოდვა იგი სოდომ-გომორული და მეძაბობა... განძლიერდნენ თათარნი და კაღნიერებდნენ ქართველთა ზედა. და რომელნიცა იყვნენ ქართველნი, მოყვარენი წესისა მათისა, მეძავნი და ბილწების მოქმენი, დიდად პატვისცემდა მეფე როსტომ და ჰკითხავდა და უსმენდა მათსა, და რომელნიცა იყვნენ სიმაართისმოქმენი და წრფელნი გულითა და ცოდვის მორიდალნი, მათ არას პატვისცემდა და ცუდს კაცს ეძახდნენ და შეუძლებელსა. და იყვნენ ღლითი-ღლე მისასა და განცხრომასა შინა, ხოლო სულისათვის არარას ზრუნვიდნენ“.

დროებასა და განგებას როსტომ მეფის მხარე ეჭირა.

ჩვენ არ ვიცით, რომელ ეკლესიაში ილოცა თეიმურაზი ომში წახვლამდე. ისტორიას შემოუნახავს მხოლოდ მამამდიანი მეფის ლოცვის ტექსტი. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, იმერეთს გახიზნული თეიმურაზი დაწერს ყოველგვარ ლოცვაზე უფრო სულისშემძვრელ სტრიქონებს, აღსავსეს სასოწარკვეთითა და ბედისაღმი უზომო საყვედურით: „რად, სოფლო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქმენ დასადაგე?! გლახ, ლახვარი სასიკვდიენ ყველა მე მკარ, დასადაგე! დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ

ვიცი, და სად აგე? სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?“

ეს სტრიქონები, აღბათ, არც მოითხოვენ კომენტარს თუკი გვასხოს თეიმურაზის ბიოგრაფია. როგორ არ შეიპყროს მეფე-პოეტის გული აღმფოთების მწვევი ტკივილმა, როდესაც წუთისოცელი უღირსად უშასპინდლებდა ღირსეულს.

მაგრამ 1648 წელს ჭერ კიდევ ბუტავს იმედის ნაღვერდალი. სპოც წელს მიღწეულ მეფეს ბრძოლებში დაღლილი მკლავის იმედი თუ აღარა აქვს, სამაგიეროდ სიმამაცით განთქმული ვაჟიშვილი ეგულება საიმედო შემკვირად — დათუნა ბატონიშვილი, რომელმაც ყიზილბაშებთან ომში უნდა გააცოცხლოს თეიმურაზის ძველი სახელი. სპარსელი ისტორიკოსი ასე მოიხსენიებს თეიმურაზის ძეს: „დავუღ-მირზა, რომელიც განთქმული იყო თავისი სიმამაცით და გამბედაობით და რომელსაც ამჟამად იმედს თეიმურაზ-ხანი და ურწმუნონი“.

თეიმურაზმა ორად გაყო ქარი. თვითონ თიანეთს დააღდა, ხოლო დათუნა ბატონიშვილი ქიზიუს გავაწავა. როსტომი თავს დაესხა თეიმურაზს ქართლის სპათ, რომელსაც სარდლობდნენ ვახტანგ მუხრანის ბატონი (მომავალი მეფე ქართლისა) და ზაალ ერისთავი. ბრძოლა გაიმართა სოფელ უღლისთან და დამთავრდა თეიმურაზის დამარცხებით. მძიმედ დაჭრილი რევან ჩოლოყაშვილი ასე გამოეთხოვა თეიმურაზს: მე მოვმკვდარვარ შენის სამსახურისა და ერთგულებისათვის, ჩემი თავი თქვენი ქირის სანაცვლო იყოსო. სარდლის დაღუპვამ აშლა კახეთი, გვაუწყებს მემკვიდრე, და გამარჯვების სასწორი როსტომის მხარეზე გადახრილია.

XVII ს. სომეხი ისტორიკოსი ზაქარია ქანაქერცი გადმოგვცემს: დათუნა ბატონიშვილმა დაინდო მამის სიბერე და ბრძოლის ველზე გასვლის ნება არ მისცაო. ყიზილბაშთა ლაშქარი (ჯამალ-ხანის სარდლობით) თურმე იმყოფებოდა ალავერდში, ერთი ნაწილი კი გაუყვანიათ „მიღანელის მხარეს, ჩანსაფრეულად“. რას უნდა ნიშნავდეს ეს „მიღანელი“ მხარე? (მ. ბროსე, რომელმაც ფრანგულად თარგმნა ზაქარია ქანაქერცის თხზულება, შენიშნავდა, რომ სახელწოდება „მიღანელ“ არ გვხვდება არც ერთ წყაროში. მ. დარბინიან-მელიქიანის მიერ შესრულებულ რუსულ თარგმანში შემოხსენებული ტომონიმი საერთოდ გამოკვეთულია).

თუ გავითვალისწინებთ ქართულ წყაროებში დაცულ ცნობებს მეორე ბრძოლის ადგილის შესახებ, „მიღანელი“ ამოცნობაც აღარ გავიჭირდება. ე. წ. „პარიზის ქრონიკის“ მიხედვით, ბრძოლა მომხდარა „ქიზიუსის ბოლოსა, ძველ ანაგს“. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით — სოფელ მაღაროსთან. როგორც ცნობილია, ეს სოფელი ერთიგორის მეზობლად მდებარეობენ. თუ ვენდობით ამ ინფორმაციას, უნდა ვიფიქროთ, რომ ზაქარია ქანაქერცის „მიღანელ“ უნდა ნიშნავდეს სოფ. მელანის, რომე-

ლიც იმავე რეგიონს მიეკუთვნება. მაშასადამე, ყიზილბაშთა-ლაშქრის ნაწილი მელაანის მიდამოებში ყოფილა ჩასაფრებული. როდესაც ბრძოლა დაიწყო, დაიწყო ბატონიშვილი მაშასადამე შეკრიბა ყიზილბაშთა რიგებში. საომარი ნაღარის ხმის გაგონებაზე მელაანთან ჩასაფრებული ყიზილბაშნი ზურგიდან დაესხნენ თავს კახთა ჯარს. ბრძოლაში დაღუპულა დაიწყო ბატონიშვილი და მისი ჯარიც დამარცხებულა.

ქართული ხალხური ლექსი ძალზე ეფექტურად აგვიწერს დაიწყო ბატონიშვილის გმირობას: „გამეგობა ლაშქარსა, განახევრა ჯარით, მეჩვიდმეტეუდ მივიდა, დადგა, ჩააგო ხმალიო: „შამინდავ ღვთის ბძანებაო, ოცსა დამიკლდა“ სამიო“. ერთმა ურჩულთა თათარმა თოფსა დახვია ალიო, ცხენზეთ გადმოიტანეს დაიწყო ალვის ტანიო“.


შემდეგ ვკითხულობთ დაიწყო ბატონიშვილის ცოლის მოკვებას: „ჩემი მიჩვენეთ დაიწყო, ცოცხალია თუ მკვდარიო“, და მოღვესე უღმომბელ სიმართლეს ამცნობს უღროლოდ დაქვრივებულ ქალს: „დაიწყო ვინდა ვიჩვენებს, წითლის ღვინით არს მთვარალიო“ (უნდა აღინიშნოს, რომ სპარსული ისტორიკოსიც ანალოგიური მეტაფორას იხვედებიან: „დავუღმირსა სიკვდილის მწარე ღვინით დაიწყო“).

უკანასკნელი ძე თეიმურაზისა შეეწირა მამის უკანასკნელ ომს. და ეს დამარცხება უკანასკნელი აღმოჩნდა მრავალ ომგადახდულ მეფესათვის. მას აღარც გამარჯვებანი ეწერა მომავალში, აღარც — დამარცხებანი. მაგრამ თეიმურაზმა ჯერ არ იცის, რომ უკანასკნელი დამარცხება განიცადა; ჯერ არც ის იცის, რომ მისი უკანასკნელი ძე დაიწყო ბატონიშვილი აღარ არის ცოცხალია შორის. ჯერჯერობით მხოლოდ ის იცის, რომ თავი უნდა დამიცეროს და გამარჯვებულ როსტომს დაემორჩილოს.

კმაყოფილი როსტომ მეფე მადლობას უხდის უფალს: „კურთხეულხარ ძლიერო და უძლეველო ყოვლისა მპყრობელო ღმერთო, რომე სიდიდე და სამართალი შენი ყოველსა კაცს დაანახვე. შევიბნით და გავიძარცვით“ (ეს ტექსტიც ზემოხსენებული გაურკვეველი გახლავთ).

გაქრა მაჰმადიანი მეფის ლოცვავედრებამ. განგებამ კეთილი თვალთა გადმოხედა რენეგატს და კიდევ ერთხელ, უკვე მერამდინედ, ზურგი შეაქცია ქრისტიან თეიმურაზს, რომელიც ოცდაათ წელზე მეტი იქნება, რაც დაუღალავად იბრძვის სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის.

როსტომის ერთგული ხელქვეითი-გამაჰმადიანებული ქართველი ასტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე კვერს უტრავს თავის ბატონს: „ღმერთი უტყუარია და ამ საქმეზედ მორანს, რომ ბატონს თეიმურაზს მრავალი უბრალო სახლი მოეთნაროს და მისი საქმით მრავალნი ტყვეთ წახეხას, მრავალნი უბრალოთ დახოცილიყვენ, მრავალნი დედანი აეტირებინოს და იესოს ნაბძანები



შარლოტა კვანთალიანი

სანამ დედა ცოცხალია...

ახლა უკვე გვიანია ვსდიო ცაში მისი სულის მტრედებს...
სანამ დედა ცოცხალია, მოვეფერეთ დედებს!

სიყვარულს ნუ დაამადლით, თბილი სიტყვა წშირად გაუბედეთ.
სანად დედა ცოცხალია, მოვეფერეთ დედებს!

მანამდე გვაქვს ფრენის ნიჭი, ვეჭიბრებით არწივებს და გედებს,
სანამ დედა ცოცხალია... მოვეფერეთ დედებს!

თუ ბავშვობა გენანებათ, ნაადრევად შიშობთ არ დაბერდეთ,
სანამ დედა ცოცხალია, მოვეფერეთ დედებს!

დედის თვალთა კეთილ ზღვაში სარკესავით წშირად ჩაიხედეთ.
სანამ დედა ცოცხალია, მოვეფერეთ დედებს!

თორემ მერე გვიანია სდიოთ ცაში მისი სულის მტრედებს...
სანამ დედა ცოცხალია, მოვეფერეთ დედებს!

სამშობლო

ხარ ტკივილის მწვანე ველი, სიყვარული უსამანო.
ვაი იმას, ვინც წავა და ვისაც შენ არ უსამარებ!

უძილო ღამის შიმდე...

მეც ვიბოვი ერთხელ ჩემი სევდის უცნობ წამალს და უძილო ღამე ბრმა ჩიტივით ფრთხილად წავა.

აყვირდება სულში მონატრების მწარე ბუცი, ჩემს სიზმრებში ისევ დაბრუნდები ჩუმად თუკი.

დაიწყება მერე გვირდების დიდი თოვა და უძილო ღამე ბრმა ჩიტივით ფრთხილად მოვა...

სიტყვანი აქ გათავდება, რომ უბძანებია, — რომლისაც საწყალო მიუწყავო, იმავეთი მოგეწყვისო“.

ტყვეთა წასხმა, უღანაშაულოთა უღეტა და მრავალთა დედათა ატირება გულისხმობს იმ ხანგრძლივი ბრძოლის მწარე შედეგებს, რომელსაც ეწეოდა თეიმურაზი საქართველოში ყიზილბაშთა გაბატონებისა და ქართველი ხალხის „გათათრების“ წინააღმდეგ.

გამარჯვებული და ბედისგან განუბივრებული როსტომ მეფე იწვიოთ დიდსულდონებას იჩენს. ძვირად არც უღირს სიკეთე დამარცხებული და უვილოკლული თეიმურაზის მიმართ. ცხადია, უტყუარი გუმანიო სვდება, რომ თეიმურაზი უკვე ველარაფერს დააკლეს, რომ ეს იყო უკანასკნელი ომი თეიმურაზისა.

როსტომთან მოციქულად მიგზავნილი ბორეშან დედოფალი ევედრება თავის ბიძაშვილს, ჩემი დაიწყო შეიწყალო. გავიგეთ, თათრებს ყაენთან გაუგზავნიათ და ეგებ უშველო რამეო. როსტომმა უკვე მშვენივრად იცის, რომ ყაენთან ცოცხალი დაიწყო კი არ გაუგზავნიათ, არამედ — მისი მოკვებითი თავი. მაგრამ არ ნებავს თავისი პირით ამცნოს დედას შვილის სიკვდილი და თავაზიანად ანუგეშებს: რაც შეგვიძლია, მოგეხმარებითო. ისიც იცოდეთ, რომ ყაენის კარზე თქვენს შვილს მხოლოდ სიკეთე და ბედნიერება ელოდებო, მაგრამ თქვენ მეტარლებით, რომ იმის შეყრამდის ტირილი და ნალკელი შეგაწუხებთო.

ბოლოს, როსტომ მეფემ ხუთასი თუმნის ფეშქაში მიაართვა ბორეშან დედოფალს და ხუთასი ცხენ-ჯორი ათხოვა იმერეთს გასახიზნად. თეიმურაზი და ბორეშანი შეიტყობენ დაიწყო ბატონიშვილის სიკვდილს იმერეთში და იქ გაიმართება „ტირილი და გლოვა დიდი“.

მაგრამ ვინ იცის, ეგებ გულის სიღრმეში მანამდე ჩაბუდებულიყო ავი წინათვარსობა. ხალხური ლექსი საოცრად სევდიანი ფერებით გვიხატავს დამარცხებული თეიმურაზის მორიგ გახიზნას იმერეთში: „იმერეთის მთას გადაღის აქლემთა ნატოტარიო, წვიმა დაწვიმეს ღრუბელთა. დამდგარა ნაგუბარიო, ვარდის ჩაყრილა ფურცელი, დაღბერნეს, დაძირავს ქარიო“...

ხანდაზმულმა თეიმურაზმა ხმალი გაწე გადადო. მისი ჭანგატეხილი მკლავი ახლა კალამდა მოერეოდა.

იმერეთის მეფე ალექსანდრე, სიძე თეიმურაზისა, სარჩოდ მიუჩენს რაჭას და შვილი წლის მანძილზე „მოწყენით ცუდად გდებაში“ იწერება უბედური მეფე-პოეტის უკანასკნელი თხზულებანი.

თეიმურაზი ჯერ ბერად შედგება, მერე ისევ ჩაითრებს ამქვეყნიური ცხოვრება და სამოცდაათ წელს გადაცილებული კახეთის ყოფილი მეფე საძულველი ისპაანის გზას დაადგება, რათა თავის შვილიშვილს ერეკლეს მაინც მოუპოვოს კახეთის ტახტი.


აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი წერს: „ეს ირანის დიდი გამარჯვება იყო. მტერს დამორჩილდა სპარსელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ორმოცდაათწლოვანი ბრძოლის მესაქე“.

სეფიანთა სამეფო კარზე სახვეწრად ჩასულ თეიმურაზს შეურაცხყოფას მიაყენებენ და მერე ასტრბადის ციხეში გამოამწყვდევენ, საიდანაც ცოცხალს აღარ ეღირსება გამოსვლა.

როსტომ მეფემ ხუთი წლით დაასწრო სიკვდილი თავის მეტოქეს. ქართველი მემკვიდრის სიტყვით, მან „განვლო სოფელი ესე დიდი შვებითა და განცხრომითა“.

თეიმურაზი ჯერ კიდევ რაჭაში ყოფნისას ნატრობდა სიკვდილს, რომელიც ბოლოს მოუღებდა მის უბედურებათა და გასაჭირთა სიმრავლეს. იგი წერდა: „ვის სიცოცხლე მწარე მქონდეს — სიკვდილი თქვა შოთამ ტკბილად“.

სიტკბოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ სიკვდილი უფრო სამართლიანი გამოდგა, ვიდრე სიცოცხლე. საქართველოში ჯარდაცვლილი როსტომი ირანს წაასვენეს და ქ. ყუმში მაჰმადიან წმინდანთა და მბრძანებელთა გვერდით მიუჩინეს სამარე. როგორც ეკადრებოდა სულითა და ხორცით მაჰმადიან ქართველ მეფეს, ისპაანის ტარულას და ირანის ყულარადას. მხოლო ირანში აღსრულებულ თეიმურაზს ანდერძი არ გაუწვილეს და საქართველოში ჩამოასვენეს. მუღმივი ლტოლვილი და ხიზანი ძლივს დაამკვიდრდა სამშობლოში; მთელი სიცოცხლე იბრძოდა მისი მიწისათვის და ერთი პაწია ნაგლეჯი მაინც დაისაკუთრა სამარადისოდ. აღარავინ შეეცილება, აღარავინ წაართმევს...



ვიდა, ჩანთიდან შავი პურის ნაჭერი და ვაშლი ამოიღო და ჭამა დაიწყო. თავბრუსხვევაში ივანი შინ დაბრუნდა. ცხოვრებაში პირველად იგრძნო, რომ მის ბინაში სიცარიელეს დაესადგურებინა. პატარა წიგნაკი ამოიღო, სადაც ინიშნავდა ხოლმე ცნობებს მუშების შესახებ. ამ გოგონას სახელის „ვიელას“ შემდეგ ეწერა: „ობოლი გოგონა, თავისი ხელფასით ინახავს უმცროს ხეიბარ ძმას“.

გოგონა უქვევლად აღრეც ჰყავდა ნანახი, მაგრამ მაშინ ყურადღება არ მიუქცევია. ყოველ შაბათს ხომ თვითონ ურიგებდა ხელფასს მუშებს. ალბათ, ციფრების ყურებაში გამოჩნდა მისი სახე.

— გაღაწვევით, დღეიდან სულ ფასი ორმაგად გაგიღებო.

— რატომ? — ჰკითხა ქალიწული და თავისი მხრებით შეკრულ თვალებით გაოცებულ შეხედვა.

— შევიტყვე, რომ ავადმყოფი ძმა გყოლია, რომლის შენახვაზეც ნახევარი ხელფასი გეხარება და შენთვის კაბის ყიდვასაც ვეღარ ახერხებ. ვიცი, რომ პატიოსანი და წესიერი ხარ. ხშირად ვაჭილდოვებ ასე კარგი ყოფაქცევის ადამიანებს. დღეიდან ორმაგ ხელფასს მიიღებ.

— არა, მე ეს არ მინდა, — უბახუხა ქალიწული.

— რატომ? — ვერ დაფარა გასციფრება ივანმა.

— სხვებზე მეტი რომ გადამიხა-

მორე იოკაი

მეაში ავღუასსეში

ივანმა იმ დამეს ვერ შეძლო ცდების ჩატარება, ბედი არ სწყალობდა. გამოთვლებშიც შეცდა, ხელიდან არაფერი გამოუდიოდა. თვითონაც ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა მის გონებაში.

ყურში ისევ ის ნაღვლიანი სიმღერა ჩაესმოდა. უნდოდა, როგორც დღეები წყვილები, მაგრამ ვერ შეძლო. თითქოს საათის ქანქარაც იმ მელოდის გამოსცემდა მოძრაობისას, იგივე ხმებს იმეორებდა სპირტქურა და ამასვე სტვენდა ორთქლის მანქანის სარქველი, ეს სიმღერა მოესმოდა ყოველი წაითხული სტრიქონიდან. იმდენი სევდა და სითბო იგრძნობოდა მასში, ეჭვი არ იყო, გლეხი გოგონა მღეროდა. ყველაზე მეტად კი გული იმაზე მოსდიოდა, რომ ამ სიმღერამ სულ აფორიაქა და მოსვენება დაუკარგა. გაღაწვევით, ხვალვე გაეგო, ვინ მღეროდა და მაშინვე საკოპსავ დანაღვარზე გადაეყვანა. იქიდან მწლარ გაიგონებდა მის ხმას.

როგორც კი გათენდა, ივანი მალა-როსკენ გაემართა.

შუადღისას, სასადილო შეხვედრების წარი რომ დაირქა, ისევ ვაისმა ის ჯადოსნური სიმღერა. ერთ-ერთი მუშა ქალი მღეროდა. შავივით სუფთა და წკრიალა ხმა ჰქონდა და იმას მღეროდა, რასაც გული უკარნახებდა.

ივანმა მაშინვე იცნო წინა რიგებში მიმავალი მომღერალი. იგი სრულიად ახალგაზრდა იყო, თქვესმეტი წლისა თუ იქნებოდა. ლურჯი ყილეტი შემოტანხნოდა მის ახალგაზრდას, კოსტით ჭერ კიდევ შეუვიწროებულ უმშვენიერეს ნაკვთებს, ქვედა ტანის წითელი ბოლო მალა აეწია და ქამარზე დაემაგრებინა, მოკლე პერანგი კი მშვენიერ მუხლისთავებს ძლივს უფარავდა. ფეხ-

ბი მართლაც საოცრად ლამაზი ჰქონდა, უკეთესი თვით ჰებესაც არ ექნებოდა. სახე სხვებზეთ ქვანახშირის მტვრით ჰქონდა გამურული, მაგრამ მახვილ თვალს მისი სწორუპოვარი სილამაზე შეუმჩნეველი არ დარჩებოდა.

მის განუმეორებელ მშვენიებას კი მაინც მომხიბლავი გამოხედვა წარმოადგენდა, რომელშიც ერთმანეთს ეხამებოდა თავდაპირველობა და ბავშვური სიცილეტი. საოცრად შვეწოდა სქელი, შავი წარბები და მომღიპარი ტუჩები, მიწერი მტვრით კი ჩრდილს ვერ აყენებდა მის არამიწერი ბრწყინვალეობას. ან კი რას დააკლებდა ქვანახშირის მტვრით შავი აღმასებებით მოვლვარე თვალებს!

როგორც კი თვალები ივანი მიანათა, იმავე წამს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს აღმასებმა გასჭრეს მკერდში მოთავსებული მინის საფარი, რომელიც სამედიოლ იცავდა მის გულს ამგვარი თვალთა ისრებისაგან. შავმა აღმასებმა შეადწინა გულამდე და რაღაც უხილავი ძალით შეატოკეს.

გლეხის გოგო მიესალმა. ივანი მოქალაქეობის შეწყურებდა, სულ გადავიწყდა, რისთვის იყო მოსული, რა უნდა ეთქვა. იდგა და თვალს ვერ აცილებდა მიმავალ ქალიწვილს. იქნებ ერთხელ მაინც მოიხედოსო, ეს ჯადოს მოუხსნიდა. ქალიწვილებს უნდა ახსოვდეთ, რომ პირველი შეხედვით მამაკაცის გულში მოხვედრილ ისარს უკან მოხედვით თვითონვე ამოაძრებენ. მამაკაცს სულ გაუქრება პირველი შთაბეჭდილება და იტყვის: „ჩვეულებრივი ქალი ყოფილაო!“

მაგრამ ქალიწვილმა არ მოიხედა, თუმცა მის უკან მიმავალმა ერთმა გოგონამაც დაუძახა: „ვიელა!“ ამხანაგებთან ერთად ფარდულში შე-

ან ახლა როგორ დანახა მისი თვალები?

იმ დღეს თავის წიგნაკში ივანს არაფერი ჩაუწერია. ვერ გარკვეულიყო, რა ერქვა იმ ახალ ქიმიურ შენაერთს, რომელიც ყოველგვარი გამოთვლების საწინააღმდეგოდ წარმოიქმნა. სიყვარული? შეუძლებელია! იქნებ ცხოველური ინსტიქტი? მაგრამ მაშინ ვინ მისცივდა ამას მნიშვნელობას: გონიერი კაცი კი არ ემოწირილება თავის ინსტიქტებს...

ბოლოს, როგორც იქნა, გაერკვა ეს იყო სავსებით ნორმალური და ნეიტრალური გრძნობა, უბრალო სიბრალოლის გრძნობა უდემამოდ დარჩენილი ახალგაზრდა გოგონასადმი, რომელიც იძულებული იყო, ღვთის ანაბრად დატოვებული ნებიბარი მმისთვისაც ეპატრონა. ყილეულიბა მისთვის ძვირადღირებულ წამლებს, თვითონ ხმელა პურს და ვაშლს სჭერდებოდა და მაინც ემდებოდა. თანაც ეტყობოდა, პატიოსანი და კარგად აღზრდილი იყო.

ივანი საბოლოოდ დამშვიდდა, ქვანახშირის მტვრით დაფარული მშვენიერი სახის დანახვაზე მისდამი სიბრალოლემა შემეტკაო გული, ხოლო ამ ნამდვილი ნიმფის შეუღარებელ შიშველ ფეხებს და მუხლისთავებს რომ მოჰკრა თვალი, დაენანა მხოლოდ, რომ მათ ქვანახშირის ნამტვრევებზე უხდებოდათ სიარული.

მისი აზრით, ეს იყო მხოლოდ კაცთმოყვარეობის გრძნობა და გაღაწვევით, კიდევ უფრო გაეღრმავებინა თავის გულში.


შემდეგ შაბათს, საღამოს, მუშები ჩვეულებრივ მივიდნენ ივანთან გასამრჯელოს მისაღებად. როცა ევიდა მაგიდას მიუახლოვდა, ივანმა ფილოსოფიური სიმშვიდითა და ქველმოქმედის დიდსულოვნებით მიმართა:

ლოთ, ყველა იფიქრებს, რომ მე თქვენი საყვარელი ვარ და მაშინ აქ, ამ სოფელში, ვეღარ ვიმუშავებ, ამხანაგები წამომამხებენ.

ივანი გაოგნებული დაბრუნდა თავის ოთახში. ასეთი რამ არასოდეს განუცდია. რამდენი წიგნი წაუკითხავს, სად არ უმოგზაურია, რამდენი ქალი არ უნახავს, მაგრამ იმის ახსნა, რასაც ახლა განიცდიდა, მას არ ძალუძდა.

არ უნდა, ჩემს საყვარლად ჩათვალონ! არ იცის, რას ნიშნავს საყვარლობა, მაგრამ ის კი იცის, რომ უნდა მოერიდოს ამას. და ყოველივეს ანგარიშიუცემლად აკეთებს. ნამდვილი ველურია ანგელოსის სახით, როგორ განსხვავდება ყველა ქალისაგან იმათგანაც, ვინც ფეხშიშველად დადის და იმათგანაც, ვინც ფარჩა-აბრეშუმი იწონებს თავს.

და იგი ბოლოს მაინც ბიბლიური ევა. ოღონდ არა ის, ვის შესახებაც სწერენ არქეოლოგები, არამედ ის, ვინც პოეტთა შორის ყველაზე ღირსეულის, მოსეს წარმოადგენითაა შექმნილი. ევა, რომელმაც ჭერ არ იცის, რომ სიშიშველე სირცხვილია, რომელიც თმებში ბაფთასაც კი არ იწნავს და ყელს ნიუარების მძივით არ ამშვენებს, უდარდელად ეთამაშება გველს სამოთხის ბაღში, მამაკაცის თვალში უკვე ქალია, თუმცა თავის თავს ჭერ ისევ ბავშვად თვლის, დელობრივ სიყვარულს გრძნობს ხეიბარი მმისადმი. მისი სხეული პლასტიკური ხელოვნების ნიმუშია, სახეზე სიწმინდის ნათელი ადგას, თვალები ჯადოსნური აქვს, ხმა მგრძობიარე, ხელით მიათრევს ურიკას, ყოველდღიურ ლუკმაზე ფიქრობს, სახე შავი მტვრით მოხვრია და ათასგვარ სისულელეზე მღერის. როგორ მეცოდება! ცოტა ხნის შემდეგ კი გაიფიქრა: რა სამწუხაროა, რომ



სხვას ღარჩება!
ივანმა სულ დაკარგა სულიერი წონასწორობა. რისთვისაც არ უნდა მოეკიდა ხელი, არაფერი გამოსდიოდა, ქალიშვილის სახე იღგა მასა და მეცნიერებას შორის...

ბოლოს წიგნი აიღო, რომ ცოტა გული გადაეუღლებინა. მასში იმ დიდებულ მამაკაცთა ამბავი იყო მოთხრობილი, რომლებიც დაბალი წარმოშობის ქალებს აღმერთებდნენ. ლორდ ღუგასის მწყემსი ქალი შეუყვარდა და, რაკი მან არ მოისურვა პერცივინობა, მილორდი თვითონ წავიდა მწყემსად. ჰაბსბურგ-გოტარინგის პერცივინა, იანოშა, ცოლად ითხოვა სოფლის ფოსტმასტერის ქალიშვილი, ავსტრიის მეორე პერცივინა კი პრინციციელი მსახიობი ქალი.

ან კი რატომაც არა! განა უხეში ტილოს სამოსელის ქვეშ არ შეიძლება, იმალებოდეს სილამაზე მშენიერი სხეულისა და ერთგული გული?

პირიქით! განა იქ, ბრწყინვალე საზოგადოებაში, ქალები არ სცოდავენ?...
17.7.11

და განა სათნოების ნაკლებ მაგალითებს ვხვდებით დაბალი წარმოშობის ადამიანებში?

შემდეგ კვირას ივანმა იგრძნო, რომ დაკარგა გონივრული მსჯელობის უნარი, მთელი კვირა ქალიშვილი არ ენახა. შაბათს კი გამოჩნდა დერეფანში ხელფასის მისაღებად. ამჯერად ივანმა ფული რომ დაუთვა, მის ასაღებად გამოწვეილი ხელი დაუჭირა. ქალიშვილმა გაუღიმა.

— ყური მივღე, ევილა, მინდა, ცოლად შეგიერთო.

ქალიშვილმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— რაო, არ გინდა?
— არ შეიძლება!

— არ შეიძლება? რატომ?
— იმიტომ რომ საქმრო მყავს, დანიშნული ვარ.

ივანმა ხელი შეუშვა.
— ვინ არის?
— არ გეტყვით! რომ გაიგოთ, აქედან გააგდებთ, ან აღარ დააწინაურებთ და ის კი მე ვერ შემირთავს, ვიდრე მემაღაროე არ გახდება.

— ესე იგი შავი მუშაა? და ეს გირჩევნია?
ქალიშვილმა მხრები აიჩინა, თავი დახარა და ივანს აღმაცერად დაუწყო ყურება, ბოლოს თავი ასწია და გაბედულად უბასუხა:

— მშობლებმა ბავშვობიდანვე დამიშენს მასზე.

— ეშმაკსაც წაუღია შენი მშობლები! — თავისდაუნებურად აღმოხდა ივანს, — მე სულ არ მეკითხება, რას შეჰპირდნენ ისინი რომელიღაც პირუტყვის! მე გირჩევნივარ თუ ის?

— შეუძლებელია! თქვენ მას არ იცნობთ, არც ჩემი მოკვლა გაუჭირდება და არც თქვენი მაღაროს აფეთქება! ღამე მშვიდობისა!

ივანმა ისეთი ძალით დაახემა საბუღალტრო წიგნი მაგიდაზე, რომ ფურცლები აქეთ-იქით გადაცვივდა.

— გლეხუჭა! პირუტყვი! უარყო ჩემი სიყვარული! და მერე ვისთვის? ისეთივე ჭუჭყიანი და ჩამოგლეჯილი ჩამოგლეჯილი საცოდავი მიწის მუშისათვის, როგორიც თვითონ არის! თხუნელასათვის!

ღამე მარტო რომ ღარჩა, ივანი გააფთრებულ ბრძოლაში ჩაება. მას ასმოდელი და ლევიტანი ელოდნენ. ერთი იმათი მაცდუნებელი ეშმაკია, ვინც სიყვარულისგან გიფდება, მეორე მათი, ვინც გონების დაბნელების უამს მკვლეელი ხდება. მასში ასკეტის მიძინებულმა ვნებამ იფეთქა ანაზღად.

ო, ძრწოდეთ გულცივი წმინდანების მარმარილოსებრი სახის წინაშე! გეშინოდეთ მშვიდი, უწყინარი ადამიანებისა, უღამაზესი ქალის დანახვაზე პირს რომ იბრუნებენ ხოლ-

მე, რადგანაც თუ ერთხელ იფეთქა მათში ჩამქრალმა ალმა, მას ვეღარაფერი დაუდგება წინ, მოითხოვს ტყვეობაში გატარებული წლების ანაზღაურებას. თავქარიანი კაცის სიყვარული ფინია ძაღლივითაა, განდეგილისა კი ლომს უტოლდება!

ივანმა იგრძნო, რომ ამ ლომმა გაიღვიძა მის გულში... ივანს ახლა კარგად ესმოდა ამ მღვდლისა, რომელსაც ისე ძლიერ შეუყვარდა ერთი გლეხის ქალი, რომ ვითომდა აღსარების სათქმელად შეიტყუა თავის ოთახში და მოკლა მხოლოდ ერთი კაცის გულისთვის...

ო, ახლა ივანსაც შეეძლო მსგავსი რამ ჩაედინა და იმ მღვდელზე უარესადაც, მისთვის კარგად იყო ცნობილი ტკბილი სასწაულმოქმედი საწამლავები, სისხლს რომ უღუღებს ადამიანს და სირცხვილის გრძობას უკარგავს. მარტო ბანკ-ბანის მეუღლე ხომ არ შეუცდენიათ ამ საწამლავით? ოღონდ, ვინც მას მიიღებს, შემდეგ გიფდება, ჩამოხმება და კვდება.

მერე რა, თუ ის დაიდუბება, თუ მოკვდება? მყუდრო თავშესაფარს მოუძებნის. ქვანახშირის გამოქვაბულის საიდუმლოებით მოცულ ლაბირინთებში ასეთი ადგილის პოვნა ძნელი არ იქნება, იქ დამალავს... ახრადაც არავის მოუვა იქ მისი მოძებნა! მხოლოდ ერთი საუაუნის შემდეგ, როცა ამ კლდესაც გადათხრინ, წააწვდებიან თითქმის გაქვავებული, კრისტალებით დაფარულ გვამს და მაშინდელი მეცნიერები მთელ ტომებს შექმნიან იმის შესახება, თუ როგორ, საიდან გაჩნდა ეოცენის ეოქაში ადამიანის ნეშტი ქვანახშირისა და ძოწის ფენებს შორის:

— ჰა-ჰა-ჰა! სიცილი დაიწყო. აი ხალამდე მივიდა.

ანდა სხვაგვარადაც შეიძლება, ქიმიური დაშლის გზით გამოვეყოთ მისი სხეულიდან მეტალი, საღნობ

ლუმენში გამოვაცალიო წილა და გამოვადნო მისგან სამაჭური, რომელსაც მუდამ ვატარებთ მუდამ იქნებოდა დაქორწინება!
რატომაც არა! თუქ — ათასობა ვარსკვლავს შეუძლია წინაღუდგეს მზეს, ამოვარდეს ორბიტიდან და ისეტილოს ნებისმიერ პარაბოლზე, რატომ ადამიანს არ უნდა ჰქონდეს ამდენი თავისუფლება?

ივანი თავს კომეტად გრძნობდა, რომელსაც შინაგანი ცეცხლი უსასრულოდსაკენ მიაქანებდა. გული ისე უცემდა, თითქოს განთავისუფლებული მონა ყოფილიყოს, რომელიც ახლა თვითონ მბრძანებლობდა მასზე.

ვაი იმას, ვინც ახლა წინ აღუდგებოდა!

ამ უჩვეულო გულისცემამ ივანი საწოლიდან წამოახტუნა.

როგორ, ვინ არის ეს? ჩემი გული? ვინ არის ჩვენს შორის მბრძანებელი?

ივანი წელში გასწორდა და ისეთი ძალით დაირტყა მუშტი მკერდში, თითქოს მოსისხლე მტრის წაქცევას აპირებდა. ხომ გესმის? მე ვარ შენი მბრძანებელი! იცოდე, ასეთი აღარ განახოს ჩემმა თვალებმა!

და თითქოს მართლაც მაგიური ძალით დაამარცხა და აიძულა თავისი გული. დამშვიდებულიყო, დამჯდარიყო მასთან ერთად საწერ მაგიდასთან და გულგრილად ედევნებინა თვალყური ფორმულებისა და მათემატიკური ცნებებისათვის, ვიდრე მის ირგვლივ სისხლისფრად ჩამუქებული ატმოსფერო თანდათან ვარდისფერ ნისლში არ დაიბურა და ბოლოს სულ გამჭვირვალე არ გახდა, როგორც ეთერი, რომელშიც მოძრავი პლანეტები ისმენენ ადამიანთა სმენისათვის მიუწვდომელ სფეროთა მუსიკის ჰანგებს.

უზნარულიდან თარგმნა
ლილი მაისურაძე.

ზაურ გერგაძე

ზღვა

ზღვა არასოდეს არ არის მარტო...
მუნჯი თევზების ნაოცნებარზე ანგელოსები მუხიკას თხზავენ.
ზღვა არასოდეს არ არის მარტო...

შეყვარებული მეზღვაურები
მლაშე სიწმირებში ჰკოცნიან ღამეს.
ზღვა არასოდეს არ არის მარტო...

ის აკვანია ჩვილი ვარსკვლავის
და ნუგეშია დაჭრილი ქარის.
ზღვა არასოდეს არ არის მარტო...

წმინდა გარათიები

უნდა გაეცნო წმინდა ბარათებს, —
შენს წინაპართა უხსოვარ ანდერძს...
დიდ ღამეებში, კოცონის პირას,
როს ვარსკვლავებსაც მშვიდად ეძინა,
გულის კარნახით წერდნენ ისინი:

ლექსეპი

მიმინოს ცრემლით ავაზას ტყავზე.
უნდა გაეცნო წმინდა ბარათებს...

კიდე, კიდე სადა ჰქრის
ამნაირი ქარი და...

კიდე, კიდე სადა წვიმს,
ახე ხმაშეწყობილად.

კიდე, კიდე სად ისმის,
ახე ზღვის აღსარება,

კიდე, კიდე სად ჰყვავის,
ახე ია-ენძელა...

სურვილი

ო, როგორ მინდა ამ სიტყვებს შორის
დანაღმულ ბილიკს შეადგა ფეხი...
და უეცარი აფეთქების ხმამ
გამოგაფხიზლოს ძილ-ბურანთან;
ხსოვნის ტაძრიდან მოვარდეს ქარი,


ქეპა-ქუხილით გათენდეს დილა,
ლემხით გალუმბულ სხეულზე იგრძნო,
დამქნარ ყვავილთა აღვივლება.

უოველთვის, როცა შენ მახსენდები,
ვსახიერდები ბედნიერ ბავშვად,
რომელმაც ავი ზმანების შემდეგ
დედა იოვა და ტირილს იწყებს.
უოველთვის, როცა შენ მახსენდები,
სიჩუმე აკრთობს ხსოვნის იმ უჭრებლს,
რომლის ბუდეში ცოცხლობს შენი ხმა...

ჩემს ძმას

მართალია, ჩვენ ერთად არ ვწერთ,
როგორც ედმონ და უიულ გონკურები,
მაგრამ მე შენგან ვიხსენებ, ძმაო,
ხმა — უანგარო, სუნთქვა — გულწრფელი.
სხვადასხვა გზები გვარგუნა ბედმა:
— სხვა ქარებს უსტვენ...
— სხვა წვიმით ვფარები...
და არ მიწყინო, თუკი დროულად
შენს მიწიერ ვალს ვერ დაგიბრუნებ.

ქ. მანკოს სახ. ნა. ნა.



საქართველოს საზოგადოებრივი საბჭოთაო რევოლუციური პარტიის

პარტენ პარკველაშვილი

„პორტრეტი ინდივიდის სახეა და ამავე დროს თანამედროვე ცხოვრების სახეც.“

პორტრეტში საჭიროა გამოხატული იყოს არამც თუ გარეგანი, ინდივიდუალური სახე ადამიანისა, არამედ შინაგანი სახეც. ამას გარდა პორტრეტში გამოხატული უნდა იყოს სახე საზოგადოდ ადამიანისა — წერდა დავით კაკაბაძე 1919 წელს თავის „სამხატვრო წერილებში“. მაშინ დავით კაკაბაძე 30 წლის იყო. უკვე შექმნილი ჰქონდა საკუთარი ხელწერით ამეტყველებული სრულყოფილი ტილოები — „დედის პორტრეტი“, „მამის პორტრეტი“, „ძმის პორტრეტი“, სამი „ავტოპორტრეტი“, „კუბისტური ავტოპორტრეტი“, და ბოლოს „იმერეთი — დედაჩემი“. მათში სრულადაა განხორციელებული მოთხოვნები, პორტრეტულ უნარს რომ უყენებს მხატვარი (კუბისტური ავტოპორტრეტის გამოკლებით). ამთგან „იმერეთი — დედაჩემი“ სიმბოლოდ, ხატად აღიქმება და პორტრეტული ხელოვნების შედეგს წარმოადგენს.

იმავე წერილში მხატვარი გამოთქვამს რწმენას:

„პორტრეტს სურათების რიგში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ის თავისუფლება, რომლისკენ ადამიანი ყოველთვის მიისწრაფვის, ძლიერ შეზღუდულია მხატვრისათვის პორტრეტში.“

აღბათ ამის გამო, დავით კაკაბაძეს თითქმის 33 წლის მანძილზე პორტრეტი აღარ შეუქმნია. მეტიც, 1921 წელს „წურბლების გამყიდველისა“ და „ბანანების გამყიდველის“ შექმნის შემდეგ მას ადამიანის სახე არ გამოუნატავს სურათზე. მხოლოდ 1941 წელს შეეცადა, დაეხატა ახალგაზრდა მეუღლის ეთერ ანდრონიკაშვილის პორტრეტი. შეასრულა კიდევ საუცხოო ეტოული ზეთის ფერებით, მაგრამ ეს იყო და ეს. როგორც ქალბატონი ეთერი იგონებს, დავითმა ვერ შეძლო, ვერ აიძულა თავი, რომ დასრულებული პორტრეტი შეექმნა...

როცა „ფორმალისტი“ დავით კაკაბაძე 1948 წელს სამხატვრო აკადე-

მიიდან დაითხოვეს, მისი შემოქმედების უანრობრივი სივიწროვეც აღნიშნეს. ამ „ნაკლის“ დასაძლევად 1951 წელს იგი ქმნის სტალინის გამოსახულებას. სწორედ გამოსახულებას და არა დაზგური ფერწერის ნიმუშს — პორტრეტს. გარკვეულ კომპრომისულ გზას მიაგნო მხატვარი — თავის პრინციპსაც არ უღალატა და სტალინის გამოსახულებაც შექმნა. ოღონდ ამისთვის მას ახალი მეთოდის გამოგონება დასჭირდა.

მხატვრის ოჯახში ინახება საკავშირო საპატენტო ორგანიზაციაში გაგზავნილი განაცხადის პირი გამოგონებაზე „ფოტოსურათიდან მოცულობითი გამოსახულების აღდგენის მეთოდი“. აგრეთვე აღნიშნული ორგანიზაციიდან მიღებული ორი დოკუმენტი, რომლებითაც დასტურდება განაცხადის მიღება და შემდეგ, საპატენტო დაწესებულების რეორგანიზაციის გამო, ამ განაცხადის სხვის კომპეტენციაში გადასვლა. მაღე დავით კაკაბაძე გარდაიცვალა.

ორგანოზომილებიანი სახიდან მოცულობითი გამოსახულების აღდგენის მისიული მეთოდის საილუსტრაციოდ მხატვარმა სტალინის სახე აირჩია. სამი მაკეტიც გააკეთა (ისინი მხატვრის პირად არქივში ინახება) და მოლაპარაკებას აწარმოებდა მოსკოვში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მისი დამონტაჟების თაობაზე. ამ მეთოდით სხვა პიროვნების სახის აღდგენა მას არ უცდია.

საზოგადოებრივი მდგომარეობით, თუ თავის პიროვნული თვისებებით გამოირჩეულ არაერთ ადამიანს შეხვედრია დავით კაკაბაძე და არაერთ მათგანთან ჰქონია სიახლოვე, მაგრამ შექმნა მხოლოდ საკუთარი თავის, დედის, მამის და ძმის პორტრეტები. ასეა ცნობილი დედს. მაგრამ თუ 1952 წლის 16 მაისის „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ გამოქვეყნებულ ნეკროლოგს ყურადღებით წავიკითხავთ, ვნახავთ, რომ დავით კაკაბაძის მიერ შექმნილ შესანიშნავ პორტრეტთა შორის მოხე-

ნებულია გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტიც. რა თქმა უნდა, სიმბოლოური და მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია ამ ორი ბუმბერაზის შეხვედრა, საუცხოო თემაც კვლევისათვის, მაგრამ რატომღაც ეს ფაქტი აქამდე უყურადღებოდ იყო დარჩენილი.

1920 წლის 3 მარტს თბილისში, სახელმწიფო თეატრში, გამართა გალაკტიონ ტაბიძის საღამო. გაზეთმა „სახალხო საქმე“ ამ მოვლენის ანონსი პოეტის გრაფიკულ პორტრეტთან ერთად პირველ გვერდზე გამოაქვეყნა. პორტრეტზე გარკვევით ჩანს ინიციალები „დ.კ.“

საქართველოს ლიტერატურის მუზეუმის გალაკტიონ ტაბიძის ფონდში ინახება ორი დასტამბული ფურცელი (ზომებით 85 X 25 სმ²). ერთი მათგანი, როგორც ჩანს, უღის როლსაც ასრულებდა. მის მარცხენა, ზედა კუთხეში, მოთავსებულია ვალერი ჭვარიძის ფოტო წარწერით. ფრჩხილებში წერია „მომღერალი“. მარჯვენა, ქვედა კუთხეში, კი გალაკტიონ ტაბიძის იგივე გრაფიკული პორტრეტი, ინიციალებით „დ. კ.“ ფრჩხილებში — სიტყვების ავტორი“. დიაგონალზე დიდი ასოებით აწერია „მერი“, მთელი გვერდი დიდი გემოვნებით არის გაფორმებული გრაფიკულად.

ამავე ფურცლის მეორე მხარეს ზედა კუთხეში წერია — „სიტყვები გალაკტიონ ტაბიძის“, მარჯვენა კუთხეში კი — „მუსიკა მასხენისი“. შუაში, ცოტა ქვემოთ, დეკორატიულ ჩარჩოში — „მერი“, ამის ქვემოთ პატარა ასოებით — „დინჯათ მწარეთ“ და შემდეგ მოღის ნოტები. ამ გვერდზე ნოტებს სიტყვები არ ახლავს.

მეორე ფურცელი მთლიანად ნოტებს უჭირავს. ხაზებს შორის კი სათანადოდ დამარცვლული სიტყვებია:

„ოპ, დღეს შემოდგომა,
შემოდგომა,
სულს ეჩივნილი
აღარ სურს ყრავიშობითა
დაქრის ვარდების კვდომად,
ნაზო მერი
შენი ლანდი ცისფერი!
როგორც შორი სიზმარი.
ოპ! მარადის,
მარადის მახსოვხარი!
მახსოვს თვალთა შენთა ღამე,
მერი!
ოპ, დაუნდობლად
მომკლავს უშენობა.
წარსულის კარგი გრძნობით!
შემოდგომა
შენს ბაგეებს მაგონებს,
ვწუხვარ,
მშვიდობით
მერი!“

ეს ტექსტი 1916 წლით დათარიღებული კარგად ცნობილი ლექსისა „ო, შემოდგომა დღეს...“ ვრცელი ვარიანტია (გ. ტაბიძე „რჩეული“ 1973 წ. გვერდი 123) და გალაკტიონს უღავოდ ამ სპეციალურად შერჩეული მუსიკისათვის შეუთხზავს. ასე რომ მრავალმხრივ საყურადღებოა ამ ნოტების მიკვლევა. პირველ რიგში კი, თქმა არ უნდა, მეტად საინტერესოა მისი ახშიანება.

სამწუხაროდ, ნოტების ფურცლებს თარიღი არ ახლავს. გამოცემის თარიღის დასადგენად შეიძლება დაგვეხმაროს პირველ გვერდზე მოცემული ინფორმაცია: „გამოცემა ნიკო დერძიბაშვილისა“, „ფასი 15 მანეთი“ და დეკორატიული ჩარჩოს გარეთ აწყობილი წარწერა — „საქარ. რესპ. ქალაქთა კავშ. სტამბა“. სავარაუდოდ გამოცემის თარიღი 1916—1919 წლები უნდა იყოს.

ახალგაზრდა გალაკტიონ ტაბიძის ფანქრით შესრულებული პორტრეტი დავით კაკაბაძის არქივში ინახება (ზომა 50 X 40 სმ²) სურათს არ ახლავს ინიციალები, სხვა მხრივ გაზეთში და ნოტებზე გამოქვეყნებული სურათების იდენტურია. დავით კაკაბაძე ნაყოფიერად მუშაობდა წიგნის გრაფიკაშიაც და, ნოტების მთელი გრაფიკული მხარე, გალაკტიონ ტაბიძის პორტრეტთან ერთად, მისი შემოქმედების ნაყოფი უნდა იყოს. აქ მან, როგორც ჩანს, აუცილებლად ჩათვალა თავისი ინიციალების აღნიშვნა. გაზეთში მოთავსებული სურათი ნოტებიდან უნდა იყოს გადღებული.

პორტრეტის შექმნის თარიღის დადგენა ფოტოებთან შეჭერებით ვერ მოვახერხებთ იმ მიზეზით, რომ ლიტერატურის მუზეუმში დაცული გალაკტიონის ფოტოების უმრავლესობა უთარიღოა. 1916 — 1917 წლებ-

ში დავით კაკაბაძე საქართველოში არ ჩამოსულა, ხოლო პეტერბურგში მისი გალაკტიონთან შეხვედრა გამოცხადდა არა, მაგრამ ნაკლებად მოსალოდნელია. ამიტომ პორტრეტის შექმნის თარიღი 1916 წლამდე ან 1918 — 1919 წლებშია სავარაუდო.

ეს პორტრეტი ფანქრით არის შესრულებული. მასში სრულყოფილადაა განხორციელებული პორტრეტული უანრის კაკაბაძისეული მოთხოვნები. აქ მხოლოდ ხაზით, მკვეთრ, ღონიერი და სუფთა ხაზითაა გადმოცემული გარეგნული მხგავებაც, პოეტის სულის რევოლუციურობაც და ღირნიშაც. ესაა გალაკტიონ ტაბიძე და ესაა სიმბოლო რევოლუციური ეპოქის ღირიოისი პოეტისა.

მეოცე საუკუნე ქართული პოეზიის ისტორიაში დარჩება, როგორც გალაკტიონის საუკუნე. ქართული სიტყვისათვის რევოლუციური ბრძოლაში კი გალაკტიონმა ახალგაზრდაშივე გაიმარჯვა და მომავალში მნიშვნელოვანი იქნება სწორედ ახალგაზრდა, რევოლუციური, გამარჯვებული, თუმცა სევდანარევი გალაკტიონის სახე. დავით კაკაბაძემ გალაკტიონის პორტრეტის შექმნით შთამომავლობას სწორედ ახალგაზრდა, გენიოსი პოეტის, ფორმულასავით ტევადი, ლამაზი პროფილი უსახსოვრა.

და თუკი შეიძლება მხატვრისა და პოეტის შემოქმედებას საერთო მოკლებნოს, თუ მათ შორის რაიმე პარალელის გავლება შეეცდებით, მაშინ უდავოდ დავით კაკაბაძე და გალაკტიონ ტაბიძე დაგვიდგება წყვილად თვალწინ — ორი ბუმბერაზი, საუკუნეს რომ გადააწვდინეს ხმა.

როსკ ვასილკოვი

წარიალბანი

ჭერ კიდევ შეხვედებით ისეთ ადამიანებს, რომლებსაც სჭერათ, რომ ვარსკვლავები წკრიალებენ. სჭერათ იმის მიუხედავად, საკუთარი ყურით მოუსმენიათ თუ არა. ასეთ ადამიანებში ერთი პატარა ბიჭუნაც არაა. ბიჭუნა ვიოლინოზე დაკვრას სწავლობდა, თუმცა, საკმაოდ უგულოდ ეცილებოდა ამ საქმეს. იგი მუდამ იმ ციურ, ჰაეროვან მუსიკაზე ოცნებობდა, რომლის შესახებ მხოლოდ ზღაპრებში წაეითხა.

გვიან ღამით, როცა ყველას ეძინა, ბიჭუნა წამოჯდებოდა ლოგინში, ღია სარკმლიდან შეჰყურებდა მოწმენდილ ცაზე მოციმციმე ვარსკვლავებს და ელოდა, როდის აწკრიალდებოდნენ ისინი. ამ ღოდინში ხშირად ჩახიძინებია კიდევ, გამოღვიძებისას თავის თავზე ჰგვრობდა, აღმათ, სწორედ მაშინ აწკრიალდნენ ვარსკვლავები, როდესაც მე ჩამეძინაო.

ერთხელ, განთადისას, როცა ერთი პირი ძილი წყალსაც კი მოუვა, უკვე თვლემამორეულს ჩახსმა მელოდიური ნაწი წკრიალი.

ბიჭუნამ მაშინვე ფართოდ გაახილა თვლები, სმენა დაძაბა.

ახლა უფრო გარკვევით გაიგონა წკრიალის ხმა. ჭერ შორიდან მოისმოდა. თანდათან მოახლოვდა, გაძლიერდა და... გაცდებულმა ბიჭუნამ ფართოდ გახელილი თვლები კიდევ უფრო დაჰყიტა; ცაზე ვარსკვლავები უფრო მოფრინავდა. ვარსკვლავებით მოციმციმე შუქში გახვეულს ხელში ვერცხლისფრად მოელვარე ჭადოსნური ხემი ეჭირა, სწორედ ამ ხემის შეხებისას წკრიალებდნენ ვარსკვლავები. დიდი, ბრდღვიალა ვარსკვლავები ბროლის ღარნაკის მსგავს მუღერ ბგერებს გამოსცემდნენ. პატარები ვერცხლის ზანზალაკებით წკრიალებდნენ, და ბიჭუნამ თავისი ყურით კარგად გაიგონა, ვიოლინოს მსგავსი ხმა აუკარად ისმოდა ჭადოსნური ხემის ყოველი შერხევისას. ყველა ეს ხმა ერთდებოდა საამო, ჰაეროვან მელოდიად და იღვრებოდა ზეციდან ზღაპრულად მშვენიერი, ციური მუსიკა.

გაოცდა ბიჭუნა. ამას კი არ მოელოდა. არსად წაეითხა, ვარსკვლავები ბიჭუნა აწკრიალებსო ვარსკვლავებს. გაცდების გამომხატველი ხმამალაღი შეძახილი აღმოხდა. ვარსკვლავები ბიჭუნამ გაიგონა იგი. შუქრთა და ხელიდან გაუვარდა ჭადოსნური ხემი.

თითქოს სიმი გაწყლაო, ისე დაიღერა ამ ღროს ხემმა, ცაზე ვერცხლისფერი მეტეორით გადაიქროლა და სადღაც ძალიან შორს დაეცა. ვარსკვლავები ბიჭუნა მაშინვე გაქრა.

დაღუმდნენ ვარსკვლავები, აღარ წკრიალებდნენ.

ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი ღამე გაათენა ამის შემდეგ ბიჭუნამ. საათობით შეჰყურებდა ვარსკვლავებიან ცას და ელოდა, მაგრამ აღარ მოფრინებდა ვარსკვლავები. ღუმდნენ ვარსკვლავები. მოციმციმე თვლებით ჩამოჰყურებდნენ ზეციდან და თითქოს ისინიც რაღაცას ელოდნენ.

ღარღობდა ბიჭუნა. თავს დამნაშავედ თვლიდა, რომ ვარსკვლავები ბიჭუნას ჭადოსნური ხემი დაეკარგა და მის პოვნას ნატრობდა. იქნებ მაშინ მინიც მოფრინდესო ვარსკვლავები ბიჭუნა. ბევრი ეძია, მაგრამ არც ჭადოსნური ხემი ჩანდა სადმე.

ციური მუსიკის მოსმენას რომ ვეღარ ეღირსა, თავის ათვალწუნებულ ვიოლინოს მიაპყრო მთელი გულსისყური. ვიოლინოს ხმებიც ხომ არაა ვარსკვლავების წკრიალში. გულში მტკიცედ გადაწყვიტა, სრულყოფილად დაუფლებოდა ამ ჰირვეულ ინსტრუმენტს, ნამდვილი ოსტატი გამხდარიყო და ისე აუღერებინა ვიოლინო, ვარსკვლავების წკრიალი ჩაექსოვა მის ხმაში.

სავარჯიშოების მომამზერებ ელწრიპინში შეუმჩნევლად გაიღვივნენ წლები. ბიჭუნა გაიზარდა, დაეუკაცდა, მართლაც ნამდვილ დიდოსტატად იქცა. ხშირად იწვევდნენ კონცერტებზე. აღტაცებით უკრავდნენ ტაშს მის ყოველ გამოსვლას. ყვავილებს უძღვნიდნენ.

მაგრამ თვითონ თავისი თავის უკმაყოფილო იყო. ამიტომაც მუდამ თავდახრილი იღვა სცენაზე. მუდამ შორიღებულად, დამნაშავესავალი იღიმებოდა. და როცა თავს მალა ასწევდა, ისეთი იერი ჰქონდა, თითქოს რაღაცას ეძებო.

მართლაც ეძებდა... ეძებდა ისევ იმ ჭადოსნურ ხემს, ოდესღაც ვარსკვლავები ბიჭუნამ რომ დაკარგა. გონებიდან არ შორდებოდა ძველი ბავშვური ოცნება. ხშირად, დამამობით ვარსკვლავებიან ცაზე თვლემიპყრობილი, ისევ ელოდა ვარსკვლავები ბიჭუნას.

ამ ღოდინში გადიოდნენ წლები.

მუსიკოსს თმები ჭერ შევერცხლა, მერე თითქმის სულ მთლად გაუთეთრდა. მისი ოსტატობა კიდევ უფრო დაიხვეწა. საიდან აღარ მოდიოდნენ მის მოსასმენად.

თვითონ ისევ უკმაყოფილო იყო. ამდენი წლის თავდაუზოგავი შრომის შემდეგაც ვერ ჩააქსოვა ვიოლინოს ხმაში ვარსკვლავების წკრიალი. ახლაც კი, თავისი ცხოვრების მიწურულს, არ ავიწყდებოდა ის მშვენიერი, ციური მუსიკა, თავისი ბავშვობის დაუვიწყარ ღამეს რომ მოისმინა.

და ერთხელ, გვიან ღამით, ის ჭადოსნური ხემი თავის ოთახში იმოვა. ვიოლინოს გვერდით იღო ისე, თითქოს იქ იყო მისი ადგილი და არა სხვაგან სადმე.

გაოცდა მოხუცი მუსიკოსი, აქ როგორ აღმოჩნდაო ჭადოსნური ხემი. აკი თავისი თვლით ნახა, სადღაც ძალიან შორს რომ დაეცა.

აიღო ხელში, შეათვალღიერა და გულთ გაიხარა. ნამდვილად ის ჭადოსნური ვერცხლისფრად მოელვარე ხემი იყო...

გამოვიდა გარეთ, ვარსკვლავებით მოჭედოდა ცას ახედა. უმთვარო ღამე იყო. ღრუბლის ფთილაც კი არსად ჩანდა. სულ პატარა ვარსკვლავებიც კი მკაფიოდ გამოჩნეოდნენ ჩამუქებული ცის ფონზე. ძალიან ჰგავდა ეს ღამე მისი შორეული ბავშვობის ღამეს.

ინატრა ცისკენ თვლემიპყრობილმა მოხუცმა მუსიკოსმა, ნეტავი ახლაც მოფრინდებოდესო ვარსკვლავები ბიჭუნა და ამ ჭადოსნური ხემით ააწკრიალებდესო ვარსკვლავებს.

დიდხანს იღვა ფხმოუცვლელად. უხმობდა, ელოდა თავისი ბავშვობის ოცნებას.

თითქმის გაიღია ღამე. სადაცაა განთადი დაიწყებოდა. ნამისგან დაწმენდილი, ბროლივით გამჭვივარღე ჰაერში კიდევ უფრო მკაფიოდ აკაშკაშდნენ ვარსკვლავები და თითქოს საცაა აწკრიალდებოდნენ კიდევ, მაგრამ არსად ჩანდა ვარსკვლავები ბიჭუნა და ჰიუტად ღუმდნენ ვარსკვლავება.

გულდაწყვეტილმა, მთელი ღამის ღოდინით დაღლილმა მუსიკოსმა აიღო თავისი ვიოლინო, ჭადოსნური ხემი მოიმარჯვა და ფრთხილად შეეხო სიმებს.

მოესმა, როგორ გამოეხმაურნენ



ქუჩის ანჯარა

გამარჯვებამ გზა მისცა საერთაშორისო კონკურსისაკენ. ჩვიდმეტი წლის ეთერმა პ. ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსში დაიკავა მეოთხე ადგილი. კონკურსის გამარჯვების მომზადებაში კონსულტაციებს უწევდა მუსიკოს-კონტრაპტორის პროფესორი ვერა გარნასტაევა. ამ გამარჯვების შემდეგ ეთერი უგამოცდოდ ჩარიცხეს მოსკოვის კონსერვატორიაში პროფესორ ვ. გარნასტაევის კლასში, რომელთანაც ამთავრებს ასპირანტურასაც.

1976 წელს მეორე კურსის სტუდენტი ე. ანჯაფარიძე მონაწილეობს მონრეალის საერთაშორისო კონკურსში და ენიჭება პირველი პრემია, კანადელი მსმენელები არაჩვეულებრივი სიმპათიით განეწყვენ: „პატარა მომხიბვლელი ფერია ჩამოვიდა საბჭოთა საქართველოდან და მოაჯადოვა ათასობით კანადელი. მან დიდი აღმავლობით შეასრულა ბეთჰოვენი და სკარლატი, ბრაგო! მესამე ტურის შემდეგ ჟიურის წევრებმა თავი ვერ შეიკავეს და ოვაციები გაუშარტეს. შემდეგ კი ერთხმად მიანიჭეს პირველი პრემია“. ასე წერდა კანადის პრესა იმ დღეებში.

კონკურსის დამთავრების შემდეგ, როგორც პირველი პრემიის ლაურეატი, კანადის სხვადასხვა ქალაქში გამართა კონცერტები ისეთ ცნობილ სიმფონიურ ორკესტრებთან, როგორცაა ლონდონის სიმფონიური ორკესტრი, მონრეალის სიმფონიური ორკესტრი და სხვა.

ე. ანჯაფარიძის საშემსრულებლო ხელოვნებაში გვხვბლავს გულწრფელი ახალგაზრდული ემოციები, იგი თავის მშობლიურ საბჭოთა ქვეყნის მრავალ ქალაქში ხშირად გამოდის სოლო კონცერტებით. მისი საშემსრულებლო რეპერტუარი განისაზღვრება სირთულითა და მრავალფეროვნებით.

მასში ნათლად შეიგრძნობა დაუშრეტელი სიყვარული პიანისტური ხელოვნებისადმი.

— რაც დამსახურება მომანიჭეს, ძლიერ ველავ, ამიტომ უფრო რთული მოთხოვნები წავუყენე საკუთარ თავს. მეტს ვმუშაობ, ვცდილობ, რაც შეიძლება მრავალფეროვანი იყოს ჩემი რეპერტუარი, — გვეუბნება ე. ანჯაფარიძე.

... ეთერი დიდი გატაცებით ასრულებს მრავალი კომპოზიტორის ნაწარმოებებს. მას იტაცებს ბეთჰოვენი, ბახი, მოცარტი... მაინც გასაოცარი სიღრმით ხსნის რახმანინოვის შემოქმედებაში ხალხურ რეალისტურ საფუძველზე შექმნილ პათეტიკურ და ლირიკულ საწყისს.

... როდესაც ეთერ ანჯაფარიძეს ვუსმენთ, დარბაზში მეფობს სიცოცხლის სიხარული.

იზა ნადირაძე,
ჟუსიკათმცოდნე.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ეთერ ანჯაფარიძე ეკუთვნის ახალგაზრდა საბჭოთა პიანისტების იმ პლეადას, რომელთა საშემსრულებლო ხელოვნება დიდი ხანია, გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს.

მისი შემოქმედებითი გზა თავიდანვე ჰარმონიულად წარიმართა. ეს განაპირობა ბუნებრივმა ნიჭმა, შრომისმოყვარეობამ და მუსიკალურმა ოჯახმა. „დედა იყო ჩემი პირველი მშვენიერი და მკაცრი მასწავლებელი“, — ამბობს ეთერი. მან დედის ხელმძღვანელობით გადადგა პირველი საშემსრულებლო ნაბიჯები.

თორმეტი წელია, იგი შთაგონებული შემოქმედებითი ძიებებით მიისწრაფის ახალი, რთული მხატვრული სახეების აღქმისა და გადმოცემისათვის.

ეთერ ანჯაფარიძემ თერთმეტკლასიანი განათლება ზ. ფალიაშვილის სახელობის საშუალო სპეციალურ მუსიკალურ სკოლაში მიიღო დამსახურებულ პედაგოგ მ. ჭავჭავაძის საფორტეპიანო კლასში.

ცხრა წლის ასაკში მან გამართა პირველი სოლო კონცერტი, სადაც გამოავლინა კარგი პიანისტური მონაცემები, ამის შემდეგ იგი ხშირად გამოდიოდა კლასის, სოლო და სიმფონიურ კონცერტებზე.

1972 წელს ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსში თექვსმეტი წლის გოგონამ მოიპოვა პირველი პრემია. ამ

ვარსკვლავები მელიოდური, ნაზი წკრიალით.

შეერთა მუსიკოსი, შეწყვიტა დაკვრა. ზეცისკენ აიხედა.

დადუმდნენ ვარსკვლავებიც, ადარ წკრიალებდნენ. ჩამოჰყურებდნენ ზეციდან მოლოდინით სავსე მოციმციმე თვლებით.

ისევ ასწია ხელი. ჭადონური ხემი გაუსვა სიმებს. ისევ აწკრიალდნენ ვარსკვლავები... როგორც ოდესღაც, მის ბავშვობაში.

ჩვეული ხელით, უფრო ენერგიულად გაუსვა ხემი სიმებს. უფრო ხმა-მალა აწკრიალდნენ ვარსკვლავები, მოახლოვდნენ სათუთ ბგერათა ჰაეროვანი, მსუბუქი ტალღები. მიჰყვა მოხუცი მუსიკოსი ამ უნაზეს მსუბუქ ტალღებს. თვალისდახმაშამებაში მოსცილდა მხრებიდან წლებს მძიმე ტვირთი, სადღაც გაქრა თეთრი თმები... პატარა ბიჭუნად იქცა. დაფრინავდა ვარსკვლავებით მოქედლი ცაზე. ვილინოს სიმების

ნაცვლად საოცრად მოახლოვებულ ვარსკვლავებს წვდებოდა და აწკრიალებდა ჭადონური ხემით. და ამჩნევდა უამრავ გამოდებულ სარკმელს, უამრავი ბავშვის ფართოდ გახეილ, მეოცნებე თვლებს. ისინი შემოსცქეროდნენ და უხმენდნენ ისე, როგორც თვითონ შესცქეროდა ოდესღაც ჰაერში მფრინავ მიუწვდომელ ვარსკვლავბიჭუნას.

როცა ჭადონური ხემი დაბლა დაუშვა, ტაშის და ოვაციების ხმა შემოესმა.

თავი ასწია და მიიხედა-მოიხედა. მთელი ქუჩები, სადამდეც კი თვალი გასწვდებოდა ხალხით იყო სავსე. ყველა კარი და სარკმელი გამოვლეთ, ისეთებიც კი, წლობით რომ იყო დაგმანული. ყველგან ადამიანები იდგნენ. აღტაცებისაგან გაბრწყინებული თვლებით მისკენ იყურებოდნენ და დაუსრულებლად უკრავდნენ ტაშს. როგორც მათი ნაწყვეტ-

ნაწყვეტი სიტყვებით გაიგო მუსიკოსმა, თურმე, გვიან ღამით მთელი ქალაქის მოსახლეობას ძილი დაუფრთხო რაღაც უცნაურმა ხმამ, იმდენად ნაზმა და მელიოდურმა, რომ ვერაფრით ვეღარ მოისვენეს, წამოხტნენ და ცაში აცეცებდნენ თვლებს. ასე ეგონათ, ვარსკვლავები თუ წკრიალებენო. ძნელი წარმოსადგენი იყო, დედამიწაზე დაბადებულიყვენ ასეთი ნაზი, ჰაეროვანი ბგერები. მიჰყვნენ ამ ხმებს, ეძებეს, ეძებეს და ასე აღმოაჩინეს სახელგანთქმული მუსიკოსი, გვიან ღამით მარტოსული ბულბულივით რომ აულერებდა თავის ვილინოს.

ბოლო არ უჩანდა ტაშსა და სამადლობელ სიტყვებს. ყველას უნდოდა, სათითაოდ ცალკე ეამხნა მუსიკოსისათვის, როგორ იქცა პატარა ბავშვად და როგორ დაფრინავდა ჰაერში მუსიკის ტალღებთან ერთად. სახელგანთქმული მუსიკოსი, რო-

გორც ყოველთვის, ჩუმად იდგა თავდახრილი.

მერე ასწია თავი და თქვა, ტუჟა-ლად მიხდითო მადლობას. მხოლოდ ჭადონური ხემის წყალობით აწკრიალდნენ ვარსკვლავები. ეს ხემი ოდესღაც ვარსკვლავბიჭუნამ დაკარგა, მთელი სიცოცხლე ვეძებდი და სწორედ დღეს ვიპოვეო.

ამ სიტყვებით ხალხს ჭადონური ხემი გაუწოდა.

ყველამ კარგად დაათვალიერა ეს ხემი. გაცეხული ადამიანები ახლა დიდი მუსიკოსის თავმდაბლობაზე ალაპარაკდნენ; ეჭვი არაა, ახლაც თავმდაბლობის გამო ამბობსო ამას. ერთხმად თქვა ყველამ. ეს სრულე-ბითაც არ არის რაღაც სასწაულებრივი, ჭადონური ხემი. ეს მისი საკუთარი, სრულიად ჩვეულებრივი ხემია, რითაც ყოველდღე უკრავსო თავის ვილინოს.

ნუნუ ქალაგიძე



ულან უინიგბონი

მარმარილოთი მოპირკეთებული ბუხრის შუაგულში ცეცხლი გიზგიზებდა. მრავალრიცხოვან ვერცხლის, ბრინჯაოსა და ფაიფურის ნაკეთობებში მოწითალო ათინათი ირეკლებოდა.

ედიტ კარსონმა შვილიშვილის კაბა აიღო და სასტუმრო ოთახიდან გავიდა. რბილ სავარძელში ჩაფლული ართურ კარსონი ნელ-ნელა წრუპავდა სირჩიდან სოდიან ვისკს და თან ტელეფონ „საიდუმლო პოლიციის გამოცანის“ მორიგ სერიას უყურებდა.

შემოსასვლელში მოკლე, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ზარი გაისმა.

— ღვთის გულისათვის, მამატიეთ, თუ შეგაწახეთ.

კიბის ზედა საფეხურზე ბავშვით ხელში ახალგაზრდა ქალი იდგა.

ცივი და ნესტიანი საღამო იყო, თუმცა არ ყინავდა. ედიტმა თავით ფეხებამდე შეათვალა ქალი. ახალგაზრდა, ლამაზი, უფრო მეტიც, ძალიან ლამაზი. მასპინძელი ძლივს გამოერკვა პირველი შთაბეჭდილებიდან და თავზიანობის გამო შინ შეიპატიჟა უცნობი.

ბავშვი ატირდა.

— ჩუ-უ-უ, ჩემო კარგო, — მშვიდად წარმოთქვა ქალმა და ბავშვს ხელი გადაუსვა.

— იქნებ შემოდია, რითიმე დაგეხმარო? — შეეკითხა ედიტი სტუმარს.

— ოხ, აი თუ... — დაიწყო ახალგაზრდა ქალმა, სასიამოვნო, გულშიამწყვდომი ხმით. ჩანდა, ეძნელებოდა საუბრის გაგრძელება, — იცით, რა, ჩვენს მანქანას რაღაც გაუფუჭდა და გზაში გაგვიჩერდა. ჩემი მეუღლე იქაა, ქუჩაში, ცდილობს შეაკეთოს...

ედიტმა ქუჩისკენ გაიხედა. ხეებს იქით, ნათურებართული მანქანა იდგა. კაპოტი ახლილი ჰქონდა და ვიღაც კაცი ჩხირკედლაობდა.

— უკვე დიდი ხანია, ღროა ჩვენი პატარა ჩვენი დაპურებისა, — ახალგაზრდა ქალმა ისევ დაუწყო ბავშვს ფერება.

— საწყალი თოჯინა, — თანაუგრძნო ედიტმა, — შემოდით, მისის...

— ჰოუკინს.

— შემოდით, მისის ჰოუკინს, მაგრამ მე არ ვიცი, რითი შემოდია, დაგეხმაროთ, თუ თქვენ მას ძუძუთი არ კვებავთ. თქვენი ბავშვი ძალიან პატარა ჩანს...

— სამი თვის.

— ... მე კი შინ არაფერი მაქვს მისი შესაფერი, გარდა ძროხის ჰომოგენიზირებული რძისა.

— გმადლობთ. არაფერი მინდა, მისის...

— კარსონ.

— ... მისის კარსონ, მე უკვე თავად არ კვებავ ჩვენს, ამიტომ მოვემზადე საკმელო ბოთლით, ასე რომ, ჰოლდერს გრინში, სადაც ჩვენ მივდიოდით, მარტო მისი შეთბობა იყო საჭირო. მაგრამ ჩვენ კუს ნაბიჯებით მოვიდიოდით, შემდეგ კი საერთოდ მოგვიხდა გაჩერება. თქვენს ფანჯრებში უჭი დაინახე. თუ თქვენ ისეთი კეთილი იქნებით, რომ ნუგას დამრთავთ, ბოთლი შეგიღებო...

— რა თქმა უნდა, ჩემო ძვირფასო, მობრძანდით, მობრძანდით.

— ჩვენ დიდხანს არ შეგაწახებთ. ჩემი მეუღლე ვარაუდობს, რომ მანქანას მალე შეაკეთებს.

პატარა ჩვენმა ტირილს უმატა.

როდესაც სასტუმრო ოთახის კარი გაიღო, ართურ კარსონმა თვალი მოწყვიტა ტელევიზორს და დაინახა მალდი, წარმოსადეგი, ახალგაზრდა ქალი. ის წამოდგა, ფეხი ფლოსტებში ჩაყო და ტელევიზორის ხმას ჩაუწია.

— ეს მისის სიუზენ ჰოუკინსია, ართურ. მისის ჰოუკინსსა და მის მეუღლეს გზაში მანქანა გაუფუჭდათ, — აუხანს ედიტმა მეუღლეს, — ბავშვს კი მოშვიდა.

— საღამო მშვიდობისა, — მიესალმა კარსონი და ხელი გაუწყო-

და. მან ბავშვს სახეზე მიუღიტინა და ტირილი წამსვე შეწყდა.

ო, ღმერთო ჩემო, გაუპკირდა ახალგაზრდა ქალს. — ეს როგორ შეძელით?

— თანდაყოლილი მაქვს მომხიბვლელობის უნარი, — კმაყოფილებით ჩაღაპარა ართურმა.

— რასაც იშვიათად ამჟღავნებს შინ, — მეუღლის ნათქვამს კომენტარი გაუკეთა ედიტმა და ბავშვის საჭმლის გასათბობად სამზარეულოში გავიდა.

სიუზენ ჰოუკინსმა დაქინებით შეათვალა კარსონი თვეის დიდი, ცისფერი თვალებით და ცოტა ხნის შემდეგ თქვა:

— ქალბატონებო უხდებათ მამაკაცებს. ახალგაზრდა ქალები გულგრილი ვერ რჩებიან თქვენი ხნის მამაკაცების მიმართ.

— და თქვენც? — დანტერესდა კარსონი. პასუხის ნაცვლად ქალმა გაუღიმა.

— შეიძლება, შემოგთავაზოთ რაიმე სასმელი? სკოტი, ჩინი ტონიკით თუ ლიმონით?

— სკოტი, თუ არ შეწუხდებით. კარსონი კარადისკენ შეტრიალდა, სასმისი გამოიღო და სიუზენს გაუწყო...

— მოხერხებულად მოეწყვეთ, მისის...

— სიუზენ... სიუზენ ჰოუკინს.

— სიუზენ. კარგი სახელია, ნუნერვიულობთ, გეთავა. თუ საჭირო შეიქნა, დამს აქ გაათვით. მას შემდეგ, რაც ჩვენმა შვილებმა შექმნეს ოჯახები და დაგვტოვეს, ადგილი საქმარისზე მეტიც გვაქვს. თქვენი დღევანდელი მისა იყოს.

— გაგიმარჯოთ, — გაიმეორა სიუზენმა და სირჩას ბავშვს შეახო.

— და თქვენ მარტოობას არ გრძნობთ ბავშვების გარეშე?

— მე ვფიქრობ, რომ ამას თავისი სასიამოვნო მხარეც აქვს.

ჩვენ ხშირად ვხვდებით მათ დღესასწაულებზე. ისე, საერთოდ, ჩვენი ვაჟი არ გვანებობს ვიზიტებით. რძალი ვერ ეგუება ჩემს ცოლს. აი, პამელა, ჩვენი ქალიშვილი კი ხშირად მოდის.

ბავშვი ისევ ატირდა.

ამასობაში ედიტიც შემოვიდა.

— საკმელო მზადაა, — თქვა მან და სიუზენს ხელსაწმენდში შეხვეული შემთბარი ბოთლი მიწავიდა. ახალგაზრდა ქალმა ბავშვი მარცხენა ხელზე გადაიწვინა და წამსვე ჩასჩარა პირში საწოვარა. ტირილი მაშინვე შეწყდა და ჩვენმა სლოკინით დაიწყო წოვა.

ისევ გაისმა ზარი.

— ეს ჩვეი იქნება, ჩემი მეუღლე, — თქვა სიუზენმა. ედიტი გავიდა კარის გასაღებად და დაბრუნდა წარმოსადეგ, კარგად ჩაცმულ მამაკაცთან ერთად, რომელიც თავის ცოლზე რამდენიმე წლით უფროსი ჩანდა.

— ძვირფასო, მანქანა უკვე შევაკეთე, — მხიარულად თქვა მან, — ხელი დაიბანა, ვისკი დალია, მასპინძელს მადლობა გადაუხადეს და ათ წუთში ორივემ დატოვა კარსონების სახლი.

— რა მშვენიერი წყვილია, — ჩაღაპარა ართურმა და ისევ ტელევიზორს მიუბრუნდა. დეტექტივი დამთავრდა. მან ტელევიზორი მეორე არხზე გადაართო.

კარსონებს აღარც კი ახსოვდათ ჰოუკინსები, როდესაც სამი დღის შემდეგ მოუვიდათ კონვერტი საფოსტო შტემპულით „ჰოლდერს გრინი“, რომელშიც ლონდონის „პალადიუმ-თეატრის“ ორი კარგი ბილეთი აღმოჩნდა. ბილეთს ბარათი ახლდა: „კიდევ ერთხელ დიდ მადლობას გითვლით იმ გულკეთილობისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ჩვენდამი. ვიმედოვნებთ, თეატრი სიამოვნებას მოგგვრით. მადლიერებით — სიუზენი“.


ო, ეს შესანიშნავია, — განაცხადა ართურმა, როცა საღამოს შინ დაბრუნდა. — შესანიშნავი წყვილია. სწორედ ახლა გავიფიქრე, რომ ისინი იქნებიან თეატრში.

— მაშ, შენ ფიქრობ, რომ ისინი იქნებიან თეატრში. მეც ასე მგონია, რომ იქნებიან, — დაასკვნა ედიტმა.

— თუმცა, მე შეიძლება, არც კი წამოვიდე...

დიდი კალათბურთი თბილისში

ნოემბრის მიწურულს თბილისის სპორტის სახანძროში გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთულ ვაჟთა გუნდების შორის მატჩები. ამჯერად წარმატებით იასპარეზა თბილისის „დინამო“-ვიმედოვნებთ, რომ იგი მოხვდება იმ რვა გუნდს შორის, რომლებიც გაისად მედლებისათვის გააგრძელებენ ბრძოლას. სურათებზე: დაუცხრომელი ბრძოლის ეპიზოდები.



— ჩემმა ცოლმა ივარაუდა? იქნება ამისნათ, რა ხდება აქ.

— ნუთუ თქვენი ქმარი საქმის კურსში არ არის, მისის?! — გაუკვირდა ინსპექტორს.

ელდტმა გაიციან.

— დიას, მე ვარჩიე, გავჩუმებულიყავი და მისთვის არ გამეწიო. ვინ იცის, იქნებ ვცდებოდი.

— რაში ცდებოდი? — უფრო გაღიზიანდა ართურ კარსონი.

— მაშ, ასე, — დაიწყო ინსპექტორმა: — თქვენმა მეუღლემ თეატრის ბილეთები რომ მიიღო, დაეკვლა. მოვიდა ჩვენთან და გავანდო თავისი აზრი. ჩვენ დავეთანხმეთ მას. ეს გავდა რამდენიმე ადრე მომხდარ შემთხვევას. თალიები. ისინი სრულებითაც არ არიან დაქორწინებულნი და არც პოუკინსები. მათ არც ძუძუთა ბავშვი ჰყავთ. მაკაცის სახელი ვიქტორ ელიოტი, ქალისა — ალისა ტუნსენდი.

თავიანი გვარების გავონებაზე, ორივე დამნაშავე შეკრთა.

— მე ვფიქრობდი, რომ ეს ქალი იქნებოდა თეატრში, — უთხრა ელდტმა ართურს, — ამიტომ არაფერი გითხარი ჩემს ეკვებზე.

— სასაცილოა, მე ხომ ბავშვი აღარა ვარ, — გაიკვირვა კარსონმა.


— მოკლედ ასე, სერ, თქვენმა მეუღლემ მოგვცა გასაღები და ჩვენც ვღარაჯობდით. როგორც კი ისინი მოვიდნენ, მაშინვე დაეკავებოდა გელოდებოდათ თქვენ, რომ ამოგეცნოთ. ეს კარგი ნაწილირევივა. სამწუხაროა, რომ თქვენი მეუღლე პოლიციისში არ მუშაობს.

— მაინც რატომ შეგეპარა ექვი? — მკვახე ტონით შეეკითხა კარსონი მეუღლეს.

ელდტი ახალგაზრდა ქალისკენ შეტრიალდა.

— თქვენ, ამკარა, ითხოვეთ ვილაციისგან ბავშვი, სიუზენი ხარ თუ ალისა, თქვენ ისიც კი არ იცით, როგორ უნდა მოექცეთ ძუძუთა ბავშვს. შემდეგ ქმარს მიუბრუნდა — შენ დანახე, როგორც კი მას ხელსაწმენდში შეხვეული ბოთლი მივაწოდე, მაშინვე ჩასჩარა ბავშვს პირში საწოვარა, ისე რომ, არც კი შეუმოწყებია ტემპერატურა. არც ერთი დედა ასე არ მოიქცეოდა. და როდესაც ჩვენ თეატრის ბილეთები მივიღეთ, მე უფრო ღრმად ჩავფიქრდი...

თარგმან ნუნუ კუპრაიივილიგან.



— რატომ? ეს ხომ არათავაზიანობას ნიშნავს.

— სიმართლე რომ ითქვას, სათეატრო ჩასაცემელი არაფერი მაქვს. კარსონმა ამოიხბრა.

— ბილეთები უფასოდ მოგვივიდა, — გაიღიმა მან, — მაგრამ როგორც ჩანს, ეს საღამო არც ისე იაფი დაგვიჯდება.

ორი დღის შემდეგ, როდესაც კარსონების ოჯახი შვიდ საათზე მანქანაში ჯდებოდა თეატრში წასასვლელად, ელდტს საღამოს ახალი კაბა ეცვა.

კარსონმა გაკვირვება ძლივს დაფარა, როდესაც გვერდით სავარძლებში პოუკინსები ვერ დაინახა. სპექტაკლი მართლაც შესანიშნავი იყო. შინ დაბრუნებამდე პატარა იტალიურ რესტორანში ივახშმეს.

სახლს რომ მიუახლოვდნენ, ართური საჭისკენ დაიხარა და სახე მოელუშა.

— ეშმაკმა დალახვროს, ძვირფასო, შენ თითქმის ყველგან გამოურთავი დაგრჩენია შუქი.

— ნუ ამბობ სისულელეებს, ართურ. მე კარგად მახსოვს, კიდევ ერთხელ მივებრუნდი და შუქი ყველგან ჩავაქრე, გარდა შემოსასვლელისა.

კარსონმა სიჩქარეს მოუმატა.

მათი სახლის წინ მომტრო ავტოფურგონი იდგა.

— არ შეხვიდე, — თქვა ელდტმა, — იქნებ მძარცველები არიან. მე დავერეკავ, შენ კი, თუ საჭირო იქნება, მშველელებს მოუხმობ.

— არა, უმოკბესია, მე შევიდე, შენ კი მანქანით გაიქცევი.

ართური კიბეზე ავიდა თუ არა, კარი მაშინვე გაიღო. პარმალზე წარმოსადგენ პოლიციელი გამოჩნდა.

— ახ, ეს თქვენა ხართ, მისტერ კარსონ, — მიესალმა პოლიციელი, — ყველაფერი ისე მოხდა, როგორც თქვენ ვარაუდობდით.

ართურმა მხრები აიჩჩა და ელდტს გადახედა, რომელიც უკვე ზევით ამოსულიყო.

— საღამო მშვიდობისა, მისის კარსონ, ინსპექტორი სასტუმრო ოთახში გელოდებოდა. ჩვენ დავიჭირეთ ისინი დანაშაულის ადგილზე. შემდეგ პოლიციელი ისევ ართურს მიუბრუნდა, — და ეს ყველაფერი თქვენი მეუღლის წყალობით მოხდა, სერ.

სასტუმრო ოთახში, დიდი ბუხრის წინ, გაშვებულღებვიით ისხდნენ პოუკინსები... ისინი ამჯამად უბავშვოდ იყვნენ.

— ახ, საღამო მშვიდობისა, მისის პოუკინს, საღამო მშვიდობისა, მისტერ პოუკინს — მიესალმა ელდტი.

პოუკინსებს წარბიც არ შეუტოკებიათ.

— ესენი ძველი სპეცილისტები არიან, — შენიშნა ინსპექტორმა და ართურს მოუბრუნდა. — ყველაფერი ისე მოხდა, როგორც თქვენმა ცოლმა ივარაუდა.

ერთი ფიქრით, ერთი ოსნაბით...

კახი კავსაძე... ძნელია, წარმოიდგინო ამჟამად რუსთაველის თეატრი და სტურუასეული სპექტაკლები ამ მსახიობის გარეშე. მრავალმხრივი აქტიორული ნიჭი, საშემსრულებლო ინდივიდუალობა, იშვიათი გარდასახვის უნარი, პლასტიურობა, ტემპერამენტი და მსახიობისთვის აუცილებელი ყველა თვისება უბოძებია მისთვის ბუნებას. უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვანია მისი სასცენო მოღვაწეობა და კინოში (სრული იქნება თუ მოკლემეტრაჟიანი) შექმნილი სახეები...

თავიდან არც უფიქრია მსახიობობაზე. ხან ინჟინრობა იტაცებდა, ხან ექიმობა, და რომ არა ერთი შემთხვევა...

1955 წელს კინორეჟისორი ნიკოლოზ სანიშვილი იწყებდა ა. ბელიაშვილის მოთხოვნის „ვეფხისტყაოსნის“ ეკრანიზაციას. მთავარ როლზე დაამტკიცეს თბილისელი ჰაბუკი, მეთერთმეტეკლასელი კახი კავსაძე. დაიწყო გადაღება, მაგრამ მან მოულოდნელად სერიოზული ფიზიკური ტრავმა მიიღო. ათლეტური აღნაგობის ყმაწვილს დიდი სიმძალიდან მოუშვადებლად გადმოხტომის შემდეგ ნეკნები ჩაემტვრა. შეუძლებელი გახდა მუშაობის გაგრძელება. ამ უიღბლო დღეებში შემდეგ გადაწყვიტა, მსახიობი გამხდარიყო. გამოჩანმართლებისთანავე, მომდევნო წელიწადს, შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. მისი პირველი პედაგოგი გაბრიელ ღვინიაშვილი იყო.

კახი კავსაძე პირველად ს. დოლიძის ფილმ „ეთერის სიმღერაში“ ვისილეთ მურმანის როლში. მას შემდეგ მსახიობს ხშირად იღებდნენ ფილმებში: დ. რონდელის „მამლუქი“, მ. ჭიაურელის „რაღვიანაზავს ვეღარ ნახავ“, უ. მგელაძის „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“, თ. აბულაძის „სამკაული სატროფოსათვის“, ო. იოსელიანის „იყო შაშვი მგალობელი“ და სხვა. იგი ეპიზოდური როლების ბრწყინვალე შემსრულებლად გვევლინება. თანდათან მისი აქტიორული დიპლომატიის ფრთებს შლის და მოაქვს კიდევ პირველი აღიარება აბდულას როლით (ვ. მოტილის ფილმ „უღაბნოს თეთრი მზე“). არანაკლებ წარმატებას ეწიარა იგი ხოციბარის ფილმში „ლაზარეს თავგადასავალი“. დიკვანის სახეში გამოვლინდა აქტიორის ამოუწურავი შესაძლებლობანი.

ის თანდაყოლილი ნიჭი, რომელსაც დემოკრიტიკად ბედნიერებად თვლიდა, მსახიობმა ისე გადააფრქვია თავის გმირებს, ზეიარტაყა მყურებელი. იგი ერთნაირად ძლიერია კინოში და თეატრში, დრამასა და კომედიაში, გროტესკსა და სატირაში... დრმა ფსიქოლოგიური გააზრება, დახვეწილი იუმორი, შინაგანი ინტუიცია და შესაშური ენერჯია ეშხსა და ლაზათს მატებს მის სათეატრო და საეკრანო შემოქმედებას.

„თავიდან ფეხებამდე არტისტია კახი, ამავე დროს, კარგი მეგობარი და ზედმეტად თავმდაბალი პიროვნება, ბედნიერი ვიქნები, თუ კიდევ მომიწევს მასთან მუშაობა“, — ამბობს რეჟისორი მ. კოკოჩაშვილი, რომლის ფილმმა „ცხელი ზაფხულის სა-



ეროვნული
გიზლირიძე



მი დღე“ აქტიორს დიდი სიხარული მიანიჭა.

კ. კავსაძე თავის საეკრანო რეპერტუარით („ვირის უბნის მელოდიები“, „ნატვრის ხე“, „ერთის ნახვით სიყვარული“, „ღვინის ქურდები“ და სხვა) უაღრესად თვითმყოფად კინომსახიობად წარმოგვიდგება.

და მაინც სცენას ანდომებს დროის უმეტეს ნაწილს. რუსთაველის თეატრში ვლინდება სრულყოფილად მისი პიროვნული თუ აქტიორული თვისებები. საოცრად მოძრავია და ემოციური, მღერის პროფესიონალის დონეზე. იგი ყოველი დიდი თუ მცირე როლისთვის იმსახურებს ქებას. ჭერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ მიიქცია ყურადღება: ი. შტოკის „ღვთაებრივ კომედიაში“ (აღამი), ნ. დუმბაძის „მზიან ღამეში“ (გურამი), ვაჟა ფშაველას „ბახტრიონში“ (ვაჟუსი) და სხვა.

1975 წელს, როდესაც რუსთაველის თეატრის სცენაზე კვლავ დაიდგა ა. სუმბათაშვილი-იუნიონის დრამა „ლალატი“, სოლიდის როლმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა კახი კავსაძის აქტიორული აღმასვლა.

... და მოელიან ახალ წარმატებებს გულშემატიკვრები, ლელავენ ახლობლები, ნათესავები, განსაკუთრებით კი მეუღლე... ბელა მირიანაშვილი. დიას, ეს ის მსახიობია 70-იან წლებში პუანტებზე შემდგარი რომ ხიბლავდა მყურებელს. პუანტების გაჩენა სათეატრო წარმოდგენაში განაპირობა მსა-

ხიობის ბალეტიდან თეატრში გადმონაცვლებამ.

1960 წელს წარმატებით შედგა ბელა მირიანაშვილის დებიუტი სცენაზე. მ. თუმანიშვილის მიერ დადგმული ჩეხი დრამატურგის კოშოუტის პიესაში „როცა ასეთი სიყვარულია“. თეატრალური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტმა, მომხიბლავი გარეგნობის გოგონამ, დაიპყრო მყურებლით სავსე დარბაზი. გაიხსნა ჯადოსნური სამყაროსკენ მიმავალი გზა... თუმცა მსახიობი მანამდე უკვე კარგად იყო ცნობილი კინოფილმიდან „საბუღარელი ჰაბუკი“, „წარსული ზაფხული“, „დღე პირველი დღე უკანასკნელი“...

ვისაც ასოვს ბელა მირიანაშვილის მზია „ჭინჭრაქაში“, უდავოდ ნაზიარებია ჭეშმარიტ ხელოვნებასთან. ზღაპრული სამყარო, რომელსაც თავის უშუალო პარტნიორთან, კარლო საკანდელიძესთან ქმნიდა პუანტებიანი ფერია, უნებურად გიმორჩილებდა. დღეს რომ კითხოთ, რომელია თქვენი საყვარელი როლიო, დაუყოვნებლივ გიპასუხებთ — მზია, „ჭინჭრაქაში“. ალბათ, ხელოვნების ცოცხალი ჯადო თუ აგვირისტებდა იმ სიყვარულსაც, სტუდენტობის წლებიდან რომ მოდის... კახი კავსაძე და ბელა მირიანაშვილი, როგორც პარტნიორები, პირველად ნ. დუმბაძის „მზიან ღამეში“ შეხვდნენ ერთმანეთს და მოდიან მას შემდეგ ერთი გზით, ერთი ფიქრითა და ერთი ოცნებით.

კაკა ბჟალავა

დუშორი

- მომეცით ფული!
- ფული არა მაქვს.
- სამკაული?
- არც სამკაული გამაჩნია. მე ერთი ღარიბი პოეტი ვარ.
- კარგი! მაშინ თქვენი ყველაზე გრძელი პოემა წამიკითხეთ!

ოფიცინტი: — რა მოგართვათ?
პროფესორი: — მენიუში დაშვებული ორთოგრაფიული შეცდომების ჩახოხბილი.

დღეს თოთხმეტმეტრია კიბიდან გადმოვვარდი.
- რა მოიტებეთ?
- არაფერი. მე მხოლოდ კიბის ბოლო საფეხურზე დამიცდა ფეხი.

- თქვენს ტუპებს ერთმანეთისგან ვერ ვარჩევ.
- რატომ? ერთს ანა ჰქვია, მეორეს — ევა.


- ბატონო პროფესორო, წვიმს და ქოლგას რატომ არ შლით?
- იმიტომ, რომ მეგონა, ქოლგა შინ დამჩა.

- დაქორწინების შემდეგ მამა მანქანას გიყილის?
- კი.
- დედა — ბექედს?
- აბა რა!
- ბებია ბინას გაგიფორმებს?
- გაგიფორმებს.
- როდის მოვაწეროთ ხელი?
- მე უკვე მოვაწერე ხელი კლასუსთან.

გერმანულიდან თარგმნა
მარინე სულუაზვილია.



კროსვორდი



შვეულად: 1. ტბა აღმოსავლეთ ციმბირში; 2. ორი სფერული ზედაპირით შემოსაზღვრული გამკვირვალე ოპტიკური მინა; 3. შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა; 4. წყლის ნაკადი, რომელიც სათავიდანვე ბუნებრივ კალაპოტში მიედინება; 7. უძრავი ქონების დაგირავება, ხელშეკრულების დადებით; 9. ფასიანი ქაღალდების ერთ-ერთი სახეობა; 10. ცნობილი ანატომი და ფიზიოლოგი; 12. დედამიწის ჩრდილო პოლარული მხარე; 13. სცენა მსახიობებისათვის გამოსასვლელად მაყურებელთა წინაშე; 18. რომელიმე ეპოქის ერთი მიმართულების მოღვაწეთა ჯგუფი; 19. მზის სისტემის პლანეტა; 21. დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; 24. საჩინბო; 25. რუსეთის პირველი მარქსისტული გაზეთი.

თარგუმულად: 5. წაგრძელებული სწორკუთხა უფუმბათო ტაძარი; 6. ქუჩაში საგანგებოდ ჩახერგილი დაბრკოლება, ბრძოლის საწარმოებლად; 8. ვისიმე ნაწერის, ხელწერის ზუსტი გადაღება; 11. ბრალდებულის უდანაშაულობის დასაბუთება; 14. ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი; 15. ტემპერატურის საზომი ერთეული; 16. სახელმწიფო დაწესებულების წარმომადგენელი, რწმუნებული; 17. ნიადაგის რღვევა დვარებისაგან; 20. ფრჩხილი, რომელიც აერთებს რამდენიმე ხუთხაზიან სანოტო სისტემას; 22. წარმომადგენლობითი ორგანოების პერიოდული სხეობა; 23. რისიმე დადგენილი წილი, დასაშვებო რაოდენობა; 26. უცნაური აზრი, მსჯელობა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება საყოველთაოდ აღიარებულისაგან; 27. სახელმწიფო ამერიკაში; 28. ცნობილი საბჭოთა ფიზიოლოგი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

შეადგინა ვაჟა ვახტანგაძემ

გარეკანის პირველ გვერდზე: ყვარელის რაიონის სოფელ შილდის მეორე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე გოჩა ასაბაშვილი.
შოტო ღაპით იბარგავს პილისა. მეოთხე გვერდზე: ვინანო. შოტო გონდო დაღვაძისა.

გადაეცა წარმოებას 10. 11. 84. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7. 12. 84. უე 08308. ქაღალდის ზომა 70x1681/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბანი 5,09. ტირაჟი 48 000. შეკვ. 2786. ფასი 35 კაპ.
860096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კ. ც. კ. გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008. Тбилиси 8. по. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვახტანგ კიკაბიძე დედასთან ერთად.

ეროვნული
გეოლოგიური

632/4

0580360 76056



საქართველო